# ეკონომიკა

**ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი**

„ЭКОНОМИКА" - Ежемесячный международный рецензируемый и реферируемый научный журнал

"ECONOMICS " - Monthly International reviewed and refereed scientific journal

**10-12, 2020**

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

**რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)**

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; ლ. ბახტაძე; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (**უკრაინა**); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; გ. ყუფუნია; ნ. შენგელია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია.

**ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)**

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Бахтадзе Л., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (**Россия**), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Купуния Г., Курaташвили А, . Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (**Украина**), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Читанава Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Шубладзе Г., Циклаури Ж.

**REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)**

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; L. BAKHTADZE; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (**USA**); U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი.

**The Author is responsible for plagiarism and for the accuracy of the facts, data given in the article.**

**თბილისი - 2020**

# შინაარსი

## ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

**რუსუდან ფირცხალავა -** საქართველოს სახელმწიფო
მიწის ფონდის სტრუქტურა: თავისებურებები,
ტენდენციები, პრობლემები-------------------------------------------------- 6
**Nino choveldze -** Internal Audit Reform as One Main component of The Public Internal Financial Control System in Georgia
(საქართველოში შიდა აუდიტის რეფორმა - სახელმწიფო შიდა
ფინანსური კონტროლის სისტემის კომპონენტი) (ინგლისურად) -25
**თამთა ქორიძე -** საქართველოში მოგების
გადასახადის რეფორმის ზოგიერთი შედეგის შესახებ----------------34

## ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

**მარინე ლუარსაბიშვილი, მაია კილაძე, მთვარისა თანანაშვილი -**
საწარმოს კონკურენტუნარიანობა
გლობალური ეკონომიკის პირობებში-------------------------------------43
**ოთარ აბესაძე -** ტურიზმის პოსტპანდემიური მოლოდინები
და განვითარების ტენდენციები საქართველოში-----------------------51
**Жанна Толордава -** «Серьезные игры» и образование
(„სერიოზული თამაშები“ და განათლება)---------------------------------68
**ლელა ბოჭოიძე, მაია ჩინჩალაძე, ნინო დარსაველიძე -**
2020 წლის კრიზისი და რეცესიის საფრთხე -----------------------------78

## ფინანსები, ბანკები, ბირჟები

**გრიგოლ ნემსაძე -** კომერციული ბანკის
საკრედიტო რისკის შეფასების მეთოდები -------------------------------84

## რეგიონული ეკონომიკა

**ზურაბ ნასარაია -** რეგიონული განვითარების
რამდენიმე საკითხი------------------------------------------------------------95

## დარგობრივი ეკონომიკა

**ზაირა ღუდუშაური** - დაგვიანებული გამოხმაურება
პროფესორ ნიკოლოზ ბაკაშვილის სტატიაზე
„გვჭირდება თუ არა „სარეკომენდაციო წერილი?“------------------ 102
**ანა კურტანიძე, მაია ჩინჩალაძე, ლელა ბოჭოიძე,**
**ნინო დარსაველიძე** - მსოფლიო პანდემიის ზეგავლენის
თავისებურებანი სატრანსპორტო სისტემაზე
და ინფრასტრუქტურაზე ---------------------------------------------- 109

## ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

**დავით ნიჟარაძე** - COVID - 19 - ის პანდემიის
გავლენა ადამიანური რესურსების მართვაზე------------------------ 115
**თორნიკე სადუნიშვილი** - მარკეტინგი და
გაყიდვების სტრატეგია ---------------------------------------------- 126

**ხსოვნა**------------------------------------------------------------------- 132

**სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი**----- 134

**ჟურნალის 2020 წლის შინაარსი**------------------------------------- 136

# CONTENTS

## ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

**Rusudan Pirtskhalava -** The Structure of The State Land
Fund of Georgia: Peculiarities, Trends, Problems ---------------------------- 6
**Nino Chovelidze -** Internal Audit Reform as One Main Component
Of The Public Internal Financial Control System in Georgia ------------- 25
**Tamta Koridze -** About Some Results of The Profit Tax
Reform in Georgia ------------------------------------------------------------- 34

## MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

**Marine Luarsabishvili, Maya Kiladze, Mtvarisa Tananashvili -**
Enterprise Competitiveness in The Global Economy---------------------- 43
**Otar Abesadze -** Post - pandemic Tourism Expectations
and Development Trends in Georgia ---------------------------------------- 51
**Жанна Толордава -** «Серьезные игры» и образование
(«Serious Games» and Education) ------------------------------------------- 68
**Lela Bochoidze, Maia Chinchaladze, Nino Darsavelidze -**
The Crisis of 2020 and The Threat of Recession -------------------------- 78

## FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

**Grigol Nemsadze -** Commercial Bank Credit
Risk Evaluation Methods---------------------------------------------------- 84

## REGIONAL ECONOMICS

**Zurab Nasaria -** Some Issues about Regional Development ------------ 95

## SECTORAL ECONOMY

**Zaira Ghudushauri -** Delayed Response To The Article By Professor
Nikoloz Bakashvili - "Do We Need A Letter Of Recommendation?" ---102

**Ana Kurtanidze**, **Maia Chinchaladze, Lela Bochoidze, Nino Darsavelidze -** Peculiarities of The Global Pandemic Impact On The Transport System And Infrastructure--------------------109

**BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING**

**David Nizharadze -** The Impact Of The COVID **-** 19 Pandemic On Human Resource Management------------------------------115

**Tornike Sadunishvili -** Marketing and Sales Strategy ------------------126

**For the Memory**-------------------------------------------------------------132

**Publication Requirements** --------------------------------------------------135

**2020 Year's Journals Content**----------------------------------------------136

# საქართველოს სახელმწიფო მიწის ფონდის სტრუქტურა: თავისებურებები, ტენდენციები, პრობლემები

**რუსუდან ფირცხალავა**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ი. ჟორდანიას სახ. საწარმოო ძალებისა და
ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი
ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი,
დოქტორანტი

## შესავალი

მიწის რესურსების ეფექტიანად გამოყენება კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე ადამიანების ყურადღებისა და ზრუნვის მუდმივ საგანს წარმოადგენდა. განსაკუთრებით აქტუალური გახდა იგი თანამედროვე პირობებში, როცა გლობალური პროცესების განვითარების ტემპები, გამოკვეთილად მოსახლეობის ზრდა, ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ადამიანებს, საზოგადოებას, სახელმწიფოს, საერთაშორისო სტრუქტურებს. ამიტომაა რომ გაერო, საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურები მრავალმხრივობით გამორჩეული ღონისძიებების შემუშავებითა და განხორციელებით ცდილობენ მწვავე ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტას, მიწის რესურსების, რაციონალურად გამოყენებისათვის შესაბამისი მატერიალური და ორგანიზაციული პირობების მომზადებას.

თანამედროვე მსოფლიოში, მით უფრო მცირემიწიან საქართველოში, სურსათის წარმოების პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით დადგა პანდემიის პერიოდში, როცა ექსტენსიური განვითარების ბუნებრივ-საწარმოო პირობები მნიშვნელოვნად შეზღუდულია, ხოლო ინტენსიური განვითა-

რება მდგრადი განვითარების პირობების (პრინციპების) განუხრელად დაცვასთან არის დაკავშირებული და დიდი მოცულობის ინვესტიციების მოზიდვას საჭიროებს.

ამიტომ საჭიროა, მით უფრო კრიზისულ სიტუაციაში, თითოელ ქვეყანას ჰქონდეს მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების სტრატეგია, რომელიც მიზნობრივი პროგრამებით განხორციელდება.

წინამდებარე სტატიაში განხილულია საქართველოში მიწის რესურსების ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებთა სისტემაში ერთ-ერთ საკვანძო საკითხი - სახელმწიფო მიწის ფონდის რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები, უკანასკნელი 30 წლის მანძილზე მიწის რესურსების გამოყენებაში ჩამოყალიბებული ტენდენციები და მათი ეფექტიანად გამოყენების ძირითად მიმართულებები.

**საკვანძო სიტყვები:** მიწის ფონდი, მიწის რესურსები, მიწის კატეგორია, მიწის ბალანსი, კონსოლიდაცია, მიწის კოდექსი, მიწის კადასტრი, მიზნობრივი პროგრამა.

## ძირითადი ტექსტი

მიწა ერთ-ერთი მთავარი ბუნებრივი რესურსი და წარმოების **ფაქტორია.** ტერმინი **„მიწა“,**მეცნიერებაში აღიარებული შეხედულების მიხედვით, მოიცავს:**მიწის ფართობს, რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში პროდუქციის (ნედლეულის) წარმოებისათვის, ტყეს, წყლის რესურსებს, გეოგრაფიულ მდებარეობას, საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ სივრცეს, ტერიტორიის იმ მონაკვეთს, რომელსაც სახელმწიფო საზღვარი ჰქვია[1].**

ცნობილია მიწის შემდეგი თავისებურებანი: იგი არ არის შრომის შედეგი (ბუნებრივი რესურსია), ერთდროულად არის შრომის ობიექტიც და შრომის საგანიც, წარმოების შეუცვლელი საშუალებაა.მისი რაოდენობა შეზღუდულია, ხარისხობრივადაც არაერთგვაროვანია, აქვს მუდმივი მდგომარეობა, სპეცი-

**1 ნ.ჭითანავა „საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები, გამოწვევები“. მონოგრაფია, თბილისი, 2015 წ., გვ.26**

ფიკური საქონლის თვისებაც, როგორც უძრავი ქონებაც ყიდვა-გაყიდვის ობიექტია.

თანამედროვე პირობებში მსოფლიოში გამოიკვეთა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის მნიშვნელოვნად შემცირების ტენდენცია, რაც გამოწვეულია მიწის რესურსებზე ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესის გავლენით:

**პირველი** - ესაა ახალი მიწების ათვისების ობიექტური აუცილებლობა და ადამიანების სწრაფვა მიწის ფართობების გადიდებისათვის (ყამირი მიწების ათვისება, წყლით უზრუნველყოფა, დაშრობა და სხვ.). **მეორე კი** - ეროზიით, გაუდაბნოებით, სამრეწველო და საქალაქო მშენებლობის განვითარებით, წიაღისეულის მოპოვებით, დაჭაობებით, დამლაშებით და სხვა მიზეზებით სამეურნეო ბრუნვიდან მიწის ფართობების ამოღება.

ნიშანდობლივია, რომ მეორე პროცესი უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და ბუნებრივია, ქმნის მწვავე პრობლემებსაც.

მსოფლიოში, მით უფრო საქართველოში,სურსათის ექსტენსიური წარმოების ბუნებრივი პირობები მნიშვნელოვნად შეზღუდულია. რაც შეეხება წარმოების ინტენსიფიკაციას, იგი არსებითად დამოკიდებულია მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების დანერგვაზე და ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვაზე. ამიტომ საჭიროა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გამოყენების კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება და მდგრადი განვითარების მოთხოვნათა გათვალისწინებით მათი თანმიმდევრულად განხორციელება.

**სახელმწიფოს მიწის ფონდი.** იგი მოიცავს ქვეყნის ყველა კატეგორიის მიწას და განისაზღვრება მიზნობრივად (მიწების კატეგორია, მიწათმოსარგებლენი), სამეურნეო გამოყენებით (მიწის სახეები), ხარისხობრივი მდგომარეობით, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფით და ა.შ. ფონდი ორ ჯგუფად იყოფა: მიწები, რომლებიც ძირითადად გამოიყენება როგორც წარმოების მთავარი საშუალება (სოფლის და სატყეო მეურნეობის მიწები) და მიწები, რომლებსაც ძირითადად იყენებენ, როგორც სივრცობრივ ობიექტს (დანარჩენი ყველა სახის მიწა).

თეორიასა და პრაქტიკაში ცნობილია მიწის ძირითადი კატეგორიები: დანიშნულების (სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების), დასახლებული პუნქტების (ქალაქის, დაბის, სოფლის), მრეწველობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, თავდაცვის, რეკრეაციული და ისტორიულ-კულტურული დანიშნულების, ტყის ფონდის მიწები, წყლის ფონდის მიწები, სახელმწიფო მარაგის მიწები. ასევე გამოიყოფა სახნავი, ნასვენი, მრავალწლიანი კულტურების მიწები, საძოვრები, სათიბები, ტყე-ბუჩქნარი, გზების, შენობებისათვის, გამოუყენებელი და სხვა სახის მიწები.

ეროვნულ ეკონომიკაში მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო თვისებრივად ახალ ეტაპზე - საბაზრო პრინციპებზე გადასვლა, რაც რიგი თავისებურებებით და ტენდენციებით ხასიათდება. მათი კომპლექსური ანალიზი იძლევა საფუძველს მიწის, როგორც ბუნებრივი რესურსისა და წარმოების ფაქტორის - გამოყენების დონის შეფასებისათვის. ამიტომ საქართველოს სახელმწიფო მიწის ფონდის (სტრუქტურის) ცვლილებების დინამიკის ანალიზისათვის ამოსავალ საწყისად განვსაზღვრეთ საქართველოს 1990 წლის მიწის ბალანსი.

1990 წელს საქართველოში მიწის საერთო ფართობი შეადგენდა **7272,3** ათას ჰექტარს[1] (მათ შორის ადმინისტრაციულ საზღვრებში **6949,4** ათას ჰექტარს), სასოფლო-სამეურნეო სავარგულები 3080,1 ათას ჰექტარს (მათ შორის ადმინისტრაციულ საზღვრებში - 2782,2[2]ათას ჰექტარს). სოციალისტური მეურნეობრიობის სისტემაში სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და საოჯახო მეურნეობებს (საკარმიდამო ნაკვეთები) უვადო სარგებლობაში გადაცემული ჰქონდათ **4595 ათასი**ჰექტა-

**1 Э.К.Накаидзе «Земельные ресурсы Грузии и проблемы их рационального использования» - «Мецниереба», Тбилиси, 1997 год, стр. 36-37**

**2 მიწის საერთო ფონდში შედიოდა, საქართველოს რესპუბლიკისათვის დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის მიწის ფართობიდან საკავშირო ორგანოების მიერ დროებით სარგებლობაში გადმოცემული 323,3 ათასი ჰექტარი საძოვარი. ასევე,კრასნოდარის მხარისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული გაგრის ზონის 400 ჰა საქართველოს მიწის ფართობი.**

რი(აქედან, ადმინისტრაციულ საზღვრებში სახნავი - **694,5 ათასი**ჰექტარი (9,9%), მრავალწლიანი ნარგავები - 239,3 ათასიჰექტარი (3,4%), ნასვენი - 6 ათასიჰექტარი (0,09%), სათიბი - 156,1 ათასიჰექტარი (2,25%), საძოვარი - 1685,3 ათასიჰექტარი (24,27%), დამუშავებელი მიწები- 939,8 ათასი ჰექტარი (13,5%). აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შეადგენდა 2782,2 ათას ჰექტარს (40,04%). მათ შორის საკარმიდამო ნაკვეთებზე მოდიოდა - 202,4 ათასი ჰექტარი (2,91%). ამ კატეგორიის მეურნეობების მიწის ფართობი ფაქტობრივად სახელმწიფო საკუთრებაში იყო, ხოლო მათზე გაშენებული მრავალწლიანი ნარგავები, შენობა-ნაგებობები, ასევე წვრილი ინვენტარი, პირუტყვი, ფრინველი, აგრეთვე, ამ ნაკვეთებზე წარმოებული პროდუქცია ითვლებოდა პირად საკუთრებაში.

**საყურადღებო თავისებურებაა ის, რომ საკარმიდამო მეურნეობებს მნიშვნელოვანი წვლილი ჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში[1].** 1990 წელს საკარმიდამო ნაკვეთების ფართობის ხვედრითი წილი შეადგენდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - 8,9%, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში - 13,6%, სამხრეთ ოსეთში - 2,3%, გურიაში - 15,1%, იმერეთში - 17,46%, კახეთში - 4,93%, მცხეთა-მთიანეთში - 3,3%, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში - 4,8%, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 8,79%, ქვემო ქართლში - 4,96%, შიდა ქართლში - 7,23%, სამცხე-ჯავახეთში - 3,1%.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გარკვეული ნაწილი აღირიცხებოდა რესპუბლიკის სხვა კატეგორიის მიწების ფონდში. მაგალითად, სატყეო მეურნეობების, მრეწველობის, ტრანსპორტის, სახელმწიფო მარაგის, დასახლებული პუნქტების მიწები და სხვ.

---

**1 1990 წელს საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 47% იწარმოებოდა საოჯახო მეურნეობებში (მათი საერთო ფართობი შეადგენდა 202,4 ათას ჰექტარს). ასევე ბოსტნეულის - 58%, კარტოფილის - 49%, ხილის - 76%, ციტრუსოვანთა ნაყოფის - 71%, ყურძნის - 45%, ხორცის - 51%, რძის - 60%, ძროხების სულადობის 75%, ღორების - 55%, ცხვრის - 45,3%, მრავალწლიანი ნარგავების - 27% საოჯახო მეურნეობებზე მოდიოდა.**

ამავე პერიოდში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ფართობი შეადგენდა 3965,4 ათას ჰა-ს, მათ შორის ტყე - 2843,1 ათას ჰა-ს, ბუჩქნარი - 166,6 ათას ჰა-ს, ჭაობი 8,3 ათას ჰა-ს, წყლით დაფარული ფართობები - 118,5 ათას ჰა-ს, გზით დაფარული - 110 ათას ჰა-ს, ეზოები და ნაგებობები - 120,7 ათას ჰა-ს, სხვა მიწები - 574,3 ათას ჰა-ს. 1990 წლის მიწის ბალანსის მიხედვით მრეწველობის, ტრანსპორტის, თავდაცვის, კავშირგაბმულობის და სხვა დანიშნულების მიწის ფართობი შეადგენდა 98 ათას ჰა-ს, ბუნების დაცვის, რეკრეაციული და ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის ორგანიზაციებისა და საწარმოების მიწის ფართობი - 1400 ჰა-ს, დასახლებული პუნქტების - 78 ათას ჰა-ს, ჰიდროტექნიკური და სხა წყალთა მეურნეობისა და ნაგებობების - 99,4 ათას ჰა-ს, სახელმწიფო მარაგის მიწები - 34, 8 ათასი ჰა-ს[1].

**მიწის რეფორმა და საქართველოს სახელმწიფო მიწის ფონდის ცვლილებები 1990-2005 წლებში.** საქართველოში მიწის რეფორმა დაიწყო საქართველოს დროებითი მთავრობის 1992 წლის 18 იანვრის დადგენილებით (N48) **„საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ".** იგი ითვალისწინებდა საკარმიდამო მიწის ფართობის გაზრდას 0,75 ჰა-მდე, შემდეგ კერძო საკუთრებაში მათ გადაცემას. ამ დადგენილების განხორციელება დაიწყო მასში რადიკალური ცვლილებებით, კერძოდ იმავე წლის მარტში შეიცვალა გასაცემი მიწის ზღვრული რაოდენობა: სოფელში მცხოვრები და იქვე დასაქმებულებისათვის დაწესდა ბარსა და ზეგანზე - 1,25 ჰა, მთაში - 5 ჰა, სოფლად მცხოვრები სხვა სფეროს მუშაკებისათვის - 0,75 ჰა, ბარსა და ზეგანზე, ხოლო მთაში - 5 ჰექტარი. ქალაქის მცხოვრებთათვის საგარეუბნო ზონებში - 0,15 ჰა, ბარსა და ზეგანზე - 0,25 ჰა, ხოლო მთაში - 0,5 ჰა. ასეთ ცვლილებებს საფუძვლად არ ედო შესაბამისი პროგნოზული გაანგარიშებები. რეფორმის განხორციელებისას მასობრივი ხასიათი მიიღო მიწების მიტაცებამ, დანაწევრებამ, სასოფლო-

**1 Э.Накаидзе «Земельные ресурсы Грузии и проблемы их рационального использования». Мецниереба, Тбилиси, 1997 г. გვ.36**

-სამეურნეო საწარმოების თვითნებურად ლიკვიდაციამ და სხვა მოვლენებმა. 2004 წლის მიწის ბალანსი (ცხრილი 1) გვიჩვენებს მიწის ფონდის რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებების ტენდენციას.

**ცხრილი1**

**მიწის ფონდი და მისი განაწილება სავარგულებისა და მიწათმოსარგებლეთა მიხედვით 2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით[1] (ათასი ჰექტარი)**

| | საერთო ფართობი | სასოფლო-სამეურნეო სავარგულები | მათ შორის | | | | შენობეები და ეზოები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სახნავი | მრავალწლიანი ნარგავები | სათიბი | საძოვრები | |
| კერძო საკუთრებაში გადაცემული | 948,9 | 767,3 | 438,5 | 180,5 | 44 | 84,5 | 19,8 |
| % | 12,4 | 25,3 | 54,6 | 68 | 30 | 4,7 | |
| სახელმწიფოს საკუთრებაში | 6679,5 | 2258,5 | 363,3 | 83,5 | 99,8 | 1712,1 | |
| % | 87,6 | 74,7 | 45,4 | 32 | 70 | 95,3 | |
| მ.შ-ის სასოფლო-სამეურნეო პროფილის ორგანიზაციების | 2822,3 | 2172,1 | 358,8 | 76,1 | 92,7 | 1644,5 | |
| % | 42,2 | 96,2 | 98,7 | 91,3 | 92,9 | 96,0 | |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების | 3857,2 | 86,4 | 4,5 | 7,2 | 7,1 | 67,6 | |
| % | 57,8 | 3,8 | 1,3 | 8,7 | 7,1 | 4 | |
| აქედან დასახლებული პუნქტების | 88,4 | 1,6 | 0,4 | 0,7 | _ | 0,5 | |
| % | 2,2 | 1,8 | 8,8 | 9,7 | _ | 0,74 | |

**1 საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. თბ. 2004. გვ. 24-25**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დაცული ტერიტორიების | 300,7 | 15,6 | 0,1 | 0,1 | 1,1 | 14,3 | |
| % | 7,8 | 18,0 | 2,2 | 1,4 | 15,5 | 21,1 | |
| ტყის ფონდის | 2456,2 | 55,9 | 2,8 | 6,1 | 5,1 | 41,9 | |
| % | 63,6 | 64,6 | 62,2 | 84,7 | 71,8 | 62,0 | |
| მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, საინფორმაციო საშუალებების, ენერგეტიკის, თავდაცვის და სხვა დანიშნულების | 171,9 | 12,8 | 1,2 | 0,3 | 0,9 | 10,4 | |
| % | 4,5 | 14,8 | 26,6 | 4,1 | 12,6 | 15,4 | |
| რელიგიური ორგანიზაციების | 4,9 | – | – | – | – | – | |
| წყლის ფონდის | 835,1 | 0,5 | _ | _ | _ | 0,5 | |
| % | 21,6 | 0,6 | _ | _ | _ | 0,74 | |
| სულ | 7628,4[1] | 3025,8 | 801,8 | 264,3 | 143,8 | 1796,6 | 19,8 |
| % | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |

როგორც ჩანს, 2004 წელს საქართველოს მიწის ფონდი შეადგენდა **7628,4 ათას ჰექტარს** (ასეთი მატება გამოიწვია იმან, რომ 2002 წელს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საერთო ფართობში შეტანილი იქნა**678,5 ათასი ჰექტარი** ტერიტორიული წყლების ფართობიც). ასევე საერთო მონაცემებში შეტანილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამაჩაბლოს მონაცემებიც.

2005 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მის მიერ შედგენილ მიწის ბალანსში უცვლელად დატოვა წინა წელს დაფიქსირებული საერთო ფართობი-**7628,4** ათასი ჰექტარი, უმნიშვნელო ცვლილებები შევიდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მონაცემებში

**1 საერთო ფართობში შეტანილია საქართველოს ტერიტორიული წყლების ფართობი (678,5 ათასი ჰექტარი)**

(**3026,3 ათასი),** მათ შორის სახნავი (**802,1** ათასი), მრავალწლიანი ნარგავების ფართობი (**264** ათასი ჰა), სათიბი (**143,5**ათასი ჰა). საძოვარი (**1796,6** ათასიჰა) უცვლელად დარჩა.

2005 წლის შემდეგ ქვეყანაში მიწის ბალანსი არ დგება. ამიტომ მიწის კატეგორიების მიხედვით ცვლილებებზე ინფორმაცია არ მოიპოვება. 2014 წელს ჩატარებულმა სასოფლო-სამეურნეო აღწერამ მოიცვა მხოლოდ **842,3** ათასი ჰექტარი მიწა, რომელიც საკუთრებაში, ან დროებით სარგებლობაში ჰქონდათ შინამეურნეობებსა და იურიდიულ პირებს. აღწერის მიხედვით, ქვეყანაში აღმოჩნდა **642,2 ათასი** მეურნეობა (მათ შორის **640 ათასი** - შინამეურნეობა, **2,2 ათასი** - იურიდიული პირი), რომლებიც ფლობდნენ **842,3 ათას** სასოფლო და არასასოფლო მიწის ფართობს. აქედან სასოფლო-სამეურნეო მიწა შეადგენდა **787,7** ჰექტარს (2005 წელს აღიარებული ამ კატეგორიის მიწის ფართობის **26%**), სახნავი **377,4** (ანუ 2005 წლის მაჩვენებლის **47%**).

მიწის რეფორმის ერთი-ერთი ნეგატიური შედეგია მიწის ფართობების ფრაგმენტაცია (დანაწევრება). მაგალითად, 2014 წლის აღწერის მიხედვით ერთ ჰეტრამდე მიწის ფართობი ჰქონდა მეურნეობათა **73%**-ს, 1-2 ჰექტრამდე - 20%-ს, 5-დან 10 ჰეტრამდე - **1%**-ს. აღსანიშნავია, რომ ერთი ნაკვეთი ჰქონდა მეურნეობათა **46%**-ს, 2-3 ნაკვეთი - **39%**-ს, 4-5 ნაკვეთი - **11%**-ს, 6-9 ნაკვეთი - **3%**-ს. საშუალოდ მეურნეობის ფართობი შეადგენდა **1,31 ჰა**-ს, მათ შორის სახნავი - **0,71 ჰა,** მრავალწლიანი ნარგავები - **0,4 ჰა.**

**მოუწესრიგებელია მიწის ფართობების (ნაკვეთების) რეგისტრაციაც.** 2016 წელს რეგისტრირებული იყო მათი საერთო რაოდენობის მხოლოდ 25%. უახლოეს 2-3 წელიწადში გათვალისწინებულია დასრულდეს არსებული ფართობების რეგისტრაცია.

ეკონომიკური რეფორმების პოზიტიური შედეგია მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრება. ცხრილიდან ჩანს, რომ 2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობითკერძო საკუთრებაში გადაცემული მიწის საერთო ფართობი შეადგინდა **948,8 ათასი ჰა-ს**

(ანუ ქვეყნის მიწის საერთო ფართობის **12,4%**), აქედან, **767,3 ათასი ჰა** იყო სასოფლო-სამეურნეო სავარგული (საერთო ფართობის 25,3**%**). მათ შორის, სახნავი - 438,5 **ათასი ჰა** (54,6%), მრავალწლიანი ნარგავები 180,5 **ათასი ჰა (68%),** სათიბი 44 ათასი ჰა **(30%),** საძოვარი 84,5 **ათასი ჰა (4,7%).** ამ დროისათვის სახელმწიფო საკუთრებაში ისევ რჩებოდა საერთო ფართობის **87,6%,** სასოფლო-სამეურნეო სავარგულების - 74,7**%**, სახნავის - 45,4%, მრავალწლიანი ნარგავების - **32%,** სათიბის - **70%,** საძოვრების - 95,**3%.**

**აღსანიშნავია, რომ მიწის პრივატიზაცია არ ჩატარებულა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამაჩაბლოში.** ამასთან კანონის „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" შესაბამისად, აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სარგებლობაში არსებული 21,9 ათასი ჰექტარი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (აქედან 19,3 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული) ჩაითვალა მათ კერძო საკუთრებაში. (იმ პერიოდში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სულ სასოფლო-სამეურნეო სავარგული შეადგენდა 217,3 ათას ჰექტარს. მათ შორის სახნავი - 44,8 ათასი ჰა, მრავალწლიანი ნარგავები -44,1 ათასი ჰა, სათიბი - 2 ათასი ჰა, საძოვარი - 126,4 ათას ჰექტარს, შესაბამისად, სამაჩაბლოში: 57,9, 2,9, 0,1, 8, 46,9 ათას ჰექტარს).

საქართველოს კანონის **„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ"** შესაბამისად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე 2003 წლის 1 აპრილის მდგომარეობით გაცემული იყო **905,1 ათასი ჰა** სასოფლო-სამეურნეო სავარგული (ეს შეადგენდა მთელი სავარგულის (3023,5 ათასი) 29,9%-ს). აქედან სახნავი იყო **222,7 ათასი ჰა** (27,9%), მრავალწლიანი ნარგავი **-30,3 ათასი ჰა** (11,4%), სათიბი **-46,1 ათასი ჰა** (32,2%), საძოვარი **-606,0 ათასი ჰა** (33,7%).

905,1 ათასი ჰექტრიდან 40,2 ათასმა ფიზიკურმა პირმა იჯარით მიიღო 473,1 ათასი ჰექტარი (საშუალოდ 11,8 ჰა) და 4,2 ათასმა იურიდიულმა პირმა - 432 ათასი ჰა (საშუალოდ 102,9 ჰა).

**ამრიგად, საკუთრებაში და იჯარით გაცემულმა სასოფლო-**

**-სამეურნეო სავარგულმა შეადგინა 1668,1 ათასი ჰა (ანუ მთელი სავარგულის 55,2%. აქედან სახნავი - 659,0 ათასი ჰა (82,5%), მრავალწლიანი ნარგავები - 211,7 ათასი ჰა (79,9%), სათიბი - 88 ათასი ჰა (61,5%), საძოვარი - 689,6 ათასი ჰა (38,4%), და საცხოვრებელი, სამეურნეო შენობებით და ეზოებით დაკავებული - 19,8 ათასი ჰექტარი.**

**მიწის რესურსების გამოყენების კონტექსტში ყურადღებას იპყრობს** სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყენებული ფართობების მკვეთრად შემცირების ტენდენცია (ცხრილი 2,3), რაც აისახა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე (ცხრილები 4, 5).

**ცხრილი 2**

**სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები (ათასი ჰა)**

| ფართობი | 1990[1] | 1995[1] | 1997[1] | 2003[2] | 2012[3] | 2014[4] | 2017[5] | 2018[5] | 2018 წ 1990 წლის მიმართ +/- |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნათესი ფართობი სულ | 701,9 | 453,1 | 597,5 | 561,7 | 259,6 | 274,9 | 220,3 | 207,1 | -494,8 |
| მათ შორის მარცვლ. და მარცვლ.-პარკოსანი კულტურ. | 269,8 | 259,9 | 437,2 | 371,0 | 186,9 | 213,0 | 162,0 | 153,2 | -116,6 |
| მათ შორის | | | | | | | | | |
| ხორბალი | 91,7 | 61,3 | 174,9 | 117,3 | 50 | 48,6 | 44,8 | 43,6 | -48,1 |
| სიმინდი | 107 | 142,4 | 203,2 | 197,6 | 114,8 | 129,1 | 84,8 | 72,8 | -34,2 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ბოსტნეულ-ბაღჩეული** | 39,5 | 30,8 | 35,3 | 50,6 | 27,1 | 22,4 | 17,1 | 15,4 | -24,1 |
| **კარტოფილი** | 27,8 | 23,2 | 27,1 | 37,6 | 25,8 | 18,2 | 19,9 | 18,9 | -8,9 |
| **საკვები კულტურები** | 329 | 97,9 | 57,7 | 55,0 | 9,4 | 10,5 | 16,2 | 16,2 | -312,8 |

[1]საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 1999 წ. თბ. გვ. 173-175

[2] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2009 წ. გვ. 172-173

[3] საქართველოსსტატისტიკის ეროვნული სამსახური. სოფლის მეურნეობა 2014 წ. გვ. 30

[4] საქართველოსსტატისტიკის ეროვნული სამსახური. სოფლის მეურნეობა 2017 წ. გვ. 30

[5] სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2018 წ. გვ. 29

**ცხრილი 3**

**მრავალწლიანი ნარგავების ფართობი (ათასი ჰა)**

| ნარგავების სტრუქტურა | **1990**[1] | **1995**[1] | **2003**[2] | **2004**[2] | **2014**[3] | **2017**[4] | **2017 წ 1990 წლის მიმართ +/-** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ხეხილი** | 126,5 | 94,9 | 65,3 | 36,988 | 59,4 | 74,8 | -51,7 |
| **ვენახი** | 112,8 | 94,2 | 70,2 | 37,419 | 32,9 | 36,1 | -76,7 |
| **ციტრუსების პლანტაციები** | 24,7 | 13,2 | 15,9 | 8,715 | 7,4 | 8,9 | -15,8 |
| **ჩაი** | 62,3 | 33,1 | 39,9 | 11,524 | 4,6 | | -57,7 |

[1] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 1999 წ. გვ. 175

[2] საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. თბ. 2005. გვ.44

[3] საქართველოს 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. თბილისი. გვ.98

[4] სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სოფლის მეურნეობა 2018 წ. გვ. 59

**ცხრილი 4**

## ერთწლიანი კულტურების წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში (ათასი ტონა)

| კულტურები | 1990[1] | 1995[1] | 1997[1] | 2003[2] | 2012[3] | 2014[3] | 2017[4] | 2018[4] | 2018 წ 1990 წლის მიმართ +/- |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი | 257,7 | 76,6 | 291,8 | 225,4 | 80,7 | 47,5 | 97,9 | 107,1 | -150,6 |
| სიმინდის მარცვალი | 270,2 | 386,5 | 546,3 | 461,9 | 267,0 | 291,6 | 142,5 | 194,2 | -76,0 |
| ლობიო | 7,3 | 14,8 | 10,2 | 12,1 | 9,6 | 7,6 | 5,7 | 5,8 | -1,5 |
| კარტოფილი | 293,8 | 353,3 | 353,0 | 425,2 | 252,0 | 215,3 | 180,1 | 237,5 | -56,3 |
| ბოსტნეული | 443,2 | 428,3 | 513,9 | 430,1 | 198,5 | 153,6 | 125,9 | 142,2 | -301,0 |
| ბაღჩეული | 38,8 | 12,9 | 27,0 | 125,0 | 36,7 | 86,1 | 80,1 | 70,2 | +31,4 |
| მრავალწლ. ბალახების თივა | 128,2 | 61,6 | 82,3 | 130,8 | 32,0 | 35,6 | 48,9 | 49,9 | -78,3 |
| ერთწლიანი ბალახების თივა | 185,2 | 70,4 | 43,6 | 48,6 | 5,0 | 5,9 | 7,4 | 9,2 | -176,0 |

[1] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 1999 წ. გვ. 176-177

[2] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2009 წ. გვ. 174

[3] სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2014 წ. გვ. 30, 32, 38

[4] სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2018 წ. გვ. 32

ცხრილი 5

მრავალწლიანი კულტურების წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობაში (ათასი ტონა)

| პროდუქცია | 1986-1990[1] | 1990[2] | 1995[2] | 2003[3] | 2012[4] | 2014[5] | 2017[6] | 2018[6] | 2018 წ 1990 წლის მიმართ +/- |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყურძენი | 629,5 | 691,0 | 422,4 | 200,0 | 144,0 | 172,6 | 180,8 | 259,9 | -369,5 |
| ხილი | 645,3 | 591,2 | 383,9 | 260,0 | 157,9 | 210,8 | 114,1 | 188,2 | -457,1 |
| ციტრუსი | 259,8 | 283,1 | 118,0 | 40,0 | 77,0 | 69,8 | 58,2 | 66,3 | -193,5 |
| ჩაის ფოთოლი | 522,3 | 501,7 | 38,5 | 24,0 | 2,6 | 1,8 | 2,3 | 1,7 | -520,6 |
| თხილი | - | - | - | - | 24,7 | 33,8 | 21,4 | 17,0 | - |

[1]1985,1990 წლების საშუალო წლიური. საქართველო ციფრებში 1990. თბ. 1991, გვ. 94

[2]1990,1995 წწ. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 1999, გვ. 177

[3]საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2009. გვ. 181

[4]საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სოფლის მეურნეობა 2013 წ. გვ. 41

[5]საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სოფლის მეურნეობა 2017 წ. გვ. 60

[6]საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.სოფლის მეურნეობა 2018 წ. გვ. 59

2 და 3 ცხრილის მიხედვით 1990-2018 წლებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობი შემცირდა **495 ათასი** ჰექტრით, მრავალწლიანი ნარგავების ფართობი(2017 წელი) შემცირდა**201,9 ათასი** ჰექტრით. ასეთი ცვლილებები ადეკვატურად აისახა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე.

მაგალითად, ხორბლის წარმოება შემცირდა**150,6 ათასი** ტო-

ნით, სიმინდის მარცვლის **-22,2 ათასი** ტონით, ლობიოსი - **1,5 ათასი** ტონით, კარტოფილის **-56,3 ათასი** ტონით, ბოსტნეულის - **301,0 ათასი** ტონით, ყურძნის **-369,5 ათასი** ტონით, ხილის - **457,1 ათასი** ტონით, ციტრუსის - **193,5 ათასი** ტონით, ჩაის ფოთლისა - **520,6 ათასი** ტონით. ამავე პერიოდში ხორცის წარმოება შემცირდა **-97,7 ათასი** ტონით, რძის - **104,1 ათასი** ტონით, კვერცხის - **219,8 მლნ ცალით.**

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრად შემცირებამ ხელი შეუწყო ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების რისკების ზრდას. მაგალითად, 2018 წელს თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტმა შეადგინა ხორბალში - **15%**, ბოსტნეულში - **62%**, ხორცსა და ხორცპროდუქტებში - **47%**. 2019 წელს სასურსათო პროდუქციის იმპორტი სჭარბობდა ექსპორტს **4**-ჯერ. სურსათის იმპორტის წილი მთლიან იმპორტში - 10,2%-ია, შესაბამისად ექსპორტისა - 6,3%.

ზემოთ აღნიშნული გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

ამ მიზნით საჭიროა მთელი რიგი ორგანიზაციული და სამეურნეო ხასიათის ღონისძიებების განხორციელება:

- უნდა მოწესრიგდეს მიწის აღრიცხვა, როგორც კატეგორიების, ასევე საკუთრების ფორმების მიხედვით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ის, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობაში შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულ სააგენტოს - დავალებული აქვს, როგორც მიწის რესურსების აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის შექმნა, ასევე მიწის ბალანსის შედგენაც. გასათვალისწინებელია, რომ მიწის ბალანსი უნდა შედგეს ქვეყანაში მიწის საერთო ფართობის (და არა მარტო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის) ინვენტარიზაციის საფუძველზე.იგი უნდა ჩატარდეს რეგიონების მიხედვით წინასწარ შედგენილი პროექტების შესაბამისად. კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით და ეტაპობრივად. პირველ რიგში აუცილებელია სახელმწიფოს ბალანსზე არსებული სასოფლო-სამეურნეო ფა-

რთობების აღწერა (დაზუსტება).

- მიწის ფართობების ინვენტარიზაციისა და მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის შედეგების მიხედვით უნდა შემუშავდეს მიწის (ნიადაგის) ნაყოფიერების ამაღლებისა და დაცვის ღონისძიებათა გეგმა (გენერალური სქემა) 2030 წლამდე პერიოდისათვის.

- მუნიციპალიტეტების მიხედვით უნდა შეიქმნას მიწის რესურსების შესახებ საინფორმაციო ბაზა, რომელიც მომავალში საფუძვლად დაედება ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პროგრამების შედგენას, მიწათმოწყობის სისტემის სრულყოფას,და რაც მნიშვმნელოვანია, საიჯარო ურთიერთობების განვითარებას, მიწის კონსოლიდაციის პროცესების თანმიმდევრულად და მიზნობრივად განხორციელებას.

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირმა - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულმა სააგენტომ (მას უნდა ჰქონდეს რეგიონული სამსახურები), უნდა უზრუნველყოს ყოველწლიურად მიწის ბალანსის შედგენასთან ერთად შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება აღრიცხვაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.ასევე მიწის რესურსების გამოყენებაში პროგნოზირებისა და დაგეგმვის, საპროექტო-საძიებო სამუშაოების, გენერალური და რეგიონული სქემების დამუშავების კოორდინაცია.

- მიწის, როგორც ბუნებრივი რესურსისა და წარმოების ფაქტორის რაციონალური გამოყენება უნდა მივიჩნიოთ ეროვნული ეკონომიკის კომპლექსური განვითარების უმთავრეს წინაპირობად. ამ მიზნით საჭიროა მიწის რესურსების ეფექტიანად გამოყენების პროცესი წარიმართოს ეკონომიკის რეგულირების სახელმწიფო და საბაზრო მექანიზმების შეთანწყობით, სახელმწიფოსა და საბაზრო სტრუქტურების პარტნიორული ურთიერთობების გაძლირებით.

- სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს მიწების მარაგი. გრძელვა-

დიან პერიოდზე გათვლით, მიზნობრივი პროგრამებითა და რეგიონების თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს მიწის სავარგულების (საკუთრების ფორმების მიუხედავად) დაცვისა და ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებანი, უპირველეს ყოვლისა ეროზირებული, დამლაშებული, დაჭაობებული და სხვა სახის მიწების ნაყოფიერების ამაღლებისათვის.

- ქვეყანაში უნდა დაჩქარდეს მიწის კოდექსის, მიწის კადასტრის შედგენისა და შესაბამისი სამართლებრივი ბაზის სრულყოფის პროცესი, რომელიც ხელს შეუწყობს მიწის რესურსების ეფექტიან გამოყენებას და შესაბამისად მიწის ბაზრის განვითარების წინაპირობების მომზადებას.

- მიწის რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით უნდა შემუშავდეს მიწის კონსოლოდაციის გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც კოოპერაციის საფუძველზე განსაზღვრავს ღონისძიებებს მიწის ნაკვეთების გამასივების, ინტენსიფიკაციის და სხვა ეფექტიანი ფორმების გამოყენებით.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ.ჭითანავა „საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები, გამოწვევები". მონოგრაფია, თბილისი, 2015 წ

2. Э.Накаидзе «Земельные ресурсы Грузии и проблемы их рационального использования». Мецниереба, Тбилиси, 1997 г

3. ნ.ტურაბელიძე „მიწის რესურსების მართვა". ლექციების კურსი, თბილისი, 2011 წ

4. ნ.ტურაბელიძე „მიწის კადასტრი"- ლექციების კურსი, თბილისი, 2011 წ

5.ა.სიჭინავა, პ.კოღუაშვილი, ა.მესხიშვილი „უძრავი ქონების ეკონომიკა" - სახელმძღვანელო, თბილისი, 2013 წ

6. საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია - 2017-2020 წწ (ინტერნეტ რესურსი)

7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, პუბლიკაციები - 2004, 2012, 2016, 2018 წლები (ინტერნეტ რე-

სურსი)

8. საქართველოს 2004 და 2014 წლების სასოფლო-სამეურნეო აღწერა, თბილისი, 2005 წ. და 2015 წ.

**REFERENCES:**

1. N.Chitanava „Agriculture of Georgia: Transformation, the Problems, Provocations", monograph, Tbilisi, 2015.

2.E.Nakaidze "Land Resources of Georgia and Problems of their Rational Using", "Metsniereba", Tbilisi, 1997 (rus)

3.N.Turabelidze "Land Resources Management", Lectures courses, Tbilisi, 2011

4. N.Turabelidze "The Land Cadastre". Lectures courses, Tbilisi, 2011

5. A.Sichinava, P.khoguashvili, A.Meshishvili "Real Estate Economics". Textbook, Tbilisi, 2013;

6. Strategy of Georgian Villages Development. 2017-2020 (internet resources)

7. National Statistics Office of Georgia. Publications – 2004, 2012, 2016, 2018 (internet resources)

8. Agriculture Description of Georgia in 2004 and 2014. Tbilisi, 2005 and 2015.

# THE STRUCTURE OF THE STATE LAND FUND OF GEORGIA: PECULIARITIES, TRENDS, PROBLEMS

**Rusudan Pirtskhalava**
Researcher of I.Zhordania Center Studying
Productive Forces and Natural Resources
of Georgia, at the GTU. Doctoral Candidate of the Faculty of
Engineering Economics of the same University

**RESUME**

The article studies the changes taking place in the state land fund of Georgia over the period of transition to market relations, reveals the peculiarities, analyzes prevalent trends in land resources usage.

In 1990-2019, the state land fund underwent quantitative and qualitative changes. The implemented land reform was unprepared. Misappropriation of land was large-scale. Naturally, the existing agricultural production broke down. Privatization has caused the fragmentation of large areas into small contours. The average area of farms is 1.3 ha, average number of land plots is 2.33, 73% of farms has land area up to 1 ha, the land areas registration is unsettled. During the recent 15 years, the land balance has not been established in the country. The area of cultivated land was sharply reduced. In 1990-2019, the areas under cultivation were decrease by 495 thousand ha, the areas under perennial crops (2017) – by 201.9 thousand ha. These changes have resulted in a considerable reduction of the agricultural products output that has raised the risks of food safety still more, and the country is greatly depended on importation.

The article substantiates that in order to regulate accounting of the land areas it is necessary to make their inventory and complete registration. The state program for land (soil) conservation and increasing of soil fertility should be established in the country. The state should implement measures aimed at rational use of land resources in accordance with the special-purpose programs.

**Key words:** land fund, land rusources, land category, land balance, consolidation, land code, land inventory, specific programs.

# INTERNAL AUDIT REFORM AS ONE MAIN COMPONENT OF THE PUBLIC INTERNAL FINANCIAL CONTROL SYSTEM IN GEORGIA

**Nino Chovelidze**
GTU PhD Student,
The Faculty of Business Technology

**RESUME**

The Public Internal Financial Control System ensures the formation of independent, objective, public, transparent and professional public internal financial control, including formation of internal audit system. The internal control represents an instrument providing the transparency of the principles of financial management and control (FMC) for the purpose of the State's financial stability maintenance and enhancement.

This paper discusses the public internal financial control system's integral part - an internal audit unit reform. The system which I mentioned and the implementation of internal audit is an important issue for our country integration with the EU. This research paper reviews the compliance of the PIFC law in Georgia with international standards for the professional practice of internal auditing.

**Key words:** internal financial control, transparent, integration, internal audit, recommendation, governance, independence, standard, board, knowledge.

## INTRODUCTION

"The conventional wisdom is that Government cannot be effective in the absence of public trust. Government auditors play a central role in fostering such trust, and have even been referred to as the guardians of public trust. Without them, citizens would lack credible insight into the soundness of the many inner workings of government."

Richard Chambers IIA President and CEO 2011

According to the Institute of Internal Auditors, "internal auditing is an independent, objective assurance and consulting activity designed to add value and improve an organization's operations. It helps an organization accomplish its objectives by bringing a systematic, disciplined approach to evaluate and improve the effectiveness of risk management, control and governance processes." Another world we can explain that internal audit is responsible for monitoring the effectiveness of the internal control processes that have been established by management. The effective of the internal control system contributes to the whole implementation of a common system of public finances management and control (The IIA, 2011).

The importance of internal auditing in the public sector should be discussed below:

1. Government auditing is a cornerstone of good public sector governance as it provides unbiased, objective assessments of whether public resources are responsibly and effectively managed to achieve the intended results and also by promoting the appropriate ethics and values within the organization. Internal auditors help government organizations achieve accountability and integrity, improve organizational performance management and instill confidence among citizens and stakeholders.

2. The government auditor's role supports the governance responsibilities of oversight, insight and foresight. Oversight addresses whether government entities are doing what they are supposed to do and serves to detect and deter public corruption. Insight assists decision-makers by providing an independent assessment of government programs, policies, operations and results. Foresight identifies trends and emerging challenges.

3. Internal audit activity has become an essential internal assurance mechanism in public financial controls and a tool for monitoring and evaluating managerial activities prior to external evaluation by external auditors.

4. Internal auditors further enhance transparency, fairness, re-

duce corruption and ensure value for money in public procurement. An internal audit function is an essential part of any public expenditure management system and should ensure that public spending is within budgetary provisions; disbursements comply with specified procedures, provides for the timely reconciliation of accounts and effective systems for managing and accounting for physical and financial assets.

5. They also work with management to improve service delivery and ensure compliance with applicable laws, provide independent and objective assurance to an organization's management that its risks are being mitigated to an acceptable level, and reports where they are not.

6. Internal auditors are an integral part of government financial management and an instrument for improving performance and performance management in the public sector. Internal auditors could also play an instrumental role in performing value-for money (VFM) audits otherwise called "Performance Audits."Performance audits are concerned with the audit of economy, efficiency and effectiveness of government expenditures or spending plans. In practice, performance auditing is focused on assessing whether organizations are doing the right things, in the smartest way.

If organization wants to have an effective public sector audit, public sector audit activities needs: organization independence, which allows the audit activity to conduct work without interference by the entity under audit; The audit activity's powers and duties should be established by the public sector's constitution, charter, or other basic legal documents; Audits should be conducted with complete and unrestricted access to employees, property, and records as appropriate for the performance of audit activities. The audit activity needs a professional staff that collectively has the necessary qualifications and competence to conduct the full range of audits required by its mandate.

Based on the above, the aim of the work paper is to asset internal audit reform, as a part of the public internal financial control system, in Georgia.

## LITERATURE REVIEW

The public internal financial control legislation should detail responsibility of IAU-s and the organization's other organizational units to identify risks and related controls, and detail IAU-s' responsibility to assess the risks and controls. Internal audit methodology should detail procedures and directions required for the purpose. It should give definition of efficiency, one of the three 'e'-s of performance audit that is in accord with the term as used in the best international practice, i.e., making the most of the fewest possible rather than available resources. The main question is whether the fewest possible resources have been put to optimal or satisfactory use. Apart from the definition, we believe internal audit standards should give examples of making the most of the fewest possible rather than available resources[1].

Public Internal Financial Control (PIFC) is the framework used across the European Union member states from the former Eastern Bloc as a means to implement the basic control systems to safeguard public resources. PIFC is comprised of two primary components: (i) financial management and control systems and (ii) internal auditing. With regard to internal auditing, the PIFC framework is based on IIA Standards for the Professional Practice of Internal Auditing[2].

Boards and audit committees should satisfy themselves that audit committee members have an appropriate level of expertise and specifically experience relevant to the sector in which the company operates. It is reasonable to expect that such considerations become an important part of both the annual audit committee assessment exercise and board succession planning. When making appointments to the audit committee the board should consider the overall knowledge and experience of the committee in order to achieve sec-

1 NGO - Transparency international Georgia, "challenges of public internal financial control in Georgia", Article 7.4, P.42, July 2014 http://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Challenges%20of%20public%20internal%20financial%20control%20in%20Georgia.pdf

2 "BELARUS: NOTE on the REFORM of INTERNAL AUDIT", p.3

toral competence[1].

The audit committee should, at least annually, assess the independence and objectivity of the auditor, taking into consideration relevant UK law, regulation, the Ethical Standard and other professional requirements. The audit committee should consider the annual disclosure from the statutory auditor and discuss with the auditor the threats to their independence and the safeguards applied to mitigate those threats[2].

## INTERNAL AUDIT REFORM IN GEORGIA

Following the declaration of independence from the Soviet rule in 1991, Georgia undertook a series of structural reforms to move toward a new state model. These included measures aimed at trade liberalization and legal and regulatory reform. However, weak fiscal management and lack of public sector capacity reduction the effects of these reforms. The 'rose revolution' of 2003 gave a new impulse to the reform process. The Government recognized the urgent need for a better functioning public sector to perpetuate economic gains and meet growing social inequities. In 2004, the Ministry of Finance prepared the Strategic Vision for Public Financial Management (PFM). In 2007, Government of Georgia and the European Commission concluded agreement about "Supporting Georgian Financial Management Reform".

Georgia's PIFC reform, effectively, started in 2010. However, it was an EU-Georgia agreement that laid the foundation of the PIFC system in 2007. Although the Law on Public Internal Financial Control adopted in December 2011 was a step forward compared to its predecessor, the law does not ensure effective functioning of the PIFC system. The law was the regulator of internal audit and inspection activities, but not in compliance with internation-

**1 KPMG, "the impact on the role and responsibilities of audit committees", p.4**

**2 KPMG, "the impact on the role and responsibilities of audit committees", p.13**

al standards, in particular there were no separate internal audit and inspection roles. In 2015, changes the law “public internal financial control” and the status of the harmonization center has changed as The Department of State Internal Control in the Ministry of Finance, which is Implementing the functions of the Harmonization Center (to compliance EU model). Also new law functionally separated internal audit and inspection and some term have been updated (for example: term “discovery” changed as term “findings”).

This main goal of this research paper is to answer the question:

**Is the PIFC new law in compliance with international standards for the professional practice of internal auditing?**

In my topic I have discussed only 5 standards from International standards for the professional practice of internal auditing**.** They are:

- ➢ 1000 **-** Purpose, Authority, and Responsibility;
- ➢ 1100 – Independence and Objectivity;
- ➢ 1130 – Impairment to Independence or Objectivity;
- ➢ 1200 – Proficiency and Due Professional Care;
- ➢ 1300 – Quality Assurance and Improvement Program.

1000 – **purpose, authority and responsibility -** “The purpose, authority, and responsibility of the internal audit activity must be formally defined in an internal audit charter, consistent with the Definition of Internal Auditing, the Code of Ethics and the Standards. The chief audit executive must periodically review the internal audit charter and present it to senior management and the board for approval”.

1000. C1 – The nature of consulting services must be defined in the internal audit charter.

1010 – Recognition of the Definition of Internal Auditing, the Code of Ethics, and the Standards in the Internal Audit Charter The mandatory nature of the Definition of Internal Auditing, the Code of Ethics, and the Standards must be recognized in the internal audit charter. The chief audit executive should discuss the Definition of Internal Auditing, the Code of Ethics, and the Standards with senior management and the board.

In Georgia the PIFC law consists of the projects of internal audit charter should be developed as a result of consultation with the Harmonization Center, but not talking about the minimum requirements for Regulation of Internal Audit charter, who, when review it and to whom present for approval.

**1100** – Independence and Objectivity The internal audit activity must be independent, and internal auditors must be objective in performing their work.

**Interpretation:** Independence is the freedom from conditions that threaten the ability of the internal audit activity to carry out internal audit responsibilities in an unbiased manner. To achieve the degree of independence necessary to effectively carry out the responsibilities of the internal audit activity, the chief audit executive has direct and unrestricted access to senior management and the board. This can be achieved through a dual-reporting relationship. Threats to independence must be managed at the individual auditor, engagement, functional, and organizational levels. International Standards for the Professional Practice of Internal Auditing (Standards) Issued: The Institute of Internal Auditors Objectivity is an unbiased mental attitude that allows internal auditors to perform engagements in such a manner that they believe in their work product and that no quality compromises are made. Objectivity requires that internal auditors do not subordinate their judgment on audit matters to others. Threats to objectivity must be managed at the individual auditor, engagement, functional, and organizational levels.

1120 – Individual Objectivity Internal auditors must have an impartial, unbiased attitude and avoid any conflict of interest.

**Interpretation:** Conflict of interest is a situation in which an internal auditor, who is in a position of trust, has a competing professional or personal interest. Such competing interests can make it difficult to fulfill his or her duties impartially. The conflict of interest exists even if no unethical or improper act results. It can create an appearance of impropriety that can undermine confidence in the internal auditor, the internal audit activity, and the profession. The

conflict of interest could impair an individual's ability to perform his or her duties and responsibilities objectively

The PIFC law does not define what each principle means. But article 17 – basic principles of activities of internal audit units - talking about: internal audit units shall perform their activities in compliance with this law, other legislative and subordinate acts of Georgia, internal audit standards, the code for internal auditors, the statutes of internal audit units and the following basic principles: a) independence; b) integrity; c) objectivity; d) professionalism; e) confidentiality; f) legality; g) transparency.

1110 – Organizational Independence. The chief audit executive must report to a level within the organization that allows the internal audit activity to fulfill its responsibilities. The chief audit executive must confirm to the board, at least annually, the organizational independence of the internal audit activity.

**Interpretation:**

Organizational independence is effectively achieved when the chief audit executive reports functionally to the board. Examples of functional reporting to the board involve the board:

1. ·NGO- Transparency international Georgia, "challenges of public internal financial control in Georgia"

2. BELARUS: NOTE on the REFORM of INTERNAL AUDIT;

3. KPMG, "The Impact on the role and responsibilities of audit committees";

4. The law "Public Internal Financial Control";

5. Institute of Internal Auditors (IIA)– IPPF International Professional Practices Framework, 2013;

6. What is difference between internal audit and internal control? https://enablon.com/blog/whats-the-difference-between-internal-audit-internal-control/

7. https://www.mof.ge/4178

# საქართველოში შიდა აუდიტის რეფორმა - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის კომპონენტი

**ნინო ჭოველიძე**
სტუ ბიზნეს ტექნოლოგიების
ფაკულტეტის დოქტორანტი

## რეზიუმე

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს დამოუკიდებელ, ობიექტურ, საჯარო, გამჭვირვალე და პროფესიონალურ შიდა ფინანსური კონტროლის ფორმირებას, რომელიც მოიცავს შიდა აუდიტს. შიდა კონტროლი წარმოადგენს ფინანსური მართვისა და კონტროლის პრინციპების გამჭვირვალე ინტრუმენტს, რომლის მთავარი მიზანია ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება.

აღნიშნულ ნაშრომში განხილულია შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის ერთ-ერთი კომპონენტი - შიდა აუდიტი. ეს რეფორმა და რეფორმის ფარგლებში შიდა აუდიტის დანერგვა, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მნიშვნელოვანი კომპონენტია. აღნიშნული კვლევა ეხება „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისობას შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან.

**საკვანძო სიტყვები:** შიდა ფინანსური კონტროლი, გამჭვირვალობა, ინტეგრაცია, შიდა აუდიტი, რეკომენდაცია, მმართველობა, დამოუკიდებლობა, სტანდარტი, საბჭო, ცოდნა.

# საქართველოში მოგების გადასახადის რეფორმის ზოგიერთი შედეგის შესახებ

**თამთა ქორიძე**
სტუ დოქტორანტი

**რეზიუმე**

მოგების გადასახადის რეფორმის განხორციელების საწყის ეტაპზე მოსალოდნელი იყო საგადასახადო შემოსავლების მკვეთრი შემცირება. კვლევებზე დაყრდნობით დადებითი ეფექტის მისაღებად საჭირო იქნებოდა რამდენიმე წლიანი მოლოდინი. თუმცა საგადასახადო შემოსავლების შემცირებას ადგილი არ ქონია, რადგან რეფორმის უარყოფითი შედეგების საკომპენსაციოდ მოხდა აქციზის გადასახადის ზრდა, რამაც გამოიწვია სამომხმარებლო პროდუქტებზე ფასების მატება და ეროვნული ვალუტის გაუფასურება.

აღნიშნული რეფორმის პოზიტიურ შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ: ინვესტიციების გარკვეულწილად სტიმულირება, საგადასახადო შემოსავლების გაუჯობესებისათვის ნაკლებეფექტიანი საბიუჯეტო დანახარჯების შემცირება, კაპიტალის და პროდუქტიულობის მეტ-ნაკლები ზრდა და გრძელვადიანი მიზნებისთვის ეკონომიკური ზრდის სტიმულირება. თუმცა აქვე უნდა გამოვყოთ მთავარი ნეგატიური ეფექტი, თუ საგადასახადო შემოსავლების დანაკლისის შევსება ხდება შრომის დაბეგვრის, ან სხვა გადასახადების ცვლილების ხარჯზე, ასეთ შემთხვევაში ადგილი ექნება თანმდევ ეკონომიკურ პრობლემებს, მაგალითად, როგორებიც არის: საგადასახადო სისტემის პროგრესულობის შემცირება, ეკონომიკაში შემოსავლების გადანაწილებასთან დაკავშირებული გამოწვევები, ეროვნული ვალუტის გაუფასურება და ა.შ..

**საკვანძო სიტყვები**: მოგების გადასახადი, საგადასახადო რეფორმა, ეკონომიკა, გადასახადები.

## შესავალი

სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარება და წინსვლა დიდწილად არის დამოკიდებული ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკაზე. მსოფლიოში უკვე ფართოდ არის დანერგილი პრაქტიკა - გარკვეული ეკონომიკური ჩავარდნების კომპენსირებისა სხვადასხვა ტიპის საგადასახადო რეფორმებით, რომლებიც ძირითადად მიმართულია არსებული რესურსების მაქსიმალურად რეალიზების, ეკონომიკური დანაკარგების ლიკვიდაციისა და საბოლოო ჯამში კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველომ არა ერთი მნიშვნელოვანი საგადასახადო რეფორმების ტალღა მიიღო.

## ძირითადი ტექსტი

ესტონური ეკონომიკის მსგავსად საქართველოც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება. ესტონური გამოცდილება და მის მაგალითზე მიღწეული ეკონომიკური შედეგები გახდა სწორედ საფუძველი საქართველოში ამ ინოვაციური საგადასახადო რეფორმის დანერგვისა. რეფორმას საფუძვლად უდევს პირდაპირპროპორციული, წამახალისებელი ეფექტი, როგორც მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, ასევე აღებული მისი ცალკეული კომპონენტების მიმართ, იქნება ეს ინვესტიციები, თუ საგარეო ვაჭრობა, რომლებიც, თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდის მთავარ კომპონენტებს წარმოადგენენ.

რეფორმის უპირატეს, ინოვაციურ ნაწილს წარმოადგენდა მიდგომა, რომლის მიხედვითაც საწარმოების მოგების გადასახადით დაბეგვრა გადავადდებოდა მანამ, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება.

მთავარი კითხვაა - რატომ მოგების გადასახადი? მსოფლიო ეკონომიკურ გამოცდილებაზე დაყრდნობით ისეთი გადასახადის გაუქმებას, ან განაკვეთის შემცირებას, რომელსაც პირდაპირი გავლენა აქვს ეკონომიკურ განვითარებაზე, ან რომლიც ადმინისტრირების კუთხით ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს, პოტენციურად მოყვება ყველაზე მაღალი ეკონომიკური ეფექტი.

საქართველოს შემთხვევაში ფართოდ დანერგილი ცვლილების მიუხედავად რეფორმა გადასახადის განაკვეთს არ შეხებია და კვლავ 15% დარჩა, მაგრამ გადასახადის დაანგარიშება ხდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან განაკვეთის გამოყოფით. კონკრეტულად: დასაბეგრი მოგება იყოფა 0.85-ზე და შემდეგ დაიანგარიშება ამ თანხის 15%.

განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, საწყის ეტაპზე მოსალოდნელი იყო მკვეთრი ნეგატიური ეფექტები, რომლის სავარაუდო გამოხატულებაც უნდა ყოფილიყო მოკლევადიან პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტის გარკვეული დოზით კლება. დადებითი ეფექტის მისაღებად მოლოდინის შუალედად მიიჩნევდნენ რამოდენიმე წელს, რომლის ვადის გასვლის შედმგომაც შესაძლებელი გახდებოდა უარყოფითი ეფექტების აღმოფხვრა და მდგომარეობის სასურველი სცენარით განვითარება.

რეფორმამ კრიტიკოსებს მოლოდინები გაუცრუა. მის დანერგვასთან დაკავშირებული პოტენციური რისკები - საბიუჯეტო დანაკარგების თვალსაზრისით, არ გამართლდა. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების საფუძველზე საბიუჯეტო შემოსავლების შემცირების ფაქტი არ დაფიქსირდა. პირიქით, მთავრობის მიერ შემუშავებულმა ამ რეფორმამ საკმაოდ დადებითი როლი ითამაშა მწარმოებლურობისა და დანაზოგების ზრდის ნაწილში. ის თანხები, რომლებიც მოგების გადასახადის სახით მოგების წარმოშობისთანავე გადაიხდებოდა ბიუჯეტში უკვე საწარმოს განკარგულებაში რჩებოდა მოგების საბოლოო განაწილებამდე ან ქვეყნიდან გატანის მომენტამდე. ამგვარმა რეგულაციის შემოღებამ გაზარდა კომპანიების წვდომა ფულად სახსრებზე და წაახალისა მიღებული მოგების რეინვესტირების ინტერესი იმავე ან ახალ საქმეში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტის შესრულების მონაცემებიდან გამომდინარე საერთო საგადასახადო შემოსავლების სახით მიღებულმა თანხებმა 2017 წელს - 8,999,307.4 მლნ ლარი, ხოლო 2018 წელს - 10,506,000 მლნ ლარი შეადგინა, 2019 წელს - 11,418,000 მლნ ლარი. რეფორმის ფონზე საგადასახადო შემოსავლების ყოველი მომდევნო წლის მაჩ-

ვენებელი აღემატებოდა წინა წლის მაჩვენებელს. 2017-2018 წლებში მხოლოდ ამ რეფორმის შედეგად ბიზნეს სექტორში დარჩა 1 მილიარდ ლარზე მეტი ლიკვიდური აქტივები, რომლებიც ბიზნესმა კომპანიის განსავითარებლად გამოიყენა. 2017 წელს რეისნვესტრიბის მოცულობა 2-ჯერ გაიზარდა და 657 მილიონ დოლარს მიაღწია. 2018 წელი კი თითქმის 67%-ით მეტი იყო რეინვესტირების კუთხით, ვიდრე წინა წელი.

დიაგრამა #1 გვიჩვენებს ეკონომიკური ზრდის ტენდენციებს 2013 წლიდან მიმდინარე პერიოდის ჩათვლით.




წყარო: http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=37

რეფორმის ეფექტურობა გამოხატული იქნა ეკონომიკურ ზრდაში, თუმცა ამ ზრდას არ ჰქონია მკვეთრად აღმავალი მაჩვენებელი, გრძელვადიან პერიოდში თანდართული პანდემიის პირობებში სამომავლო ვარაუდების გაკეთება კი მეტად რთულია.

იგივე რეფორმის ზეგავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე საკმაოდ საინტერესო სურათს გვაძლევს, რადგან მკვეთრი ზრდას არც აქ ქონია ადგილი. შეგვიძლია ვიხილოთ დიაგრამა #2 რომელიც ასახავს ინვესტიციების მოცულობას საქართველოში 2013-2019 წლებში.

დიაგრამა #2




წყარო: http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=37

დიაგრამის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოგების გადასახადის რეფორმის კონკრეტული მისია, რომელიც გულისხმობდა პირდაპირი ინევტიციებისთვის მიმზიდველი გაეხადა ეკონომიკური გარემო, სრულად ვერ განხორციელდა. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ უცხოური ინვესტიციების ზრდა მხოლოდ ცაკლეული ტიპის გადასახადის რეფორმაზე ვერაფრით იქნება დამოკიდებული.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაანალიზების საფუძველზე ვხედავთ, რომ გარდაუვალი უარყოფითი ფისკალური ეფექტის დადგომის უპირობობის მიუხედავად საგადასახადო შემოსავლების თვალსაზრისით ბიუჯეტში მკაფიო დანაკარგი არ დაფიქსირებულა, მაშინ როდესაც 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში მოგების გადასახადის სახით მიღებულმა თანხამ შეადგინა 756 ათასი ლარი, რაც 299,380 ლარით ნაკლები იყო 2016 წლის ფაქტიურ მაჩვენებელზე, 2018 წელს იგივე მაჩვენებელმა - 740 ათასი ლარი, ხოლო 2019 წელს 866,288 ლარი, რაც იმაზე მიუთითებს,

რომ ყოველწლიური მატების მიუხედავად ეს მაჩვენებელი მაინც დაბალი რჩებოდა რეფორმამდელ მაჩვენებელთან შედარებით. მაშინ რამ გამოიწვია ეკონომიკური ზრდა და რა დაუჯდა სახელმწიფოს ამ რეფორმის განხორციელებით გამოწვეული რისკების დაზღვევა?

მსგავსი ტიპის რეფორმის პირობებში, მსოფლიოში დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს რეფორმის შედეგად შემოსავლების შემცირების განეიტრალება სხვა გადასახადებიდან შემოსავლების მობილიზაციით, ან ადმინისტრირების გაუმჯობესების, ან საგადასახადო განაკვეთების ცვლილების გზით. საქართველოში რისკის პრევენციის სახით გატარდა ფისკალური ცვლილებები არაპირდაპირ გადასახადებთან მიმართებაში, რამაც მოახდინა მოგების გადასახადის რეფორმის შედეგად მიღებული ფისკალური დანაკარგის ლიკვიდაცია. ცვლილებები აქციზის გადასახადში, გამოიწვია სწორედ იმ ფაქტმა, რომ მოხდარიყო მოგების გადასახადის რეფორმის საფუძველზე გამოწვეული დანაკლისის შევსება. 2017 წლიდან მოიმატა ფასმა მთელ რიგ პროდუქტებზე, რასაც მოყვა ლარის გარკვეულწილად გაუფასურება. საწყის ეტაპზე განხორციელებული რეფორმის საფუძველზე ეკონომიკურ ზრდას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, თუმცა ეს დროებითი მატება გამოწვეული იყო რიგითი მომხმარებლების ჯიბის ხარჯზე, რომლებსაც გაუძვირდათ საწვავი, თამბაქო და სხვა სამომხმარებლო პროდუქტები.

## დასკვნა

აღნიშნული რეფორმის პოზიტიურ შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ: ინვესტიციების გარკვეულწილად სტიმულირება, საგადასახადო შემოსავლების გაუჯობესებისათვის ნაკლებეფექტიანი საბიუჯეტო დანახარჯების შემცირება, კაპიტალის და პროდუქტიულობის მეტ-ნაკლები ზრდა და გრძელვადიანი მიზნებისთვის ეკონომიკური ზრდის სტიმულირება. თუმცა აქვე უნდა გამოვყოთ ნეგატიური ფაქტორებიც. კერძოდ, ცალკეული კვლევები გვეუბნება, რომ თუ საგადასახადო შემოსავლების დანაკლისის, რომელიც გამოიწვია მოგების გადასახა-

დის მკვეთრმა შემცირებამ, შევსება ხდება შრომის დაბეგვრის, ან სხვა გადასახადების ცვლილების ხარჯზე, ასეთ შემთხვევაში ადგილი ექნება თანმდევ ეკონომიკურ პრობლემებს, მაგალითად როგორებიც არის: საგადასახადო სისტემის პროგრესულობის შემცირება, ეკონომიკაში შემოსავლების გადანაწილებასთან დაკავშირებული გამოწვევები, ეროვნული ვალუტის გაუფასურება და ა.შ..

აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ რეფორმის ფისკალურ პარამეტრებზე ზემოქმედების პერიოდი გათვლილია საშუალოვადიან/გრძელვადიან პერსპექტივებზე. ამ მნიშვნელოვან ფაქტორზე დაყრდნობით კი საკმაოდ რთულია მოკლევადიან პერსპექტივაში ვისაუბროთ მიღწეული შედეგების უდავო წარმატებულობასა, თუ წარუმატებლობაზე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი თბილისი, 2020

2. მ. მიქელაშვილი საგადასახადო პოლიტიკა თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2013

3. Agnes Benassy-Quere, Benoit COure, pierre Jacquet and Jean Pisari-Ferry „Economic Policy Theory and Practice", University OXFORD, 2010;

4. J.Cordes D.Ebel G.Gravelle „The encyclopedia of taxation & tax policy" 2005;

5. Weltman B. Small „Business Taxes" 2011;

6. https://old.rs.ge/common/get_doc.aspx?id=10792

7. https://www.mof.ge/5303

8.https://forbes.ge/news/1388/mogebis-gadasaxadis-reforma.-miTebi-da-sinamdvile

9.http://eugeorgia.info/ka/article/541/estonuri-modelis-qartuli-perspeqtivebi/

10.https://bm.ge/ka/article/quotmogebis-gadasaxadis-reformis-shedegad-2017-18-wlebshi-biznesshi-miliardi-lari-darchaquot/59294

**REFERENCES**

1. Tax code of Georgia 2020

2. M. Mikelashvili Tax Politics – Theory and Practices 2013;

3. Agnes Benassy-Quere, Benoit COure, pierre Jacquet and Jean Pisari-Ferry „Economic Policy Theory and Practice'', University OXFORD, 2010;

4. J.Cordes D.Ebel G.Gravelle „The encyclopedia of taxation & tax policy'' 2005;

5. Weltman B. Small „Business Taxes'' 2011;

6. https://old.rs.ge/common/get_doc.aspx?id=10792

7. https://www.mof.ge/5303

8.https://forbes.ge/news/1388/mogebis-gadasaxadis-reforma.-miTebi-da-sinamdvile

9.http://eugeorgia.info/ka/article/541/estonuri-modelis-qartuli-perspeqtivebi/

10.https://bm.ge/ka/article/quotmogebis-gadasaxadis-reformis-shedegad-2017-18-wlebshi-biznesshi-miliardi-lari-darchaquot/59294

# ABOUT SOME RESULTS OF THE PROFIT TAX REFORM IN GEORGIA

**Tamta Koridze**
Doctoral Student of GTU

**RESUME**

A sharp decrease in tax revenues was expected at the initial stage of the implementation of the profit tax reform. On the basis of the studies, it would take several years of waiting to get the positive results. However, the reduction in tax revenues did not take place as the excise tax had increased to compensate the negative consequences of the reform, which resulted in rising prices of the consumer products and the devaluation of the national currency.

The following can be considered as the positive consequences of the mentioned reform: stimulation of the investments to some extent, reduction of the inefficient budget expenditures to improve tax revenues, increase of the capital and productivity more or less, and stimulation of the economic growth for long-term purposes. On the other hand, here we should also highlight the main negative consequence of the reform, if the tax revenue deficit is filled at the expense of labor taxation or other tax changes, then there will be accompanying economic problems, such as: reducing the progress of the tax system, challenges related to the redistribution of income in the economy, the devaluation of the national currency, etc.

**Key words:** Profit tax, tax reform, economics, taxes.

# საწარმოს კონკურენტუნარიანობა გლობალური ეკონომიკის პირობებში

**მარინე ლუარსაბიშვილი**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
**მაია კილაძე**
ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
**მთვარისა თანანაშვილი**
ინჟინერიის აკადემიური დოქტორი

## რეზიუმე

განხილულია თანამედროვე საწარმოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების საკითხები, კონკურენტუნარიანობის მართვის სისტემა და მათი სრულყოფის პირობები.

**საკვანძი სიტყვები:** გლობალიზაცია, კონკურენტუნარიანობა, კონკურენტული უპირატესობები, ეკონომიკა, საწარმო.

## ძირითადი ტექსტი

კონკურენტუნარიანობა ეს არის საქონლის საბაზრო წარმატებისა და მისი მწარმოებლის გასაღები, ხოლო კონკურენტუნარიანობის გადაჭრა - ნებისმიერი საქონელმწარმოებელ ფირმის საქმიანობის მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომელიც მოითხოვს შეთანხმებას და ყველა ქვედანაყოფის მიზანმიმართულ საქმიანობას. იმისათვის, რომ საწარმოს კონკურენტუნარაიანობაზე მოხდეს ზემოქმედება აუცილებელია ნათელი წარმოდგენა გვქონდეს იმ ფაქტორებზე, რომლებიც მას განსაზღვრავენ. ამისათვის საჭიროა გავაანალიზოთ საწარმოს ამოცანები და გამოვავლინოთ საკვანძი მახასიათებლები, ან კონკურენტუნარიანობის ინდიკატორები, რომლებიც გამოხატავენ მის მდგომარეობას განვითარების დონის მხრივ (ცხრილი 1).

**ცხრილი 1**

## საწარმოს მდგომარეობის სტრატეგიული დონე

| | |
|---|---|
| გადახდისუნარიანობა | კონკურენტუნარიანობის მართვის ოპერატიული დონე |
| მომგებაინობა | |
| პროდუქტის კონკურენტუნარიანობა | |
| მართვის სტრატეგიულობა | კონკურენტუნარიანობის მართვის ტექნიკური დონე |
| მართვის სისტემის აქტიურობა | |
| ფინანსური და მართვის გამჭირვალობა | |
| ბიზნესის მართვა | კონკურენტუნარიანობის მართვის სტრატეგიული დონე |
| საინვესტიციო მიმზიდველობა (საწარმოს ღირებულების ზრდა) | |

პირველ ეტაპზე საბაზრო პირობებში საწარმოს ძირითადი ამოცანაა გაანალიზოს თავისი ანგარიშები, ანუ უზრუნველყოს გადახდისუნარიანობა.ეს ამოცანა გადაწყდება ექსტრემალური ღონისძიებებით, უკვე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციით. მოვიყვანთ რამოდენიმე მარკეტინგული ღონისძიების მაგალითს: ბაზრის ანალიზის, ასორტიმენტის, საფასო პოლიტიკის და აშ..გადახდისუნარიანობის მიღწევისათვის წარმოიქმნება მომგებიანი საქმიანობის ბუნებრივი ამოცანა. ამ ეტაპზე მარკეტინგული ღონისძიებები უნდა შეივსოს ეკონომიკური ღონისძიებებით (წარმოების დანახარჯების, თვითღირებულების, ფასწარმოქმნის ანალიზი) და ორგანიზაციული ტექნოლოგიებით (წარმოების ეფექტიანობა, ტექნოლოგიები და სხვა).

ორგანიზაციის ფინანსური კეთილდღეობა და მისი მდგრადობა, როგორც წესი, კანონზომიერად მიყვება გამოშვებული

პროდუქციის კონკურენტუნარიანობას და როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ მიზანს ისეთი საწარმოები აღწევენ,რომლებსაც მაღალი კონკურენტული პოტენციალი გააჩნიათ.საწარმოს კონკურენტული პოტენციალის ქვეშ იგულისხმება საწარმოს როგორც რეალური,ისე პოტენციური უნარი დაამუშავოს, დაამზადოს, გაყიდოს და მოემსახუროს ბაზრის კონკრეტულ სეგმენტში კონკურენტუნარიან საქონელს, რომლებიც თავისი ხარისხობრივ-საფასო პარამეტრებით საუკეთესოა და მომხმარებლის პრიორიტეტული მოთხოვნით სარგებლობენ.

ამჟამად ეკონომიკის ყველა დარგის საწარმოები თავიანთ საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას ახორციელებენ მძიმე ეკონომიკურ პირობებში.საწარმოთა შესაძლებლობები კონკურენტული პროდუქციის მხრივ შეზღუდულია, ყველა სახის რესურსების დეფიციტია, განსაკუთრებით კი ნედლეულის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების. გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტის ეფექტიანი მართვა, მისი სრულყოფა საშუალებას იძლევა გაიზარდოს მოგება და ფულადი სახსრების მოდინება მოკლე ვადაში ინვესტიციებით.რეალიზებული საქონლიდან მაქსიმალური ეფექტის მიღებისათვის აუცილებელია ასორტით მანიპულირება ანუ გამოვლენილ უნდა იქნეს რომელ საქონელს მიეცეს უპირატესობა და როგორი პროპორციით იქნეს გამოშვებული სხვადასხვა პროდუქცია.

მეორე დონეზე მნიშვნელოვანი საკითხია მართვის სტრატეგიულობა.კომპანიის მენეჯმენტმა მიმდინარე ამოცანების გადაწყვეტის შემდეგ თავისი ყურადღება უნდა მიაპყროს უფრო მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებს.ამისათვის მუშავდება სტრატეგიული კონცეფცია, საწარმოს სატრატეგია და SWOT-ის და ბიზნეს გეგმის ანალიზის შემდეგ თითოეული ქვედანაყოფისათვის სტრატეგია.შემდეგი მნიშვნელოვანი ამოცანა საწარმოს მენეჯმენტისათვის არის ამ პრობლემის სტრუქტურიზაცია და შესაბამისი დახასიათება, მართვის სისტემის ადპტირება.ადაპტირების სისტემის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ მთლიანად საწარმოს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის,მეთოდების შეთანაწყობა საწარმოს მიზნებსა,ფუნქციებსა და სტრუქტუ-

რებთან.საწარმოსათვის მეორე აქტუალური პრობლემაა ფინანსური და მართვის გამჭვირვალობა: საერთაშორისო პრინციპებსა და აღრიცხვის სტანდარტების GAAP,LAS-ის შესაბამისი ფინანსური სტრუქტურების არსებობა,ფინანსური და სააღრიცხვო პოლიტიკა.ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენებენ ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა: ფინანსური ანალიზი,საფინანსო დაგეგმვა, პროგნოზირება და გეგმების შედგენის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება,

სახსრების მოზიდვის მენეჯმენტი,თავისუფალი საშუალებების განლაგების მენეჯმენტი, ინვესტიციების პორტფელის მართვა, ანტიკრიზისული მართვა, ლიზინგი, დაზღვევა და აშ.

ამჟამად-მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის, კონკურენციის ინტერნაციონალიზაციის დროა, რომელიც სწრაფად ცვლის გარემო პირობებს-მენეჯმენტის წინაშე დგება ახალე ამოცანები. წარმოება თავისი განვითარების პროცესში აწყდება ისეთ პრობლემებს, როგორიცაა: ინფორმაციული, მატერიალური და სხვა, რაც იწვევს ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას, საერთო ორგანიზებულობის შესუსტებასა და ბევრ სხვას. რესურსების, ფინანსური წყაროების, ინვესტიციების ფორმებისა და ხერხების არჩევის ამოცანა საწარმოს ყოველი მენეჯერის არსებითი პრობლემაა.ამიტომ საინვესტიციო მიმზიდველობის უზრუნველყოფის აუცილებლობა-საწარმოს მდგომარეობის მესამე საკვანძო პირობაა.

საწარმოს მდგომარეობის, კონკურენტუნარიანობის შეფასებისა და ამაღლების დახასიათებისას შეიძლება განისაზღვროს საწარმოს კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმები:

1 .ოპერატიულ დონეზე საწარმოს კონკურენტუნარიანობის ძირითადი მაჩვენებელია პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ინტეგრალური მაჩვენებელი. მოხმარებისათვის ფასეულია არა საქონელი, როგორც ის სიკეთეები, რომლებსაც ის ლებულობს მისი გამოყენებისას. ამიტომ საქონლის კონკურენტუნარიანობის დადგენისას ფასდება ის, თუ რამდენად კარგია ან ცუდია და რანდენად აკმაყოფილებს ის მომხმარებელთა

მოთხოვნებს კონკურენტებთან შედარებით.პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შეფასება უნდა მოხდეს პერიოდულად და არა სიტუაციის წარმოშობისას.

2.ტაქტიკურ დონეზე საწარმოს კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა ხდება მისი საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობით. კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელთა ანალიზისას ილებენ ფინანსებს, მაგრამ პრაქტიკაში მრავალი შემთხვევაა,როცა საწარმო რომელსაც აქვს ნორმალური ფინანსური მაჩვენებლები ხდებიან ბანკნოტები.

**ცხრილი 2**

**საწარმოს კონკურენტუნარიანობის მართვის დონეები**

| საწარმოს კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა | | |
|---|---|---|
| **ოპერატიული დონე** | **ტაქტიკური დონე** | **სტრატეგიული დონე** |
| პროდუქციის კონკურენტუნარიანობა; მდგომარეობის ინდიკატორი; კონკურენტუნარიანობის ინტეგრალური მაჩვენებელი | საწარმოს საერთო მდგომარეობა; მდგომარეობის ინდიკატორი; საწარმოს კონკურენტული პოტენციალის კომპლექსური მაჩვენებელი. | საინვესტიციო მიმზიდველობა; მდგომარეობის ინდიკატორი; |
| **შეფასების მეთოდები** | **შეფასების მეთოდები** | **ბიზნესის ღირებულების ზრდა** |
| ექსპერიმენტული; კვალიმეტრული; კომპლექსური; ინტეგრალური | კონკურენტუნარიანობის კომპლესური შეფასება | მიდგომების შეფასებისადმი შედარებითი ხარჯვითი შემოსავლითი ოფციური |

3. სტრატეგიულ დონეზე საწარმოს კონკურენტუნარიანობა შეიძლება დაახასიათოს საინვესტიციო მიმზიდველობამ, რომლის კრიტერიუმიცაა ბიზნესის ზრდა.მართლაც დასავლეთისა და სამამულო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კომპანიები რომლებიც მიმდინარე წლის მოგებაზე ან რენტაბელობაზე არიან ორიენტირებულები, დაავადებულნი არიან ახლომხედველობით.არის შემთხვევები როცა მოგების შემთხვევაში საწარმო გადახდისუუნაროა. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მესაკუთრეთა კეთილდღეობის ზრდა (აქციების,მფლობელების წილის ან პაის ზრდა) შეიძლება განსაზღვრულ იქნეს როგორც სხვაობა საწარმოს შექმნისას აქციონერის მიერ შექმნილ კაპიტალის ღირებულებასა და მის წილზე გაყიდვის დროს.თუ კაპიტალი გაიხარჯა, მაშინ მენეჯმენტმა თავისი ამოცანა შეასრულა. აქედან შეიძლება დავასკვნათ,რომ მენეჯერები რომლებიც მუშაობენ საწარმოს მესაკუთრეთა კეთილდღეობის ამაღლებაზე, თავიანთი ყოველი ნაბიჯი უნდა გაანალიზონ. კონკურენტუნარიანობის კრიტერიუმი ეს არის პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებელი. კონკურენტიანობის ფაქტორი, უშუალო მიზეზია იმისა, რომ შეიცვალოს კონკურენტიანობის ესა თუ ის მაჩვენებელი. პროდუქციის კონკურენტიანობის ცალკეულ კრიტერტიუმებად შეიძლება დასახელდეს ფაქტორული ანალიზი, რომელიც ნაწილია კონკურენტუნარიანობის შეფასების საერთო სქემის.

## დასკვნა

ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ კონკურენტუნარიანობის შეფასება ყოველთვის აუცილებელია. მისი განსაზღვრისას გამოიყენება მრავალი ფაქტორი და მაჩვენებელი, რომლებმაც უნდა დაახასიათოს მიკრო, მეზო და მაკრო დონეებზე და რომლებიც განსაზღვრავენ სამეურნეო სისტემის ფუნქციონირებას და განვითარების პერსპექტივასაც.საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდის ელემენტად აგრეთვე შეიძლება დასახელდეს ინოვაციური სფეროც. კონკურენცია ძირითადი მამოძრავებელი და აუცილებელი

პირობაა საბაზრო ურთიერთბების, იგი აიძულებს საქონელ-მწარმოებლებს აამაღლონ ხარისხი და შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ დანახარჯები, შეცვალონ საწარმოს იმიჯი და ა.შ. იმ პირობით, რომ მიწოდება მოთხოვნაზე მაღალია და კონკურენცია იქმნება წარმოებულ საქონლებს და არა მწარმოებლებს შორის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში. თბ.2012.

2. გ.ბენაშვილი-კონკურენციის თანამედროვე პოლიტიკა. თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები. ევროკავშირთან პროგრამების ხელშეკრულება და კონკურენტული პოლიტიკის ჩამოყალიბების მნიშვნელობა. თბ.2017.

3. ე.ბარათაშვილი, ბ.გეჩბაია, ვ.ღლონტი-საწართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ინდექსი. თბ.2018.

4. გ.ღაღანიძე-კონკურენტული უპირატესობის კვლევის საკითხები. თბ.2014.

**REFERENCES**

1. International Transparency - Georgia’s competition policy in Georgia. Tbilisi. 2012.

2. Benashvili G. - Modern competition policy. Current trends and challenges. Harmonization of programs with the European Union and the importance of creating competition policy. Tbilisi. 2017.

3. Baratashvili E., Gechbaya B., Glonti V. - Competitiveness Index of the Georgian Economy. Tbilisi. 2018.

4. Gaganidze G. Problems of research of competitive advantages. Tbilisi, 2014.

# ENTERPRISE COMPETITIVENESS IN THE GLOBAL ECONOMY

**Marine Luarsabishvili,**
Academic Doctor of Economics
**Maya Kiladze,**
Academic Doctor of Technical Sciences
**Mtvarisa Tananashvili,**
Academic Doctor of Technical Sciences

## RESUME

As a result of the research, we can conclude that competitiveness assessment is always necessary. It is determined by many factors and indicators, which should characterize the micro, meso and macro levels and which determine the functioning of the economic system and development prospects. Competition is the main driving and necessary condition of market relations, it forces the producers to increase the quality and productivity of labor, reduce costs, change the image of the enterprise, etc. Provided that supply is above demand and competition is created between manufactured goods and not between manufacturers.

**Key words:** Globalization, Competitiveness, Competitive Advantages, Economy, Enterprise.

# ტურიზმის პოსტპანდემიური მოლოდინები და განვითარების ტენდენციები საქართველოში

**ოთარ აბესაძე**
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**რეზიუმე**

ტურიზმის სექტორი ერთ-ერთი იმ სექტორთაგანია, რომელზეც ყველაზე დიდი გავლენა იქონია COVID-19-მა როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების კუთხით.

საქართველო კი იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომლის ეკონომიკაც მნიშვნელოვან წილადა დამოკიდებულია ტურიზმის სექტორზე. ამიტომ, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ტურიზმის აღორძინების მოლოდინების ფონზე მნიშვნელოვანია საქართველოში ტურიზმის განვითარების არსებული ტენდენციების გაანალიზება და ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენების რაოდენობრივი ანალიზი. რა თქმა უნდა, მოლოდინების განსაზღვრა ძალიან ძნელია. მთავარია აღმავლობა იყოს უსაფრთხო ბიზნესზე დაფუძნებული და ითვალისწინებდეს ყველა რეკომენდაციას, რაც ვირუსის აფეთქების საწინააღმდეგოდ იქნება მიჩნეული. გვინდა თუ არ გვინდა, ამ წესების დაცვა მოუწევს ყველას. ეს ტურიზმის განვითარებას მკაცრ ჩარჩოში მოაქცევს და მოითხოვს ტურიზმის სექტორის ადაპტირებას ახალ რეალობასთან.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სტატისტიკური დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები.

დასკვნები: მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის პირობებში შექმნილი ვითარება ტურიზმის სექტორზე მძაფრად აისახება, ვფიქრობთ ტურიზმი მაინც მოახერხებს თავის გადარჩენას. ტურისტების ნაკადების განახლება დამოკიდებული იქნება ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაზე, როგორც მთელს მსოფლიოში და ქვეყნის შიგნით, ასევე ჯანდაცვის სისტემის და სახელმწიფოს

გამართულ და კოორდინირებულ მუშაობაზე. ტურიზმის სფეროში მოხდება გარკვეული ტრანსფორმაცია და ტურისტულ სექტორს მოუწევს ახალ რეალობაზე გადაწყობა. არადა, ექსტრაპოლაციის მეთოდების საფუძველზე საპროგნოზო მაჩვენებლის გაანგარიშებამ აჩვენა, რომ რომ არა COVID-19 პანდემია, 2020 წლისათვის საქართველოს უნდა ემასპინძლა 10 500 000 საერთაშორისო ვიზიტორისათვის.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე დღესდღეობით ძნელია პოსტპანდემიურ პროცესზე საუბარი, ვინაიდან კვლავაც პანდემიურ ეპოქაში ვიმყოფებით. მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო ყოველწლიურად მიმზიდველობის მიხედვით მზარდი ტურისტული ნაკადების მასპინძელი იყო, პოზიტიური მოლოდინები ნამდვილად არსებობს. დღესდღეობით, შიდა ტურიზმი გამოცოცხლებულია, საერთაშორისო ტურიზმი მოლოდინის რეჟიმში და ეკონომიკურად განუსაზღვრელ ფაზაშია. რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ტურიზმის ბიზნესი შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს თუმცა, ჩვენი აზრით, ეხლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მთავრობამ გამოიჩინოს მაქსიმალური თანადგომა ამ სფეროსადმი და გადადგას შემდეგი ქმედითი ნაბიჯები: მთავრობა როგორც გარანტი უნდა ჩაერიოს სესხების რეფინანსირების და გადავადების პოლიტიკაში და ბანკებთან ერთად შეიმუშაოს გადახდის მოქნილი გრაფიკი. საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაცია. სათამაშო ბიზნესის ლიცენზირების გამარტივება. აუცილებელია აგრესიულად მასტიმულირებელი ტურისტული ატრაქციების გაჩენა და წახალისება საქართველოში და სხვ.

**საკვანძო სიტყვები:** პანდემია, ტურიზმი, ანალიზი, მოლოდინი ტენდენცია.

## შესავალი

ერთი წლის წინ ალბათ არავინ იფიქრებდა, რომ 2020 წელი სამყაროს ცხოვრების რიტმს შეცვლიდა. COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ ადამიანეური ურთიერთობები და საქმიანობის გარკვეული სფეროები იძულებით ჩარჩოში მოაქცია.

დღეს, რეალურად ტრანსფორმირდა მოსახლეობის ქცევის წესები და ხშირ შემთხვევაში ურთიერთობებიც ონლაინ ფორმით კომუნიკაციებმა ჩაანაცვლა. პანდემიან მნიშვნელოვნად შეცვალა ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პარამეტრებიც. მონაცემთა პლატფორმის statista.com-ის თანახმად, ტურიზმის სექტორი ერთ-ერთი იმ სექტორთაგანია, რომელზეც ყველაზე დიდი გავლენა იქონია COVID-19-მა როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, რთულია საერთაშორისო ტურიზმზე კორონავირუსის გავლენის შეფასება, მაგრამ იმის თქმა ნამდვილად შეიძლება, ტურისტული ნაკადების მოძრაობა მკვეთრად შემცირებულია. თუ დავეყრდნობით მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) პროგნოზს, 2020 წელს უნდა ველოდოთ საერთაშორისო ტურისტული მიმოსვლების შემცირებას 1-3%-ით. გამოდის, რომ საერთაშორისო ვიზიტორების დანახარჯებიდან მიღებული თანხები 30-50 მილიარდი აშშ დოლარით შემცირდება. უდავოა, რომ ყველაზე მეტად დაზარალდება მცირე და საშუალო ზომის საწარმოები. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მათი წილი ტურიზმის სექტორში 80% შეადგენს, ტურისტული ბაზრის მეტად არასასიამოვნო სურათს მივიღებთ. ისიც ცხადია, რომ კორონავირუსს განსაკუთრებული გავლენა იმ ქვეყნებზე ექნება, რომელთა ეკონომიკაში ტურიზმს დიდი წილი უკავია და რომლის ეკონომიკური ზრდაც დიდწილად ტურიზმის სექტორიდან გამომდინარეობს.

## ძირითადი შედეგები

საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომლის ეკონომიკაც მნიშვნელოვან წილადაა დამოკიდებულია ტურიზმის სექტორზე. [7, Abesadze,N.,amanova, l., Abesadze, O.,2020, p.771) ]ფაქტია, რომ განვითრების აქტიურ ფაზაში მყოფი ტურიზმი მიძინების სტადიაზე ალმოჩდა და ტურისტული ბიზნესიც შესაბამისად ეკონომიკური განუსაზღვრელობის ფაზაში გადავიდა. ამიტომ, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ტურიზმის აღორძინების მოლოდინების ფონზე მნიშვნელოვანია

საქართველოში ტურიზმის განვითარების არსებული ტენდენციების გაანალიზება და ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენების რაოდენობრივი ანალიზი.

2019 წლის მონაცემებით, საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა 9,4 მილიონს შეადგენს. მათ შორის საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულმა ვიზიტებმა 7,7 მილიონი. აქედან 66% ანუ 5,1 მილიონი ტურისტული ვიზიტი იყო.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ საშუალოდ თვიურად განხორციელებულ იქნა 643,9 ათასი ვიზიტი, რაც 7,2%-ით მეტია წინა წლის და 47%-ით 2015 წლის მაჩვენებელზე.

**დიაგრამა 1**

**15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა, ათასი**




**წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური** [4 ]

საინტერესოა როგორია ვიზიტორების ასაკობრივი სტრუქტურა. მაინც რა ასაკის მოსახლეობისთვის იყო პანდემიამდე საქართველო უფრო მეტად მიმზდველი? მონაცემების ანალიზიდან ირკვევა, რომ საქართველოს ძირითადად სტუმრობდნენ 31-50 წლის ასაკობრივი ჯგუფის ვიზიტორები, რომელთა წილი მთლიან ვიზიტორთა რაოდენობაში 46%-ს შეადგენდა, რაც წინა

წლის ანალოგიურ მაჩვენებლზე ოდნავ მეტი იყო, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ წილის მაჩვენებელი სტაბილურობით ხასიათდება და 2015 წლიდან დღემდე შენარჩენებულია 45-46%-ის ფარგლებში.[8, Abesadze,N.,amanova, l., Abesadze, O.,2020, p.20]

**დიაგრამა 2**

**15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ათასი**




**წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური** [4 ]

ამ ასაკობრივი ჯგუფის შემდეგ ყველაზე აქტიური იყო 15-30 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი, მაგრამ ბოლო წლების ტენდენცია იმდაგვარია, რომ მართალია მცირედ, მაგრამ მაინც მცირდება ამ ასაკის ვიზიტორთა რაოდენობა, სამაგიეროთ იზრდება 51-70 წლის ასაკობრივი ჯგუფის ვიზიტორთა რაოდენობა.

დინამიკაში მონაცემების გაანალიზებამ გამოავლინა, რომ ვიზიტორები ქვეყანაში შემოდიოდნენ ძირითადად დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით. ამ მიზნით ჩამოსულთა ხვედრითი წილი(თვეებ ის მიხედვით) 43,5%-ია, რაც 0,8%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ და 14,1%-ით 2015 წლის მაჩვენებელზე. შემდეგ მოდის მეგობრებისა და ნათესავების მონახულება და ტრანზიტი სხვა ქვეყანაში გადასასვლელად, რომელთა წილი შესაბამისად 19% და 16,1%-ია, რაც 2018 წლის დონესთან შედარებით, მართა-

ლია მცირედ, მაგრამ მაინც შემცირებულია, ხოლო 2015 წელთან შედარებით 20% და 15%-იანი კლების ტემპი დაფიქსირდა.

მოიმატა პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობის მიზნით ქვეყანაში ჩამოსული ვიზიტორების მაჩვენებელმა.

საინტერესოა საერთაშორისო ვიზიტორების კლასიფიკაცია მათ მიერ მონახულებადი ტურისტული ლოკაციებისა და ჩამოსვლის მიზანთან კრასტაბულაციის მიხედვით.

**დიაგრამა 3**

**ვიზიტორების განაწილება ქვეყანაში ჩამოსვლის მიზნის მიხედვით 2019 წელს**




**წყარო:საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია [6 ]**

როგორც დიაგრამიდან ჩანს, დასვენების, გართობისა და რეკრეაციის მიზნით უცხოელ ვიზიტორთა მიერ მონახულებად ლოკაციებს შორის 2019 წელს ლიდერობდა თბილისი და ბათუმი, რომელთა წილი შესაბამისად 55,9% და 51.8 %-ია. შემდეგ პოზიციებს იკავებდა მცხეთა და ყაზბეგი, მაგრამ მათი წილის მაჩვენებლები ნკვეთრად ჩამორჩება მოწინავე პოზიციაზე მყოფი ლოკაციების რაოდენობრივ მონაცემებს. თბილისი და

ბათუმი ლიდერობდა ბიზნესისა და პროფესიული საქმიანიბისა და მეგობრების/ნათესავების მონახულების მაჩვენებლებითაც.

დინამიკაში საერთაშორისო ტურიზმის გეოგრაფიული სტრუქტურის ანალიზით გამოვლინდა, რომ გართობის, დასვენებისა და რეკრეაციის მიზნით ყველაზე მეტი საქართველოში ჩამოდიოდა თურქეთიდან, შემდეგ რუსეთიდან. მეგობრების, ნათესავების მოსანახულებლად ჩამოსულთა შორის კი სჭარბობდა აზერბაიჯანისა და სომხეთის რეზიდენტები.

კონკრეტულად რა ტიპის სქმიანობას ახორციელებდნენ ვიზიტორები საქართველოში ყოფნისას? კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ადგილობრივი სამზარეულო ძირითადად მიმზიდველი იყო მეზობელი ქვეყნებისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რეზიდენტებისათვის. შოპინგი ხიბლავდა სომხეთის, რუსეთისა და აზერბაიჯანელი მოქალაქეებს. ღირსშესანიშნაობების, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლების, მუზეუმების მონახულება მიმზიდველი იყო ყველაზე მატად ცენტრალური და არმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და თურქეთის რეზიდენტებისათვის.

როგორი იყო ვიზიტების გეოგრაფიული სტრუქტურა?

**ცხრილი 1**

**15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება მოქალაქეობის ქვეყნების მიხედვით, ათასი**

| | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი | 70.7 | 65.8 | 80.6 | 88.2 | 92.9 |
| რუსეთის ფედერაცია | 52.1 | 59.5 | 79.7 | 100.4 | 101.9 |
| სომხეთი | 74.7 | 71.3 | 79.1 | 76.7 | 80.5 |
| თურქეთი | 61.0 | 55.4 | 56.1 | 63.6 | 66.9 |
| საქართველო | 30.2 | 29.5 | 31.4 | 32.5 | 33.0 |
| უკრაინა | 9.3 | 11.2 | 12.6 | 13.3 | 15.7 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 4.4 | 6.9 | 9.3 | 12.8 | 16.6 |
| ირანი | 1.6 | 9.9 | 21.8 | 22.4 | 10.8 |
| ევროკავშირის წევრი ქვეყნები | 15.9 | 17.4 | 21.5 | 29.6 | 37.2 |
| სხვა ქვეყნები | 15.9 | 23.3 | 34.5 | 39.9 | 50.4 |

**წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური**[4 ]

მონაცემების ანალიზიდან გამოვლინდა, რომ საქართველო ყველაზე მიმზიდველი იყო რუსეთის ფედერაციის რეზიდენტებისათვის, თუ დინამიკაში გადავხედავთ მონაცემებს შევნიშნავთ, რომ ყოველწლიურად იზრდებოდა სწორედ რუსეთიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს 2015 წელთან შედარებით გაორმაგდა ტურისტების რაოდენობა. ამ პერიოდისთვის გაანგარიშებულმა ზრდის ტემპმა შეადგინა 194%. მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა ირანიდან, ისრაელიდან და უკრაინიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობის მაჩვენებლები, 2019 წელს მათი რიცხვი 2015 წელთან შედარებით შესაბამისად 530% , 277%, და 68%-ით გაიზარდა. თვალში საცემია ირანიდან ტურისტული ნაკადების მკვეთრი ზრდის ტენდენცია. თუმცა 2019 წელს იკლო ირანელი ტურისტების შემოსვლის ტემპებმა, რასაც ადასტურებს წინა წელთან შედარებით თითქმის განახევრებული ირანიდან შემოსული ტურისტების რიცხვი. მაგრამ გაიზარდა ისრაელისა და უკრაინის მაჩვენებელი და 2019 წელს შესაბამისად დაფიქსირდა 16,6 და 15,7 ათასის დონეზე.

როგორც ვნახეთ, 2019 წელს საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტორი მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოვიდა და უპირობო პირველ სამეულს აზერბაიჯანი, სომხეთი და რუსეთი წარმოადგენდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ინტენსივობის შეფარდებითი სიდიდის გაანგარიშებამ აჩვენა, რეალურად სომხეთის რეზიდენტების ჩვენი ქვეყნის დაინტერესების ყველაზე მაღალი დონე, ასე მაგალითად, ჩვენი გაანგარიშებით, 2019 წელს მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე სომხეთიდნ შემოვიდა 320 ადამიანი, აზერბაიჯანიდან 111 და რუსეთიდნ 8. არადა საერთო აბსოლუ-

ტური სიდიდით პირველ ადგილს იკავებდა აზერბაიჯანი.

გაზრდილ ვიზიტორთა რაოდენობის პირობებში საინტერესოა ვიზიტების სტატისტიკა. 2019 წელს ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან, 127,2 ათასი, რაც 7,2%-ით მეტია წინა წლის და 32%-ით 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. შემდეგ რუსეთის ფედერაციიდან, რომლის მაჩვენებელმა განიცადა წინა, 2018 წელთან შედარებით 5%-იანი მატება და 2015 წელთან შედარებით მატების ტემპმა კი 93% შეადგინა. მესამე ადგილს იკავებს სომხეთი 113, 8 ათასით, რაც წინა წელთან შედარებით 8%-ით, ხოლო 2015 წელთან შედარებით15%-ითაა გაზრდილი. როგორც მოსალოდნელი იყო აქაც მეზობელი ქვეყნები ლიდერობდნენ და საქართველო უმეტესად სწორედ ამ ქვეყნის რეზიდენტებისთვის იყო მიმზიდველი.

აღნიშნული ტენდენცია კარგად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე.

**დიაგრამა 4**

**15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება მოქალაქეობის ქვეყნების მიხედვით, ათასი.**




**წყარო:სტატისტიკის ეროვნული სამსახური** [4 ]

საინტერესო სურათი გამოვლინდა ვიზიტორების სქესის მიხედვით განაწილების მაჩვენებლებიდან. მართალია, ჯერ კიდევ ვიზიტორებში სჭარბობდა მამაკაცები, რომელთა წილი 2019 წელს ვიზიტორთა რაოდენობაში 60,8% იყო და შესაბამისად ქალების მაჩვენებელი-39,2%, მაგრამ თუ გავაანალიზებთ სქესის მიხედვით განაწილებული მაჩვენებლების დინამიკას, შევნიშნავთ, რომ მართალია მცირედით, მაგრამ ქალთა წილის ზრდის ტენდენცია მაინც ფიქსირდება. ასე მაგალითად, 2015 წელთან შედარებით ვიზიტორ ქალთა წილი თითქმის 5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

**ცხრილი 2**

**15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება სქესის მიხედვით, ათასი**

| | წლიური, 2015 | | წლიური, 2016 | | წლიური, 2017 | | წლიური, 2018 | | წლიური, 2019 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სქესი | რაოდ. | % | რაოდ. | % | რაოდ. | % | რაოდ. | % | რაოდ. | % |
| კაცი | 219.6 | 65.4 | 223.7 | 63.9 | 265.9 | 62.3 | 289.1 | 60.3 | 307.8 | 60.8 |
| ქალი | 116.3 | 34.6 | 126.4 | 36.1 | 160.7 | 37.7 | 190.3 | 39.7 | 198.2 | 39.2 |
| | **335.8** | **100** | **350.1** | **100** | **426.5** | **100** | **479.3** | **100** | **506.0** | **100** |

**წყარო:სტატისტიკის ეროვნული სამსახური** [4 ]

სტატისტიკურად საინტერესოა რამდენ ღამეს ათენებდნენ ვიზიტორები საქართველოში. ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით 2019 წელს ქვეყანაში ვიზიტორების მიერ გატარებული ღამეების საშუალო რაოდენობამ შეადგინა 4,1. რაც ბოლო სამი წლის

განმავლობაში თითქმის სტაბილურია, თუმცა 2015 წელთან შედარებით ოდნავ გაზრდილია (2015 წელს 3,4-ს შეადგენდა). ეს ძალიან კარგია, რადგან ტურისტების რიცხვის ზრდასთან ერთად გათენებული დღეების საშუალო რაოდეობის გაზრდა მნიშვნელოვნად გაზრდის მათ მიერ გაწეული დანახარჯების მოცულობას. ამიტომაცაა, რომ ეს ორი მაჩვენებელი ტურისტული ნაკადების ძირითად რაოდენორივ ინდიკატორს წარმოადგენს. ხარჯების გაზრდა პირდაპირ აისახება ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის ზრდაზე.

როგორც მოსალოდნელი იყო მიმზიდველობის მიხედვით გამოირჩეოდა თბილისი და აჭარა, რომელიც 2019 წელს მოინახულა ქვეყანაში შემოსული ვიზიტორების ნახევარზე მეტმა, 58,9%. თბილისს ესტუმრა ვიზიტორების 37,9% და აჭარის ა.რ.-ს 21%. (იხ. დიაგრამა 5) შემდეგ ადგილებს ინაწილებენ ქვემო ქართლი და მცხეთა-მთიანეთი შესაბამისად 11,8% და 11,7%-იანი წილით. დინამიკაში, შეიძლება ითქვას რომ ზოგიერთი გამონაკლისების გარდა ტენდენცია შენარჩუნებულია, უფრო მეტიც, თბილისში კიდევ უფრო მოიმატა ვიზიტორების რიცხვმა.

**დიაგრამა 5**

**15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით, % 2019 წელს**




**წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური** [4 ]

ქვეყანაში ვიზიტორების 73.8% ისათვის ვიზიტი განმეორებითს წარმოადგენდა. ეს მაჩვენებელი დინამიკაში მცირდება. იზრდება პირველად ჩამოსულთა წილის მაჩვენებელი.

როგორც მონაცემების ანალიზმა აჩვენა,. ვიზიტორების 74%-მა დააგემოვნა ქართული სამზარეულო და ღვინო, 60%-მა იშოპინგა, 45.5%-მა მოინახულა კულტურული, ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლები და ა. შ.

პანდემიის შემდეგ მოლოდინების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რამდენად კმაყოფილები ტოვებდნენ ვიზიტორები საქართველოს. მონაცემების ანალიზის შედეგად როგორც აღმოჩნდა, ჩამოსული ტურისტების დიდი ნაწილი, 53,5%, ძალიან კმაყოფილია ქვეყანაში ვიზიტით, ხოლო 37,3% კმაყოფილი, უკმაყოფილოა 0,9% ხოლო ძალიან უკმაყოფილოა 1%.უნდა ითქვას რომ დინამიკაში აღნიშნული ტენდენცია შეიძლება ითქვას მეტნაკლებად შენარჩუნებულია.

რა თქმა უნდა მოლოდინების განსაზღვრა ძალიან ძნელია. მთავარია აღმავლობა იყოს უსაფრთხო ბიზნესზე დაფუძნებული და ითვალისწინებდეს ყველა რეკომენდაციას, რაც ვირუსის აფეთქების საწინააღმდეგოდ იქნება მიჩნეული. გვინდა თუ არ გვინდა, ამ წესების დაცვა მოუწევს ყველას. ეს ტურიზმის განვითარებას მკაცრ ჩარჩოში მოაქცევს და მოითხოვს ტურიზმის სექტორის ადაპტირებას ახალ რეალობასთან.

მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის პირობებში შექმნილი ვითარება ტურიზმის სექტორზე მძაფრად აისახება, ვფიქრობთ ტურიზმი მაინც მოახერხებს თავის გადარჩენას. ტურისტების ნაკადების განახლება დამოკიდებული იქნება ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაზე, როგორც მთელს მსოფლიოში და ქვეყნის შიგნით, ასევე ჯანდაცვის სისტემის და სახელმწიფოს გამართულ და კოორდინირებულ მუშაობაზე. ტურიზმის სფეროში მოხდება გარკვეული ტრანსფორმაცია და ტურისტულ სექტორს მოუწევს ახალ რეალობაზე გადაწყობა. არადა, ექსტრაპოლაციის მეთოდებით საფუზველზე საპროგნოზო მაცვენებლის გაანგარიშებამ აჩვენა, რომ რომ რა COVID-19 პანდემია, 2020 წლისათვის საქართველოს უნდა ემასპინძლა 10 500 000 საერთაშორისო ვიზიტორისათვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვა, რომ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე დღესდღეობით ძნელია პოსტპანდემიურ პროცესზე საუბარი, ვინაიდან კვლავაც პანდემიურ ეპოქაში ვიმყოფებით. მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო ყოველწლიურად მიმზიდველობის მიხედვით მზარდი ტურისტული ნაკადების მასპინძელი იყო, პოზიტიური მოლოდინები ნამდვილად არსებობს. დღესდღეობით, შიდა ტურიზმი გამოცოცხლებულია, საერთაშორისო ტურიზმი მოლოდინის რეჟიმში და ეკონომიკურად განუსაზღვრელ ფაზაშია. რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ტურიზმის ბიზნესი შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს თუმცა, ჩემი აზრით, ახლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მთავრობამ გამოიჩინოს მაქსიმალური თანადგომა ამ სფეროსადმი და გადადგას შემდეგი ქმედითი ნაბიჯები:

1. მთავრობა როგორც გარანტი უნდა ჩაერიოს სესხების რეფინანსირების და გადავადების პოლიტიკაში და ბანკებთან ერთად შეიმუშაოს გადახდის მოქნილი გრაფიკი. ფაქტია, რომ ტურიზმის სფეროში არსებული ბიზნესის 79% სარგებლობს საბანკო კრედიტით, 2020 წლის ტურისტული სეზონი ფაქტიურად ჩავარდა და ადამიანებს დაუგროვდათ საკმაოდ დიდი დავალიანება საფინანსო ინსტიტუტების წინაშე,

2. საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაცია. ვინაიდან მცირე და საშუალო ბიზნესის თითქმის ნახევარი ცალსახად ან ირიბად უკავშირდება ტურიზმს, აუცილებელია გადაიხედოს მოგების, საშემოსავლოს, აქციზის და დ.ღ.გ.-ს გადასახადები. აღნიშნული გადასახადები საჭიროებენ როგორც მინიმუმ განახევრებას, ვინაიდან ძლიერი სახელმწიფო ნიშნავს მდიდარ მოქალაქეს და არა გაზრდილ ბიუჯეტს, რომელიც ბიუროკრატიაში იკარგება.

3. სათამაშო ბიზნესის ლიცენზირების გამარტივება. ვინაიდან აღნიშნულ სფეროს საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი უკავია ქართულ ტურიზმში, აუცილებელია მისი ლიცენზიის მოსაკრებლის პოლიტიკის გადახედვა, ვინაიდან დღევანდელი რეგულაციებით და ტარიფებით ფაქტიურად შეუძლებელია აღნიშნული ტიპის ბიზნესის განვითარება საქართველოში. მაგა-

ლითად, წყალტუბო, სადაც იგეგმება გრანდიოზული რეკონსტრუქცია. იქაურობა გარდა მისი ბუნებრივი შესაძლებლობებისა, უფრო მიმზიდველი რომ გახდეს რეგიონისთვის, აუცილებელია ქონდეს გარკვეული მიზიდულობა და თუ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მოხდება სათამაშო ბიზნესისათვის ლიცენზირება გამარტივებული წესით ეს როგორც მინიმუმ გააათმაგებს ინტერესს და ტურისტთა ნაკადს წყალტუბოში.

4. აუცილებელია აგრესიულად მასტიმულირებელი ტურისტული ატრაქციების გაჩენა და წახალისება საქართველოში. მაქსიმალურად უნდა შეეწყოს ხელი ისეთ მნიშვნელოვან პროექტს, როგორიცაა მარიხუანას დეკრიმინილიზაცია. ჰოლანდიის მაგალითზე დაყრდნობით ნათლად ჩანს მისი ეკონომიკური სიკეთე. რეალურად ამ კანონპროექტის დამტკიცებით 2025 წლისათვის საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა 20 მილიონს გადააჭარბებს და მოიზიდავს ტურისტს თითქმის მთელი მსოფლიოდან და აღარ ვიქნებით მხოლოდ რეგიონის ტურისტულ სურვილებზე დამოკიდებულნი.

მთელი მსოფლიოსთვის კარგადაა ცნობილი ე.წ. ირლანდიული სასწაული. რაც ამ ქვეყანამ 2000-იან წლებში შეძლო ეს ნამდვილად დასაფასებელია და ეს ყოველივე გამოწვეულია სწორედ მსგავსი თამამი ეკონომიკური ნაბიჯების გადადგმით. დღეს რეალურად საქართველო დგას ამ გზაგასაყარზე. ან გაყვება აღნიშნულ ტემპს და მსგავსი ნელი ნაბიჯებით გააგრძელებს რეგიონალური ტურიზმის განვითარებას ან გადავა სრულიად ახალ საფეხურზე და შექმნის ტიპიურ ევროპულ თანამედროვე ტურისტულ ატრაქციას, სადაც იქნება ნაკლები გადასახადები, ნაკლები რეგულაციები, მეტი ტრადიციული ტურისტული ელემენტების პოპულარიზაცია, სათამაშო ბიზნესის ზონალური წახალისება და მარიხუანას დეკრიმინილიზაცია. ეს ყოველივე მოახდენს საქართველოში ეკონომიკის მკვეთრ გაჯანსაღებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახვლედიანი ნ, ვირსალაძე ნ, ონიანი ი-ტურიზმის სფეროს ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი და ძირითადი მიმართუ-

ლებები, სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში, თბილისი 2018, გვ. 51-52

2. საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის 2008 (International Recommendations for Tourism Statistics 2008), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (UNWTO), ნიუ იორკი 2010

3. საერთაშორისო ვიზიტორების კვლევის ანგარიში. 2019 წელი.საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფოციალური ვებ-გვერდი https://www.geostat.ge

5. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და მსოფლიო გამოცდილება, თბილისი 2016

6. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ოფიციაური ვებ-გვერდი https://gnta.ge

7. Abesadze, N.,Amanova, L., Abesadze,O.(2020) Trends Of The Attractiveness Of Azerbaijan Tourists In Georgia. Collection Of Scientific Articles Of International Scientific Conference Economic and Social Development. Baku. 770-777

8. Abesadze, N.,Amanova, L., Abesadze,O.(2020) Trends In The Growth Of Tourist Flows From Azerbaijan To Georgia. The Journal Of Economic Sciences: Theory And Practice, Volume 77 #1/2020, Pp. 19-30

**REFERENCES:**

1. Akhvlediani N, Virsaladze N, Oniani Economic-Statistical Analysis and Main Directions in the Field of I-Tourism, Teaching Statistics and Statistical Studies in Georgia, Tbilisi 2018, p. 51-52

2. International Recommendations for Tourism Statistics 2008, United Nations (UNWTO), New York 2010

3. International Visitor Survey Report. 2019. Georgian National Tourism Administration.

4. Official website of the National Statistics Office of Georgia https://www.geostat.ge.

5. Georgian National Tourism Administration, Tourism Development Perspectives in Georgia and World Experience, Tbilisi 2016

6. Official website of the Georgian National Tourism Administration https://gnta.ge.

7. Abesadze, N., Amanova, L., Abesadze, O. (2020) Trends Of The Attractiveness Of Azerbaijan Tourists In Georgia. Collection Of Scientific Articles Of International Scientific Conference Economic and Social Development. Baku. 770-777.

8. Abesadze, N., Amanova, L., Abesadze, O. (2020) Trends In The Growth Of Tourist Flows From Azerbaijan To Georgia. The Journal Of Economic Sciences: Theory And Practice, Volume 77 # 1/2020, Pp. 19-30.

## POST-PANDEMIC TOURISM EXPECTATIONS AND DEVELOPMENT TRENDS IN GEORGIA

**Otar Abesadze**,
Associate Professor of
Georgian National University,
Academic Doctor of Economics

**RESUME**

The pandemic caused by COVID-19 has forced human relations and certain areas of activity into the framework today, actually transforming the rules of behavior of the population and in many cases the relations have been replaced by online communications. The pandemic has also significantly changed the economic development parameters of countries. According to the data platform statista.com, the tourism sector is one of the sectors most affected by COVID-19 in terms of both demand and supply. Although given the current situation, it is difficult to assess the impact of the coronavirus on international tourism, but it can really be said that the flow of tourist flows has been drastically reduced.

Georgia is one of the countries whose economy depends on the tourism sector. The fact is that tourism in the active phase of development has

found itself in a dormant stage and the tourism business has accordingly entered a phase of economic uncertainty. Therefore, given the current situation, in the light of the expectations of tourism revival, it is important to analyze the current trends in tourism development in Georgia and quantitative analysis of current events in the field of tourism.

Of course setting expectations is very difficult. The key is for ascension to be based on a secure business and to follow all the recommendations that will be considered against the outbreak of the virus. Whether we like it or not, everyone will have to follow these rules. This will put the development of tourism in a strict framework and require the tourism sector to adapt to the new reality.

Although the situation created by the pandemic will have a severe impact on the tourism sector, we think tourism will still be able to survive. The resumption of tourist flows will depend on the epidemiological situation, both around the world and within the country, as well as on the proper and coordinated work of the health care system and the state. There will be some transformation in the field of tourism and the tourism sector will have to adapt to the new reality. However, the calculation of the forecast observer on the basis of extrapolation methods showed that what is a COVID-19 pandemic, by 2020 Georgia should have hosted 10,500,000 international visitors.

Given the current situation, it is difficult to talk about the post-pandemic process today, as we are still in a pandemic era. But, given that Georgia has been hosting growing tourist flows in terms of attractiveness every year, there are definitely positive expectations. Today, domestic tourism is revived, international tourism is on standby and in an economically uncertain phase. Because for the majority of the population, the tourism business is the only source of income, however, in my opinion, it is now vital for the government to provide maximum support to this area and take the following effective steps: Liberalization of tax policy. Simplify gaming business licensing. It is necessary to create and encourage aggressively stimulating tourist attractions in Georgia, etc.

**Key words:** pandemic, tourism, analysis, expectations, trend.

# «СЕРЬЕЗНЫЕ ИГРЫ» И ОБРАЗОВАНИЕ

**Жанна Толордава**
доктор экономики , научный руководитель
Всеуниверситетского
учебно-научного центра имитационного
моделирования и интерактивных
методов обучения ТГУ

## РЕЗЮМЕ

В англоязычной прессе к обучающим играм применяется понятие *serious games*- «серьезные игры». В общем смысле - это игры, которые используются в неигровых ситуациях и основной целью которых является не развлечение, а изучение определенной дисциплины или отработка навыков. Помимо сферы образования, термин «серьезные игры» используются в таких секторах, как оборона, наука и здравоохранение.

В условиях пандемии, в связи с переходом на онлайн- курсы, актуальность применения «серьезных игр» в обучении возрастает, так как включение их в учебный процесс, обеспечивает высокую вовлеченность обучающихся в процесс обучения, позволяет дать им возможность действовать независимо, лучше осваивать учебный материал и проявлять компетентность.

**Ключевые слова:** serious games, геймификация образования, Homo ludens, конкурентные игры, элементы состязательности, дистанционное обучение и деловые игры.

## ОСНОВНОЙ ТЕКСТ

Активное использование «серьезных игр» заложило основы процесса, так называемой, геймификации образования. Геймификация в образовании – это процесс распространения игры на разные сферы образования, который позволяет рассматривать игру и как метод обучения и воспитания, и как форму воспитательной работы, и как средство организации образовательно-

го процесса в целом [1].

Йохан Хёйзинга, известный нидерландский ученый, один из создателей науки культурологии, автор, ставшим классическим исследованием игрового элемента культуры «Homo ludens» - «играющий человек», считал, что игровая функция для человека также важна, как производительная - homo faber, игра же с легкостью включает в себя серьезное». Анализируя игровой характер культуры, он провозглашает «универсальность феномена игры и ее непреходящее значение в человеческой цивилизации» [2].=

Й. Хёйзинга с позиции человека и его отношения к игре, предлагает следующее определение: «Игра как некая форма деятельности, форма, наделенная смыслом, и как социальная функция — вот предмет его (человека, игрока) интереса. Он больше не ищет естественных побуждений, которые предопределяют игру вообще, но рассматривает игру в ее многообразных конкретных формах и подходит к ней как к социальной структуре». Этим автор рассматривает игру как серьезное явление, как фактор культурной жизни.

Необходимо отметить состязательный элемент, присущий практически любой игровой деятельности, а также такие общие для игр свойства, как формирование команд и сообществ. Эти игровые качества вырабатывают в игроках такие важнейшие навыки, как освоение условий коллективного взаимодействия и коллективной ответственности, принципов командообразования, развитие активности и познавательной мотивации, а также творческих способностей обучающися.

Согласно мнения некоторых авторов “конкурентные игры подстрекают игроков идти до победного конца. Чтобы сделать обучение более инновационным, геймификация увеличивает интерактивность и делает процесс обучения более автономным, что повышает активность учащихся. Таким образом, геймификация облегчает преподавание “ [3].

Именно в ключе состязательности разработаны отдельные

модели обучения в Тбилисском Государственном Университете, о которых будет сказано ниже.

В связи с игровой деятельностью человека, интересно вспомнить всемирно известного грузинского ученого - психолога Димитрия Узнадзе, который основательно изучив детские игры, сделал соответствующие выводы. Они заключаются в том, что детям с рождения присущи определенные функции, которые остаются неиспользованными до повзросления, так как об их жизненых потребностях заботятся старшие. С другой стороны, принципиально невозможно, чтобы организм наделенный какой-либо функцией не использовал ее: естественное состояние любого живого организма составляет движение, активность и для ребенка реализация неиспользованных функций есть игра.

Д. Узнадзе, подчеркивая развивающую роль игры, считал, что исходя из биологической активности детей, при помощи игры в них можно развивать различные полезные навыки и качества и расширять их кругозор [4].

Известный немецкий писатель, современный представитель и историк Бенедиктинской системы, лауреат Нобелевской премии Герман Гессе также, исходя из игровой идеи написал книгу «Игра в бисер». В ней он привел пример необычной страны Касталии, гражданам которой вменяется в обязанность совершенствовать разум. Игроки, професионалы игр, формируют элиту в уже элитарной Касталии. Почему же понадобилась такое государство? После «многих войн, горестей и переживаний, человечество пришло к выводу, что если хоть где-то не будет сохранена чистота разума, сам разум и вместе с ним человечество, если не погибнут, то выродятся и вернутся в эпоху варварства, в результате чего утвердится Вселенский хаос» [5].

Со сферой интеллекта связывает игры также Э. Кант, считая, что игра – это то состояние, во время которой познавательные способности достигают высшей гармонии. Эта гармония , этот порядок вместе создают условия для свободы человеческих

действий, нежели это возможно в реальной практической ситуации.

Именно этот принцип свободных действий заложен в управленческих и экономических играх, что позволяет смело экспериментировать и принимать решения без ограничений, характерных для решений в реальной жизни.

После приведенных примеров возникает ли вопрос о необходимости геймификации образования? Она, безусловно, необходима, чтобы сделать обучение более функциональным, облегчающим усвоение материала, мотивирующим и развивающим, способствующим становлению будущего специалиста. С помощью игры обучающиеся начинают развивать те навыки, которые ему понадобятся в его будущей профессиональной деятельности.

Следует отметить, что в последнее время в связи с развитием новых информационных технологий появилась новая сфера применения также деловых игр –это дистанционное обучение. В рамках этого формата деловые игры безусловный фактор, определяющий во многом успешность проведения отдельного занятия и эффективность обучения в целом [6].

В этом направлении в Тбилисском государственном университете им. Иванэ Джавахишвили во «Всеуниверситетском учебно-научном центре имитационного моделирования и интерактивных методов обучения» разработаны компьютерные и, так называемые, настольные деловые игры, а также состязательные интерактивы, которые возможно использовать в онлайн- режимном обучении. Часть из них приводится ниже.

**Интерактивный семинара по типу «состязаний»** предназначен для достижения максимальной активности студентов и вовлечения всей группы для участия в семинаре. С этой целью используется принцип персонификации, т.е. представление студентов в образе действующих лиц. Для этого студенческая группа делится на три команды, где в в составе каждой из них представлены «руководитель -лидер», два «докладчика», «со-

докладчик», дополняющего выступления основных докладчиков практическими примерами и «оппонент». Соответственно ролям, студентам выдаются «должностные» инструкции, определяющие их функции в заданной имитации. Заранее группе выдается один из изучаемых разделов дисциплины и распределяется по частям между командами, причем внутри самих команд задание каждому из участников в соответствии с его ролью выдает «руководитель».

Для того, чтобы состязание провести на должном уровне, студенты обязаны изучить весь рассматриваемый материал, независимо от того, вошел он в круг вопросов данной команды или нет. Это стимулирует участников к оживленной дискуссии, активному обмену знаниями и мнениями, в результате чего студенты получают дополнительные очки-баллы к сумме завоеванных соревнующимися командами баллами, что повышает величину общего командного балла.

С целью стимулирования студентов к наиболее многостороннему развитию их способностей, автором статьи разработана трехуровневая 10 балльная система оценки, это:

1. Деловой уровень, учитывающий степень подготовки студентов и освоения материала;

2. Риторический уровень, учитывающий культуру речи, лаконичность и логику в докладе и ответах;

3. Этический уровень, учитывающий манеру поведения, умение терпеливо объяснять и отвечать на заданные вопросы и достойно принимать замечания.

Применение этой формы оценки деятельности студентов играет важную роль в становлении будущих специалистов.

Ниже представлены разработанные в указаном центре компьютерные игры [8].

Компьютерная деловая игра **«Стратегия»** построена на принципах выбора стратегии предприятия, фирмы. Рассматриваются три стратегические задачи:

1. Поставка старой продукции на ранее освоенные рынки.

2. Поставка старой продукции на новые рынки.

3. Поставка новой продукции на ранеее освоенные рынки.

Все три стратегии ставят одну и ту же цель: отдача 12% прибыли от вложенного капитала; сохранение уровня дивидендов; поднятие репутации, имиджа организации.

Модель выполнена в виде обучающей системы, в которой при помощи экономико -математической методов, заложенных в игре, студенты принимают решения. На все возможные варианты стратегий в компьютерной программе имеются аналитические ответы «компьютерного арбитра» с детальным разбором всех последствий принятого решения и соответствующих пояснений о допущенных ошибках.

Игра **«Геоэкономика»** включает в себя компьютерную модель «ОСП» (отраслевая структура промышленности), в которой даны отраслевые структуры трех стран. Цель игры - анализ существующего промышленного потенциала представленных в игре трех стран, прогнозирование их позиций в перспективе с использованием соответствующих расчетов и составление проекта совершенствования отраслевой структуры.

Второй игровой срез - это установление экономических связей с тремя условными странами, исходя из позиций базовой страны. Далее разыгрываются следующие игровые блоки: оценка геоэкономических, геополитических условий и политических интересов базовой страны; согласование интересов базовой и соседних стран; установление путей реализации экономических интересов; дискуссия, на основании которой принимается решение о заключении тех или иных видов соглашений.

Заключительный этап игры – дискуссионный блок, в котором участники игры принимают окончательное решение по поводу наиболее благоприятного сотрудничества стран с перспективой экономического развития каждой из них.

Деловая игра **«Карьера»** представлена в виде компьютерной экспертной системы, в которой студенты выполняют

функции экспертов. В конкретных матрицах модели рассматриваются важные для управленческого персонала качества – профессиональные, деловые и психологические. Участники игры оценивают качества руководителя в сравнении с качествами «идеального руководителя», изначально заложенными в компьютер. Методом ранговой корреляции определяется коэффициент тесноты связи принятого решения (оценки руководителя) с заложенным в компьютере идеальным вариантом.

Деловая игра **«Проверьте себя»** , выполненная в компьютерной версии содержит в себе бихевиористическую модель. Игра представлена в виде ряда различных ситуаций с возможными вариантами решения проблем, заключенных в этих ситуациях Участник игры выбирает по своему усмотрению какой-либо вариант, на что тут же получает аналитический ответ «компьютерного эксперта» , в котором отмечаются положительные и отрицательные стороны принятого решения, что соответственно развивает в студентах аналитическое мышление. Указанная модель используется для выявления менеджерских способностей.

Деловая игра **«Рейтинг менеджера»** (компьютерная система). Данная модель представляет собой вариант шкалирования биполярных профилей (факторов). В ней представлены характер личности, стили поведения, навыки и способности. Основой модели служит концепция Р.Беннета, согласно которой оценка личности производится по трем направлениям: личность специалиста, особенности его стиля управления, определение доли менеджера в достижении целей фирмы. В задании студенты исходят из своих представлений о личности менеджера.

На основании выполненного задания и полученных результатов студентам на мониторе компьютера высвечиваются аналитические ответы и советы относительно тех свойств менеджера, на которые необходимо было особенно обратить внимание, а также какими свойствами должен обладать управленческий персонал.

Деловая игра **«Конфликт»** - в компьютерной версии предназначена для приобретения знаний и навыков в области профилактики, путей предотвращения и идентификации разного вида конфликтов, что особенно важно для обеспечения бесконфликтной ситуации в профессиональной деятельности, а также для успешных контактов и переговоров в бизнесе.

**ЛИТЕРАТУРА:**

1. Современные проблемы науки и образования https://www.science-education.ru/ru/article/view?id=22236. 2017.

2. “Homo ludens: человек играющий” Йохана Хёйзинги в кратком изложении. СПб., Изд-во Ивана Лимбаха. 2011

3. Геймификация: принципы, элементы, применение: http://teachtech.ru/gejmifikaciya/gejmifikaciya-principy-elementy-primenenie... 2017

4. უზნაძე დ. ფილოსოფიური შრომები. წიგნი 2. თბ.თსუ-ის გამომცემლობა. 1986

5. ნოდია გ. თამაშის ცნება კულტურის ფილოსოფიაში. თბ. „მეცნიერება“. 1987

6. Клименко И.С. Деловые игры, имитационные упражнения, кейсы: учебник. М. «КДУ», «Добросвет», 2019

7. თოლორდავა ჟ. სათამაშო იმიტაციური მოდელირება და სწავლების აქტიური მეთოდები. თბ. თსუ-ის გამომცემლობა. 1966

8. Tolordava J. Le rôle des jeux de simulations dans les méthodes d’enseignement interactives. EcoSoEn, Scientific Journal Economics, Social and Engineering Sciences Year 1, Nr.1. Moldova, Chișinău, 2/2018;

**REFERENCES:**

1. Modern problems of science and education. https://www.science-education.ru/ru/article/view?id=22236. 2017

2. **Homo ludens: a man playing** . Изд-во Ивана Лимбаха. 2011

3. Gamification: principles, elements, application: http: // teachtech.ru/gejmifikaciya/gejmifikaciya-principy-elementy-primenenie ... 2017

4. Uznadze D. Philosophical works. Book 2. TSU Publishing Home.1986

5. Nodia G. Game The concept of culture in philosophy. Tb. "Science". 1987

6. Klimenko I.S. Business games, simulation exercises, cases: textbook. M. "KDU", "Dobrosvet", 2019

7. J. Tolordava, D.De Tombe, D.N. Kavtaradze, G.Panizzi, P.Rizzi, E.Leigh. International experience in simulation modeling: economics and business, ecology, sociology. The monograph. Iv. Javakhishvili Tbilisi state University Press.2013.

8. Tolordava J. Le rôle des jeux de simulations dans les méthodes d'enseignement interactives. EcoSoEn, Scientific Journal Economics, Social and Engineering Sciences Year 1, Nr.1. Moldova, Chișinău, 2/2018

## „სერიოზული თამაშები" და განათლება

**ჟანა თოლორდავა**
ეკონომიკის დოქტორი

### რეზიუმე

ინგლისურენოვან პრესაში საგანმანათლებლო თამაშებს serious games, ანუ სერიოზულ თამაშებს უწოდებენ. ეს ის თამაშებია, რომელსაც იყენებენ არასათამაშო სიტუაციაში გარკვეული დისციპლინის სწავლებისას. პანდემიის პირობებში, ონლაინ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, სერიოზული თამაშების ჩართვა აუცილებელიც არის, ვინაიდან ეს მეთოდი უზრუნველყოფს საგნის საუკეთესო ათვისებისა და სტუდენტების ეფექტიან ჩართვას სასწავლო პროცესში.

**საკვანძო სიტყვები:** serious games, დისტანციური სწავლება და საქმიანი თამაშები.

# «SERIOUS GAMES» AND EDUCATION

**Zhana Tolordava**
Scientific Head of the Educational & Scientific
Center of Imitation Modeling of the Tbilisi
I. Javakhishvili State University

## RESUME

English language press applies the notion of "serious games" to educational games. In a general sense these are games that are used in non-play situations with the main purpose of teaching subjects and training in certain skills rather than entertain. Apart from education the notion of "serious games" is applied in defense, science and healthcare systems.

In the current context of a pandemic with transition to online education the relevance of "serious games" is on the rise as their inclusion in the educational process ensures broader involvement of students giving them more independence, allowing them to learn more effectively and develop their competence.

**Key words:** serious games, gamification of education, Homo Ludens, competitive games, elements of competition, distance learning and business games.

# 2020 წლის კრიზისი და რეცესიის საფრთხე

**ლელა ბოჭოიძე,**
**მაია ჩინჩალაძე,**
**ნინო დარსაველიძე**
სტუ ასოცირებული პროფესორები

## რეზიუმე

ესპანურმა გრიპის პანდემიამ, რომელიც დაახლოებით, ასი წლის წინ დაიწყო და ათ წელს გასტანა, კაცობრიობას, უდიდესი ზიანი მიაყენა. მაგრამ, პანდემიის დამარცხების შემდგომმა პერიოდმა, სასიცოცხლო რისკები, ძირითადად, მართვას დაუქვემდებარა.

დღეს უკვე შესაძლებელია, თამამად ითქვას, რომ დასაქმებულთა, დისტანცირებულ სამუშაოზე გადასვლას, ბიზნესის ეფექტიანობის დაცემა არ გამოუწვევია. ცხადია, ბიზნესის დისტანციურად მართვის ტენდენცია, ახალი არ არის, მაგრამ იგი უფრო აქტიურად გამოიკვეთა კორონავირუსის პანდემიის პერიოდში. მომავალშიც, დისტანციურად მუშაობა, მწვავე რეცესიის საფრთხესაც შეასუსტებს და რადიკალურად შეცვლის კიდეც შრომის ბაზარს.

**საკვანძო სიტყვები:** რეცესია, დეპრესია, პანდემია, დასაქმების მაჩვენებელი, შრომის ბაზარი, ჯ.მ კეინსის თეორია.

## შესავალი

2020 წლის კრიზისმა, ისევ დააააყენა, რეცესიის საფრთხის წინაშე - მილიონობით ადამიანი მსოფლიოში, უმუშევართა რიგებს შეუერთდა. ნათლად ჩანს, საფუძვლიანი განსხვავება, ასი წლის წინანდელ დეპრესიასთან შედარებისას. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ დამსაქმებელი დღეს სწრაფად მართავს საკუთარ შესაძლებლობებს. ეპიდსიტუაციის გაუარესებისა და ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების შემთხვევაში დამსაქმებელს აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს, მთავრობის დახმარება, საკუთარი ბიზნესის დასაცავად. ცხადია, ეს - დროებითი ინსტ-

რუმენტია, რომელიც ეფექტურად გამოიყენება მოკლევადიან კონიუნქტურული რყევებისას, მაგრამ არაეფექტურია - გრძელვადიან პერსპექტივაში. თუ ეკონომიკური კრიზისის დარეგულირება და მართვა, გრძელვადიან პერსპექტივაში, შედეგს ვერ გამოიღებს, ლოგიკურია, კომპანიები დაიწყებენ დასაქმებულთა დათხოვნას, შესაბამისად - უმუშევრობაც გაიზრდება.

კომპანიები, იძულებულნი გახდნენ, უმოკლეს დროში, მოეხდინათ ადაპტირება პანდემიით შექმნილ პირობებთან და გაეგრძელებინათ ფუნქციონირება, მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა. საქართველოში, საქმიანობის დიდი ნაწილი - სხვადასხვა სახის მომსახურების მიწოდებას უკავშირდება და მთავარი პრობლემა სწორედ აქ არის - ამ სფეროში, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება, ხშირად შეუძლებელია, რადგან მომსახურების ბევრი სახე პირდაპირი კონტაქტის განხორციელებას გულისხმობს.

**ძირითადი ტექსტი**

1929 წ. პრეზიდენტი ჰერბერტ ჰუვერი, ეკონომიკური კრიზისის ავტომატურად დარეგულირებაზე აკეთებდა გათვლებს. სამწუხაროდ, იმპორტზე დაწესებულმა, მაღალმა საბაჟო ტარიფებმა - გააღრმავა კრიზისი. მაგრამ, მისგან განსხვავებით, ფ. რუზველტი, სახელმწიფო სტიმულირების, რეგულირების და ეკონომიკის დაგეგმვის, უფრო აქტიურ მექანიზმებს და კეინსიანიზმის თეორიებს ატარებდა.

ჯ.მ კეინსის მიხედვით, ავტომატურად, საბაზრო მექანიზმი, არ ამოქმედდება და ეს ნიშნავს, რომ შეუძლებელია, უმუშევრობის, დეპრესიის, ეკონომიკური კრიზისებისაგან თავის დაღწევა, საბაზრო ეკონომიკის გამართული ფუნქციონირება - სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ეკონომიკაში.

დღეს კორონავირუსის გამო გამოწვეულმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და რეცესიის საფრთხემ ისევ აქტუალური გახადა კეინსის ეკონომიკური თეორია, სახელმწიფო ეკონომიკის, რეგულირების მნიშვნელობის შესახებ. ეკონომიკური კრიზისები, რომლებიც პერიოდულად, განმეორებადი ტენდენციით ხასიათდება, ახალი ხედვის და მოვლენების, ახლებური ახსნის,

აუცილებლობის წინაშე აყენებს სახელმწიფოებს.

კეინზს მიაჩნდა, რომ ერთობლივ მოთხოვნაზეა დამოკიდებული, დასაქმების მაჩვენებელი. ეს ფორმულირება, კარგად არის გადმოცემული, შემდეგი დამოკიდებულებით: დანახარჯებს + ინვესტიციები + საბიუჯეტო ხარჯები + ექსპორტი – იმპორტი[1].

დასაქმების სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია ეხება ადამიანურ კაპიტალზე ხარჯების გაზრდას: სამედიცინო მომსახურებაზე, განათლებაზე და პერსონალის მომზადებაზე. გაწეული დანახარჯების ზრდა, ყველაზე დიდ პრობლემას, დასაქმებას მოაგვარებს.

რეცესია - ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი შემცირებაა, და 3 თვეზე, მეტხანს გრძელდება. გამოიხატება: რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის, დასაქმების, შემოსავლების, წარმოების და რეალიზაციის შემცირებით. ფინანსური თუ ფსიქოლოგიური ან და ეკონომიკური ფაქტორები, რეცესიას წარმოშობს. მაგრამ დღეს, შესაძლოა, რეცესიის გამომწვევი მიზეზი, ვირუსული ინფექცია - COVID 19 გახდეს.

დეპრესია - მკაცრი რეცესიაა. რეალური მშპ, წლიურად, 10%-ით მცირდება, 3 ან მეტ წელს გრძელდება. 1929 წლის დიდი დეპრესია[2] ხასიათდებოდა, კატასტროფული უმუშევრობით და სიღარიბით.

კორონავირუსის გამო, 2020 წ. მსოფლიო ეკონომიკური ზრდის დაცემა და ეკონომიკის რეცესიაში შესვლა, უკავშირდება უამრავ ღონისძიებას, რომელიც ტარდება, ვირუსთან ბრძოლისას, მის დასამარცხებლად. გლობალური მიწოდების ჯაჭვის რღვევა და ბიზნესის ზარალი, ცალსახად, რეცესიის გამომწვევ მიზეზებში, პირველ ადგილს იკავებენ, მაგრამ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფსიქოლოგიური ფაქტორი - რომლის გადალახვაც, ადამიანებს ძალიან უჭირთ. დიდი დეპრესია, სავარაუდოდ, არ დადგება, ვინაიდან, მსოფლიო დღეს,

1 Read more at: http://european.ge/dasaqmebis-sargeblisa-da-pulis-zogadi-teoria/ Copyright © European.ge

2 Great Myths of the Great Depression by Lawrence Reed

ისეთ უახლეს მოწინავე ტექნოლოგიებს ფლობს, რომ 1929 წელთან, შედარებაც კი, არ შეიძლება. ამის გარდა, ციფრული ტექნოლოგიების უფრო სწრაფი ტემპით განვითარება, სახლიდან, დისტანციურად მუშაობა, უფრო ეფექტური გახდება და ასეთ პირობებში, შრომის პროდუქტიულობაც კი გაიზრდება, ვინაიდან დასაქმებული, უფრო კომფორტულად იგრძნობს თავს. რაც დადებითი, ფსიქოლოგიური ეფექტია და გაზრდის წარმატების შანსებს. სავარაუდოდ, ბიზნესი, დისტანციურად იმუშავებს, გლობალური პანდემიის შემდეგაც-თავად თანამშრომლები არ მოისურვებენ, თავიანთ ოფისებში დაბრუნებას და ბიზნესის მფლობელებსაც შეუძლიათ, შენობის და კომუნალური მომსახურების დაქირავების თანხების დაზოგვა. რაც შეეხება, მომსახურების სფეროს, დასაქმების მაჩვენებელი არ შემცირდება. მაგრამ, მეტი მოთხოვნა გაჩნდება, მაღალი კვალიფიკაციის მომსახურე პერსონალზე და ახალგაზრდებზე.

2020 წელს, მოწინავე ეკონომიკის ქვეყნები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან მსოფლიო ტურიზმზე, ვაჭრობაზე, ნედლეულის ექსპორტზე, საგარეო დაფინანსებაზე, მნიშვნელოვნად დაზარალდებიან და დიდი გლობალური პრობლემების პირისპირ აღმოჩნდებიან. მთავარი ამოცანა, პანდემიის დამარცხების შემდგომ, სიღარიბის და უმუშევრობის ზრდის აღკვეთა იქნება. უკვე იქმნება, მოვლენების განვითარების, პესიმისტური და ოპტიმისტური სცენარები, შესაბამისად, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2021 წ. გლობალური ეკონომიკური ზრდა, აღდგება და 4.2% -საც კი მიაღწევს.

COVID-19 პანდემიით გამოწვეული რეცესია, უნიკალურია. მოწინავე ქვეყნების ეკონომიკაში, იგი ყველაზე ღრმა იქნება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. წარსულში, რეცესიების და დეპრესიის გამოცდილება, ცხადყოფს,რომ აუცილებელია ბიზნესის სტიმულირებისთვის დამატებითი ზომების გატარება, ვინაიდან, დღეს, ეკონომიკური ზრდის მოკლევადიანი პროგნოზები ხასიათდება უჩვეულოდ მაღალი გაურკვევლობით. არ არის გამორიცხული, ალტერნატიული სცენარების განვითარება.

პანდემია, მნიშვნელოვნად დააზიანებს, უღარიბესი ქვეყნე-

ბის ხალხსა და ეკონომიკას. ერთობლივი მოთხოვნის ჯაჭვის რღვევას შეუძლია გაამძაფროს პანდემიის შოკის მომგვრელი გავლენა - სავაჭრო, საწარმოო და ფინანსურ ბაზრებზე. ღრმა რეცესიამ, შესაძლოა, გამოიწვიოს გრძელვადიანი ინვესტიციების დაზარალება, ადამიანური კაპიტალის განადგურება, უმუშევრობის გზით და გლობალური ვაჭრობისა და მოთხოვნა მიწოდების ჯაჭვების გაწყვეტა. ამიტომ, ასე მნიშვნელოვანია რეფორმების გატარება მდგრადი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად და რეცესიის დასამარცხებლად არსებული კრიზისის დაძლევის შემდეგ.

**REFERENCES:**

1. Andrew Haywood - Economic Systems

Read more at: http://european.ge/dasaqmebis-sargeblisa-da-pulis-zogadi-teoria/

Copyright © European.ge

2. Great Myths of the Great Depression by Lawrence Reed

3. https://ustudy.ge/makro/makro-17

4.https://www.vsemirnyjbank.org/ru/news/press-release/2020/06/08/covid-19-to-plunge-global-economy-into-worst-recession-since-world-war-ii

5.http://european.ge/dasaqmebis-sargeblisa-da-pulis-zogadi-teoria/

## THE CRISIS OF 2020 AND THE THREAT OF RECESSION

**Lela Bochoidze,**
**Maia Chinchaladze,**
**Nino Darsavelidze,**
GTU Associate Professors

### RESUME

The Spanish Flu which began about hundred years ago and have been continued up to 10 years, has caused the biggest damage for humanity. But risks were manageable after the pandemic defeat.

Today we can say that the transition of all employees in remote work did not decline business efficiency. It's clearly for us that the trend of managing businesses remotely is not new, but it was more pronounced during COVID-19 pandemic all around the world. We can say then in the future, remotely working will weak the threat of a serve recession and radically change the labor market.

**Key words:** recession, depression, pandemic, employment rate, labor market, J.M. Keynes theory.

# კომერციული ბანკის საკრედიტო რისკის შეფასების მეთოდები

**გრიგოლ ნემსაძე**
სტუ დოქტორანტი

## რეზიუმე

ალნიშნულია, რომ სტანდარტების მიხედვით კლასიფიცირებული სესხებისათვის შესაძლო დანაკარგებზე რეზერვის შექმნა უნდა ხდებოდეს არა მარტო სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის შესაბამისი ოდენობით, არამედ, გამომდინარე იქედან, რომ საგადასახადო სისტემა მსესხებელის მიერ გადაუხდელი პროცენტების თანხას ყოველთვიურად მომავალი პერიოდის შემოსავლებში უთვლის და მისი გათვალისწინებით ახდევინებს ბანკებს მოგების გადასახადს. ამდენად მიზანშეწონილად გვესახება-სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელ ნაშთს დაემატოს გადაუხდელი პროცენტის ოდენობაც. აქედან გამომდინარე, ბანკის მიერ საკუთარი შემოსავლებიდან ალნიშნული რეზერვის კიდევ უფრო (ნაწილობრივ უმნიშვნელოდ) გადიდება, ბანკს მოუწოდებს მსესხებლის კანდიდატის ფინანსური მდგომარეობისა და კრედიტუნარიანობის შეფასების უფრო გულმოდგინე, ფრთხილი მონიტორინგისაკენ. ამასთანავე, მსესხებლის ვალდებულებაც უფრო რეალური გახდება.

**საკვანძო სიტყვები:** საკრედიტო რისკი; კრედიტუნარიანობა, საკრედიტო მენეჯმენტი, საკრედიტო ხაზი, საკრედიტო რეზერვი.

## შესავალი

საკრედიტო რისკის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება ხორციელდება ბანკის საკრედიტო პორტფელის რისკის შეფასების ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა: ანა-

ლიტიკური, სტატისტიკური და კოეფიციენტური. საკრედიტო რისკის შეფასება სტატისტიკური ანალიზის მეთოდების მეშვეობით ითვალისწინებს, რომ საკრედიტო პორტფელის შემადგენელი რისკების ერთობლივი ზემოქმედება მის ხარისხზე აისახება. ბანკის საკრედიტო პორტფელის რისკის გაანგარიშებისა და შეფასების სტატისტიკური მეთოდის ძირითად ინსტრუმენტებს წარმოადგენენ საერთო თეორიიდან ცნობილი: დისპერსია, ვარიაცია, სტანდარტული გადახრა, ვარიაციისა და ასიმეტრიის კოეფიციენტი.

საკრედიტო პორტფელური რისკის შეფასების შემდეგი მეთოდი - კოეფიციენტური მეთოდია. მეთოდის არსი შეფარდებითი მაჩვენებლების გაანგარიშებაში მდგომარეობს, რომლებიც ბანკის საკრედიტო პორტფელის შემადგენლობაში შემავალი საკრედიტო რისკის შეფასების შესაძლებლობას იძლევა. საქართველოს ეროვნულმ ბანკმა შეიმუშავა „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესი" (2017 წლის 10 აგვისტოს ბრძანება N 117/04), რომელიც სავალდებულოდ შესარულებელ მითითებას წარმოადგენს ყველა მოქმედი კომერციული ბანკისათვის.

## ძირითადი ტექსტი

საკრედიტო რისკის მართვა - არის პროცესიც და რთული სისტემაც. პროცესი დაკრედიტების ბაზრების განსაზღვრიდან იწყება, რომლებიც ხშირად მიზნობრივ ბაზრად იწოდება (3). იგი სავალო ვალდებულების სტადიების თანმიმდევრულ ფორმაში გრძელდება.

საკრედიტო რისკის მართვის ძირითადი პრინციპები, ეროვნული და საერთაშორისო საბანკო პრაქტიკის მიხედვით, ითვალისწინებს:

- მიზნებსა და ამოცანებს საკრედიტო რისკის მართვასთან მიმართებაში ბანკის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით;

- ძირითად მეთოდებს საკრედიტო რისკის გამოვლენასთან,

შეფასებასთან, მონიტორინგთან (მუდმივ დაკვირვებასთან) მიმართებაში;

- ძირითად მეთოდებს საკრედიტო რისკის კონტროლისა და მინიმიზაციასთან (რისკის მხარდაჭერის მიხედვით ღონისძიებების მიღება, რომლებიც კრედიტორების და მეანაბრეების ინტერესებს, ბანკის მდგრადობას არ ემუქრება) მიმართებაში;

- ინფორმაციული უზრუნველყოფის წესს საკრედიტო რისკის საკითხებთან მიმართებაში (ქვედანაყოფებსა და თანამშრომლებს შორის ინფორმაციების გაცვლის წესი, ანგარიშგებისა და სხვა ინფორმაციების წარდგენის წესი და პერიოდულობა საკრედიტო რისკის მართვის საკითხებთან მიმართებაში);

- უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის განაწილება დირექტორთა საბჭოს, აღმასრულებელ ორგანოებს, ქვედანაყოფებსა და ბანკის მოსამსახურეებს შორის საკრედიტო რისკის მართვის ძირითადი პრინციპების რეალიზაციის ნაწილში.

საკრედიტო რისკის წარმოშობა შეიძლება მრავალი მიზეზით იყოს განპირობებული როგორც ცალკე სესხის დონეზე, ასევე საკრედიტო პორტფელის დონეზეც.

საკრედიტო რისკის წარმოშობის მიზეზები ცალკე სესხის დონეზე მოიცავს:

- მსესხებლის არასტაბილურობას ვალის დაბრუნებისა და მომსახურებისათვის საჭირო ფულადი ნაკადის შექმნისადმი;

- გირაოს ლიკვიდობის რისკს;

- სესხის მიხედვით პასუხისმგებელი მესამე პირების მიერ ვალდებულებების რისკს;

- მსესხებელის მორალურ და ეთიკურ მახასიათებლებს.

საკრედიტო რისკის წარმოშობის მიზეზებს ბანკის საკრედიტო პორტფელის დონეზე მიეკუთვნებიან:

- კრედიტების ზეზომიერად კონცენტრაცია ეკონომიკის ერთ სექტორში;

- ვალუტის კურსის ცვლილება - კრედიტებისათვის, რომლებიც უცხოურ ვალუტებშია გაცემული;

- საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა, რომლებიც ბანკის მოთხოვნილებებს აიგნორირებენ;

- პერსონალის კვალიფიკაციის დონე.

საკრედიტო რისკის მართვა შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- საკრედიტო რისკის შეფასება;
- საკრედიტო რისკის მონიტორინგი;
- საკრედიტო რისკის რეგულირება.

მიზნები და ამოცანები საკრედიტო რისკის მართვასთან მიმართებაში მიიღწევა გარკვეული პრინციპების დაცვის შემდეგი მეთოდებით:

- პროგრამული მნიშვნელობების (ლიმიტების) სისტემის;
- უფლებამოსილებისა და გადაწყვეტილების მიღების სისტემის;
- ინფორმაციული სისტემის;
- მონიტორინგის სისტემის;
- კონტროლის სისტემის.

საკრედიტო რისკის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება ხორციელდება ბანკის საკრედიტო პორტფელის რისკის შეფასების ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა: ანალიტიკური, სტატისტიკური და კოეფიციენტული (1).

საქართველოს ეროვნულმ ბანკმა შეიმუშავა „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესი" (2017 წლის 10 აგვისტოს ბრძანება N 117/04), რომლის თანახმადაც, კომერციული ბანკები ვალდებულები არიან:

- ჩამოაყალიბონ და იქონიონ წერილობითი პოლიტიკა და პროცედურები საკრედიტო რისკის მართვის, აქტივების კლასიფიკაციის განხორციელებისა და მოსალოდნელი დანაკარგების დაფარვისათვის ადეკვატური რეზერვის (ჩვენი მხრიდან დავამატებთ, რომ „საკუთარი შემოსავლებიდან") შექმნის მიზნით;
- განახორციელონ აქტივების კლასიფიკაცია და შექმნან შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვები ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული წერილობითი პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად;
- სესხის კლასიფიკაცია წარმოებს ხუთი კატეგორიის მიხედვით: სტანდარტული სესხები (სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 2%); საყურადღებო სესხები (გადახდა

ვადაგადაცილებულია 60 ან მეტი დღით, სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 10%); არასტანდარტული სესხები (გადახდა ვადაგადაცილებულია 90 ან მეტი დღით, სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 30%); საეჭვო სესხები (გადახდა ვადაგადაცილებულია 150 ან მეტი დღით, სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 50%); უიმედო სესხები (გადახდა ვადაგადაცილებულია 180 ან მეტი დღით, სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 100%).

საკრედიტო რისკის შეფასება სტატისტიკური ანალიზის მეთოდების მეშვეობით ითვალისწინებს, რომ საკრედიტო პორტფელის შემადგენელი რისკების ერთობლივი ზემოქმედება მის ხარისხზე აისახება. ასეთი მტკიცებულება საფუძველს იძლევა ბანკის პორტფელის შემადგენელ საკრედიტო რისკებთან მიმართებაში შეთანხმების ვარიაცია განსჯილი იქნას, როგორც საკრედიტო საქმიანობის რისკიანობის გავრცობილი მაჩვენებელი.

ბანკის საკრედიტო პორტფელის რისკის გაანგარიშებისა და შეფასების სტატისტიკური მეთოდის ძირითად ინსტრუმენტებს წარმოადგენენ საერთო თეორიიდან ცნობილი: დისპერსია, ვარიაცია, სტანდარტული გადახრა, ვარიაციისა და ასიმეტრიის კოეფიციენტი (3).

საკრედიტო პორტფელური რისკის შეფასების შემდეგი მეთოდი - კოეფიციენტური მეთოდია. მეთოდის არსი შეფარდებითი მაჩვენებლების გაანგარიშებაში მდგომარეობს, რომლებიც ბანკის საკრედიტო პორტფელის შემადგენლობაში შემავალი საკრედიტო რისკის შეფასების შესაძლებლობას იძლევა და რომელთა მნიშვნელობები შეფასების ნორმატიულ კრიტერიუმებს უდარდება, და აღნიშნულის საფუძველზე ბანკის საკრედიტო ერთობლივი რისკის დონე ხარისხობრივად და რაოდენობრივად განისაზღვრება (3).

მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს კრედიტუნარიანობის შეფასების შემდეგი მეთოდები:

- **ფინანსური კოეფიციენტების სისტემის საფუძველზე** (ლიკვიდობის კოეფიციენტები; ეფექტიანობის - ბრუნვადობის კო-

ეფიციენტები; ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები; მოგებიანობის კოეფიციენტები; ვალის მომსახურების კოეფიციენტები);

- **ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე** (აღნიშნული მეთოდის რეალიზება კლიენტის ფულადი ნაკადების ანალიზის მეშვეობით, უფრო ზუსტად გარკვეული პერიოდის მიხედვით მისი სხვადასხვა შემოსულობებისა და გახარჯვების სუფთა სალდოს განსაზღვრის მეშვეობით ხორციელდება);

- **საქმიანი რისკის ანალიზის საფუძველზე** (აღნიშნული რისკი ფონდების წრებრუნვის წყვეტადობასთან, აღნიშნული წრებრუნვის ეფექტიანად სასრულების შესაძლებლობასთან არის დაკავშირებული. ასეთი რისკის ანალიზი სესხის დაფარვის წყაროების საკმარისობის პროგნოზირების შესაძლებლობას იძლევა. ამით იგი ბანკის კლიენტების კრედიტუნარიანობის შეფასების ხერხებს ავსებს).

უცხოეთის ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაში საკრედიტო ურთიერთობების განვითარების შესაბამისობაში სესხების ხარისხის შეფასების კრიტერიუმების წრე ასევე ფართოვდება, დღეისათვის იგი 10-ზე მეტ პოზიციას მოიცავს და მათ ძირითად რიცხვს მიეკუთვნება:

- სესხის დანიშნულება და სახეობა;
- სესხის სიდიდე, დაფარვის ვადა და წესი;
- კლიენტის კრედიტუნარიანობის ხარისხი, მისი დარგობრივი კუთვნილებადობა და საკუთრების ფორმა;
- მსესხებელის შესახებ ბანკის ინფორმირებულობის ხარისხი;
- სესხის დაბრუნებადობის უზრუნველყოფის მოცულობა და რაოდენობა.

საქართველოში სესხის ხარისხის შეფასების კრიტერიუმების რიცხვი ჯერჯერობით ნაწილობრივ შეზღუდულია. საქართველოს ეროვნული ბანკის რეკომენდაციიდან გამომდინარე, დღეისათვის გამოიყენება ორი მთავარი კრიტერიუმი: სესხის დაბრუნების უზრუნველყოფადობის ხარისხი (დაფუძნებულია არაციფრობრივ მონაცემებზე) და ადრე გაცემული სესხების დაფარვასთან მიმართებაში ფაქტობრივი მდგომარეობა (იხ. ცხრილი 1).

**ცხრილი 1.**

**სესხის ხარისხის კატეგორიის განსაზღვრა მსესხებელის ფინანსური მდგომარეობისა და ვალის მომსახურების ხარისხის გათვალისწინებით**

| ვალის მომსახურება/ ფინანსური მდგომარეობა | კარგი | საშუალო | ცუდი |
|---|---|---|---|
| კარგი | სტანდარტ. (ხარისხის I კატეგორია) | არასტანდ. (ხარისხის II კატეგორია) | საეჭვოები (ხარისხის III კატეგორია) |
| საშუალო | არასტანდ. (ხარისხის II კატეგორია) | საეჭვოები (ხარისხის III კატეგორია) | პრობლემურები (ხარისხის IV კატეგორია) |
| ცუდი | საეჭვოები (ხარისხის III კატეგორია) | პრობლემურები (ხარისხის IV კატეგორია) | უიმედოები (ხარისხის V კატეგორია) |

ეროვნული ცენტრალური ბანკის 2017 წლის 10 აგვისტოს N 117 / 04 ბრძანების „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის“ შესაბამისად, საქართველოში კლასიფიცირებული სესხების მიხედვით საანგარიშო რეზერვის სიდიდე სესხის კლასიფიკაციის შედეგებიდან გამომდინარე შემდეგი ოდენობით არის დაკანონებული (იხ. ცხრილი 2) .

**ცხრილი 2. კლასიფიცირებული სესხების მიხედვით საანგარიშო რეზერვის სიდიდე**

| ხარისხის კატეგორია | დასახელება | საანგარიშო რეზერვის სიდიდე სესხის მიხედვით ძირითადი ვალის თანხიდან პროცენტებში |
|---|---|---|
| ხარისხის I კატეგორია (უმაღლესი) | სტანდარტულები | 0 |

| | | |
|---|---|---|
| ხარისხის II კატეგორია (უმაღლესი) | არასტანდარტულები | 1-დან - 20-მდე |
| ხარისხის III კატეგორია (უმაღლესი) | საეჭვოები | 21-დან - 50-მდე |
| ხარისხის IV კატეგორია (უმაღლესი) | პრობლემურები | 51-დან - 100-მდე |
| ხარისხის V კატეგორია (უმაღლესი) | უიმედოები | 100 |

**ცხრილი 3. კლასიფიცირებული სესხების მიხედვით საანგარიშო რეზერვის სიდიდე**

| **ხარისხის კატეგორია** | **დასახელება** | **საანგარიშო რეზერვის სიდიდე სესხის მიხედვით ძირითადი ვალის თანხიდან პროცენტებში** |
|---|---|---|
| **ხარისხის I კატეგორია (უმაღლესი)** | **სტანდარტული** | **2** |
| **ხარისხის II კატეგორია (უმაღლესი)** | **საყურადღებო** | **10** |
| **ხარისხის III კატეგორია (უმაღლესი)** | **საეჭვოები** | **30** |
| **ხარისხის IV კატეგორია (უმაღლესი)** | **პრობლემურები** | **50** |
| **ხარისხის V კატეგორია (უმაღლესი)** | **უიმედოები** | **100** |

კომერციულმა ბანკებმა ამ წესის შესაბამისად უნდა შექმნან ყველა სესხისა და სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვები. ბანკის მენეჯმენტი ვალდებულია უზრუნველყოს

კომერციული ბანკის მიერ ადეკვატური რეზერვების არსებობა.

რეზერვების ადეკვატურობა თითოეულმა კომერციულმა ბანკმა უნდა განიხილოს ყოველთვიურად, თუ აქტივებისა და მათი კლასიფიკაციის ზედმიწევნით შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ შესაძლო დანაკარგების რეზერვი არასაკმარისია, მენეჯმენტი იღებს გადაწყვეტილებას კლასიფიკაციის გათვალისწინებით დამატებითი რეზერვის შექმნაზე და ქმნის მას იმ ოდენობით, რომელიც საკმარისი იქნება მოსალოდნელი დანაკარგების დასაფარავად.

კომერციული ბანკები აქტივების შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვების შესაქმნელად დარეზერვებაზე გაწეულ ყველა ახალ რეზერვს გაატარებენ ხარჯებში და ასახავენ თავიანთ მიმდინარე მოგება-ზარალის უწყისში.

სესხის დაფარვისა და სხვა აქტივების ამოღების შეუძლებლობის დადგენის შემთხვევაში, ბანკებმა უნდა ჩამოწერონ უიმედოდ კლასიფიცირებული აქტივები და შეამცირონ შესაძლო დანაკარგების რეზერვი მისი დადებიტებითა და აქტივების ანგარიშის დაკრედიტებით.

კომერციული ბანკის მიერ სესხის ჩამოწერა გადახდის შეუძლებლობის გამო არ ჩაითვლება ვალის გაუქმებად. აღნიშნული ვალი უნდა დარჩეს სპეციალურ გარესაბალანსო ანგარიშებზე მისი ჩამოწერის დღიდან ხუთი წლის განმავლობაში. კომერციულმა ბანკმა უნდა მიიღონ ზომები, როგორც ვადაგადაცილებული პროცენტის, ისე ძირითადი თანხის ამოსაღებად. ასეთ აქტივზე, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს შეხედულებისამებრ, პროცენტების დარიცხვა გაგრძელდება გარესაბალანსო ანგარიშზე, რათა კვლავ ხდებოდეს მიმდინარე ვალდებულებების შესაფერისი ასახვა.

თუ მოვალე არ გადაიხდის ჩამოწერილ სესხს ხუთი წლის განმავლობაში, სესხის როგორც ძირითადი თანხა, ისე პროცენტები, გაუქმებული იქნება სპეციალური გარესაბალანსო უწყისის ანგარიშიდან ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისი გატარების მეშვეობით, რაც არ ნიშნავს სესხის ამოღების პროცედურების შეწყვეტას.

## დასკვნა

სტანდარტების მიხედვით კლასიფიცირებული სესხებისათვის შესაძლო დანაკარგებზე რეზერვის შექმნა უნდა ხდებოდეს არა მარტო სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის შესაბამისი ოდენობით, არამედ, გამომდინარე იქედან, რომ საგადასახადო სისტემა მსესხებელის მიერ გადაუხდელი პროცენტების თანხას ყოველთვიურად მომავალი პერიოდის შემოსავლებში უთვლის და მისი გათვალისწინებით ახდევინებს ბანკებს მოგების გადასახადს. ამდენად მიზანშეწონილად გვესახება, რომ სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელ ნაშთს დაემატოს გადაუხდელი პროცენტის ოდენობაც. აქედან გამომდინარე, ბანკის მიერ საკუთარი შემოსავლებიდან აღნიშნული რეზერვის კიდევ უფრო (ნაწილობრივ უმნიშვნელოდ) გადიდება, ბანკს მოუწოდებს მსესხებლის კანდიდატის ფინანსური მდგომარეობისა და კრედიტუნარიანობის შეფასების უფრო გულმოდგინე, ფრთხილი მონიტორინგისაკენ. ამასთანავე, მსესხებლის ვალდებულებაც უფრო რეალური გახდება.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. - თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა შპს „სეზარი“, 2014. – 548 გვ.

2. ცაავა გ., ხანთაძე გ. - საბანკო მენეჯმენტი (თეორია, მეთოდები და პრაქ-ტიკა), სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2015. – 80 გვ.

3. ცაავა გ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ. - რისკოლოგია: ფინანსური რისკების სტრატეგიული მენეჯმენტი, სახელმძღვანელო (შევსებული და გადამუშავებული მესამე გამოცემა). - თბილისი, გამომცემლბა „დანი“, 2020. – 374 გვ.

**REFERENCES:**

1. Kovzanadze I., Kontridze G. - Modern Banking: Theory and Practice, Manual. - Tbilisi, Cesar Ltd Publishing House, 2014. - 548 p.
2. Tsaava G., Khantadze G. - Banking Management (Theory, Methods and Practice), Handbook. - Tbilisi, Dani Publishing House, 2015. - 80 p.
3. Tsaava G., Burdiashvili R., Mosiashvili V. - Riskology: Strategic Financial Risk Management, Guide (Completed and Revised Third Edition). - Tbilisi, Dani Publishing House, 2020. - 374 p.

## COMMERCIAL BANK CREDIT RISK EVALUATION METHODS

**Grigol Nemsadze**
Georgian Technical University
PhD student

### RESUME

The Reserve for possible losses on loans classified according to the standards should be created not only in the amount of the outstanding balance of the principal amount of the loan, but also because the tax system calculates the amount of interest unpaid by the borrower on a monthly basis. The amount of unpaid interest should be added to the unpaid balance of the principal amount. Therefore, further (partially insignificant) increase of this reserve from the bank's own revenues calls on the bank to monitor the borrower's candidate's financial condition and creditworthiness more diligently and carefully, and the borrower becomes more realistic.

**Key words:** credit risk, creditworthiness, credit management, credit line, credit reserve.

# რეგიონული განვითარების რამდენიმე საკითხი

**ზურაბ ნასარაია**
სტუ დოქტორანტი

## რეზიუმე

ახსნილია რეგიონული განვითარების, როგორც კვლავწარმოებითი პროცესის, შინაარსი, რომელიც განაპირობებს ინსტიტუციური მართვის აუცილებლობას. ავტორი მიიჩნევს, რომ რეგიონული განვითარება წარმოადგენს მრავალწახნაგოვან პროცესს, რომელიც ცვლის რეგიონების სოციალურ სტრუქტურას, ადამიანთა ქცევას, საზოგადოებრივ ინსტიტუტებს და აჩქარებს ეკონომიკურ ზრდას, რასაც თან სდევს უმუშევრობისა და უთანასწორობის შემცირება. ავტორი იკვლევს დიალექტიკურ კავშირს ეკონომიკურ განვითარებასა და ინსტიტუტებს შორის, რაც იძლევა ინოვაციური სისტემის სტრუქტურის საინვესტიციო ქვესისტემით შევსების საშუალებას. გარდა ამისა, განსაზღვრულია ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი ეფექტიანი ინსტიტუტების შექმნის მიმართულებები.

**საკვანძო სიტყვები:** რეგიონული განვითარება, დიქოტომია, ეკონომიკის განვითარების პირობები, ინსტიტუტი, ეროვნული და რეგიონული ინოვაციური სისტემები.

## ძირითადი ტექსტი

საქართველოს რეგიონები განსხვავებული პარამეტრებით ხასიათდება, ესაა დასახლების სიმჭიდროვე, სარესურსო პოტენციალის გაადგილება, ცხოვრების დონის დიფერენციაცია, სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობა, საწარმოო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების დონე და სხვა. ამდენად, რეგიონული განვითარების მართვის საკითხები

განსაკუთრებულად არის აქტუალური. მაგრამ მანამ, სანამ განვიხილავთ ამა თუ იმ მეთოდის ეფექტიანობას ანდა რეგიონული განვითარებისადმი სხვადასხვა მიდგომას, აუცილებელია განვმარტოთ, თუ რას მოიცავს ცნება „რეგიონული განვითარება“.

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ავტორები ამ ტერმინს განსხვავებულად განმარტავენ. ჩვეულებრივ, რეგიონული განვითარების ქვეშ გულისხმობენ რეგიონული ეკონომიკური ანდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებას. ამ ორი ასპექტის გამოყოფა აიხსნება იმით, რომ დანარჩენი ასპექტები (ტექნოლოგიური, დემოგრაფიული, ინოვაციური და სხვა) წარმოადგენს ფაქტორებს, რომელნიც ზემოქმედებენ საბოლოო საშედეგო მჩვენებელზე, ესაა რეგიონის ეკონომიკური განვითარება. [1]

რეგიონული ეკონომიკური განვითარება ერთდროულად განიხილება როგორც პროდუქტი და როგორც პროცესი. შინა მეურნეობებს, ბიზნესს და სახელისუფლებო ინსტიტუტებს, როგორც ინვესტორებსა და მეწარმეებს, პირველ რიგში აინტერესებთ ეკონომიკური განვითარების შედეგი. ეს არა მხოლოდ ინვესტიციიდან შემოსავლების მიღებაა, არამედ ამ შემოსავლების ზრდა ხალი სამუშაო ადგილების შექმნის, შრომის პირობების გაუმჯობესების, ცხოვრების ხარისხის ამაღლებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის ხარჯზე. ჩვეულებრივ, ამ მაჩვენებელთა რაოდენობრივი მატება ეკონომიკურ ზრდასთანაა გათანაბრებული.

ეკონომისტები და მმართველები ერთნაირად არიან დაინტერესებულნი ეკონომიკურ განვითარებაში. სამწუხაროდ, ხშირად ძნელია სასურველი შედეგების შეთანხმება მათ მისაღწევად გასაწევ დანახარჯებთან. ეს დიქოტომია შეიძლება გართულდეს ეკონომიკური გარემოს არამდგრადი და ცვალებადი ბუნებით, სადაც „გარე ეფექტები“ (გაცვლითი კურსები, ახალი ტექნოლოგიები, უცხოური კონკურენცია) უდიდეს როლს თამაშობს რეგიონის ეკონომიკური პოლიტიკისა და სტრატეგიის სფეროში საჭირო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეკონომისტები

მუდმივად არიან დაინტერესებულნი შემოსავლების მაქსიმიზაციის გზების ძიებით იმის მაგივრად, რომ მოიძიონ მდგრადი განვითარებისადმი ახალი მიდგომები, რომლებიც მოწოდებულია, შეამციროს ეკოლოგიური მოხმარების გრძელვადიანი ზემოქმედება. [2]

მართლაც, განვითარება დიდი ხნის განმავლობაში განიხილებოდა, როგორც ეკონომიკური მოვლენა, რომელიც რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდით გამოიხატებოდა. ეკონომიკური ზრდის თეორიის თანახმად (ეკონომიკური ზრდის ჰაროდ-დამარის მოდელი) ინვესტიციების, დანაზოგებისა და უცხოური დახმარების ოპტიმალური თანაფარდობის შემთხვევაში ითვლებოდა, რომ ერთ სულ მოსახლეზე რეგიონული პროდუქტის გაზრდა ავტომატურად იწვევს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. მაგრამ პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ მთლიანი რეგიონული პროდუქტის მაჩვენებლის ზრდა უშუალოდ არ აისახება სიღატაკის შემცირებაზე, შემოსავალების განაწილებაში უთანასწორობისა და უმუშევრობის ზრდაზე.

XX საუკუნის 70-იან წლებში აქცენტმა ეკონომიკური ზრდიდან სიღატაკის, უთანასწორობისა და უმუშევრობის შემცირებაზე გადაინაცვლა. თუ საწყის დონესთან შედარებით ამ მაჩვენებელთაგან სამივე იზრდება, შესაძლებელია საუბარი განვითარების პერიოდზე. თუ ერთი, ორი, მით უმეტეს - სამივე მაჩვენებელი მცირდება, ძნელია ზრდაზე საუბარი მთლიანი რეგიონული პროდუქტის ზრდის მიუხედევადაც კი.

მსოფლიო ბანკი, რომელმაც ეკონომიკური ზრდა განვითარების მიზნად აღიარა, 2018 წლის საკუთარ მოხსენებაში აღნიშნა, რომ: „ზრდის მიზანია ... ცხოვრების ხარისხის ზრდაც, განსაკუთრებით ღარიბ ქვეყნებში, ანუ, პირველ რიგში, შემოსავლების ზრდა. მაგრამ არა მხოლოდ. ზრდა მოიცავს უკეთეს განათლებას, კვებას, ჯანდაცვას, სიღატაკის შემცირებას, გარემოს გაჯანსაღებას, თანაბარ შესაძლებლობებს, პირადი თავისუფლების ზრდას და უფრო სავსე კულტურულ ცხოვრებას.“ როგორც ვხედავთ, ნათელია ორიენტირების რაოდენობრივი-

დან თვისებრივ მაჩვენებლებზე გადანაცვლება, რაც შინაარსობრივად ახასიათებს ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს. [3]

XXI საუკუნის დასაწყისში ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში გამწვავდა გარემოს დაბინძურების პრობლემა. შემოსავლების მაღალი დონე, საქონლისა და მომსახურების ხელმისაწვდომობა, სოციალური შეღავათები - ყოველივე ეს თითქმის მთლიანად ნიველირდება რეგიონების ეკოლოგიური მდგომარეობის დაბალი ხარისხით. ამიტომაც ეკოლოგია ხდება რეგიონული განვითარების ერთ-ერთი მთავარი ორიენტირი. გარდა ამისა, გასაგები ხდება, რომ რეგიონული განვითარების პროცესები არ შეიძლება გახდეს ეფექტიანი სამოქალაქო საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე. რეგიონული განვითარების მიზანს ადამიანი და მისი მატერიალური პირობებით უზრუნველყოფა წარმოადგენს, რათა მოხდეს ბუნებით მასში ჩადებული პოტენციალის განვითარება. აქედან გამომდინარე, იზრდება პარტნიორობის როლი ხელისუფლების რეგიონულ ორგანოებსა და მოსახლეობას შორის რეგიონული განვითარების მიზნების ფორმულირებისა და განხორციელების მეთოდების განსაზღვრის პროცესში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიმდინარეობს რეგიონული განვითარების საკითხის ინსტიტუციონალიზაცია. [4]

1922 წელს გერმანელი ფილოსოფოსი ერნსტ ტრელჩი წიგნში „ისტორიზმი და მისი პრობლემები" წერდა, რომ განვითარება არის ფასეულობათა გაცნობიერება. ბოლო ათწლეულებში ცნების „რეგიონული განვითარება" შინაარსში მომხდარი ცვლილებები გვიჩვენებს ფასეულობათა სისტემაში საზოგადოებრივი ორიენტირების წანაცვლებას. მაგრამ ეს ფასეულობათა ცვლა კი არა, მხოლოდ ფასეულობათა წრის გაფართოებაა. [5]

ამ მხრივ ეკონომიკური განვითარება უნდა აღნიშნავდეს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ განზომილებას. რაოდენობრივია იგი მაშინ, როცა ეხება ბენეფიტების გაზომვას, რომელსაც ქმნის კეთილდღეობის ზრდისა და შემოსავლების დონის, საქონლისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის, ფი-

ნანსური უსაფრთხოებისა და სხვათა ზრდის პროცესში. ხოლო ხარისხობრივია იგი მაშინ, როცა ორიენტირებულია რეგიონში მეტი სოციალური და ფინანსური თანასწორობის, მდგრადი განვითარების, შრომის უკეთესი პირობებისა და ცხოვრების ხარისიხის მიღწევაზე.

გარდა ამისა, ეკონომიკურ განვითარებას აქვს პროცესისა და პროდუქტის განზომილებებიც. პროდუქტი გულისხმობს საზოგადოების საჭიროებათა დაკმაყოფილებას, რომლებიც შეიძლება იყოს გამოხატული როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად. განვითარება, როგორც მრავალწახნაგოვანი პროცესი, ცვლის რეგიონების სოციალურ სტრუქტურას, ადამიანთა ქცევას, საზოგადოებრივ ინსტიტუტებს და აჩქარებს ეკონომიკურ ზრდას, რასაც თან სდევს უმუშევრობისა და უთანასწორობის შემცირება. საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესი გულისხმობს ინსტიტუციური ზომების შემუშავებას, ადეკვატური პოლიტიკის, სტრატეგიების, საშუალებებისა და რესურსების უზრუნველყოფას. [6]

ამდენად, რეგიონული განვითარება შეიძლება განვიხილოთ, როგორც მრავალწახნაგოვანი პროცესი, რომელსაც თან სდევს რადიკალური ცვლილებები რეგიონის სტრუქტურაში, ადამიანთა ქცევაში, საზოგადოებრივ ინსტიტუტებში, აგრეთვე ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, უთანასწორობისა და უმუშერობის შემცირება.

სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რეგიონული ეკონომიკის განვითარების ძირითად პირობას წარმოადგენს ისეთ ინსტიტუციურ სტრუქტურას შორის ეფექტიანი ურთიერთქმედება, რომლებიც უზრუნველყოფენ უძრავი რესურსების გარდაქმნას ნაკადებად. ეკონომიკური განვითარებისა და ინსტიტუტების დიალექტიკური ურთიერთქმედება იმაში გამოიხატება, რომ, ერთის მხრივ, ინსტიტუტებმა შეიძლება მას ხელი შეუწყონ, მეორე მხრივ კი - შეაფერხონ ანდა სულაც ხელი შეუშალონ მის განვითარებას. თუ საზოგადოებაში მოქმედი ინსტიტუტები ხელს უწყობენ წარმოების ვარდნას, ამაგრებენ და აძლიერებენ ნეგატიურ ტენდენციებს, მაშინ ეს პროცესი სულ

უფრო მეტ მასშტაბს შეიძენს, ვინაიდან ინსტიტუტები ახდენს ეკონომიკური აგენტების მოლოდინების, სტიმულებისა და ქცევის ფორმირებას, რომლებიც შემდგომში ფართოვდება და საზოგადო ხასიათს ღებულობს. [7]

თავის მხრივ, ეკონომიკური განვითარება ასევე მოქმედებს ინსტიტუტების შექმნაზე, განვითარებასა და ტრანსფორმირებაზე.

დასასრულ შეგვიძლია ვთქვათ, რომ:

1. ეკონომიკური განვითარების პროცესი ამაგრებს იმ ინსტიტუტებს, რომელთა ჩარჩოებშიც მიმდინარეობს;

2. ეკონომიკური განვითრება იწვევს ეკონომიკურ აგენტთა რიცხობრივ ზრდას, რომელთა ქმედებების კოორდინირება მოითხოვს ხარისხობრივად ახალი ინსტიტუტების ან ინსტიტუციური ორგანიზაციების შექმნას;

3. ეკონომიკურ განვითარებას თან სდევს ხარისხობრივი ცვლილება მოქმედებათა შინაარსში, მაგალითად, საქმიანობის ინტელექტუალური კომპონენტის ზრდა. აქედან გამომდინარე, წარმოიქმნება ახალი, მათი დაცვის უზრუნველმყოფი ინსტიტუტების გაჩენის აუცილებლობა;

4. ბიზნესის დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურის ცვლილება განაპირობებს იმ ინსტიტუტების შექმნის მიზანშეწონილობას, რომელთა ჩარჩოებშიც ხდება შესაძლებელი ეკონომიკური განვითარების რეგულირება მიკრო და მაკრო, აგრეთვე საწარმოთა და დაინტერესებულ სუბიექტთა დონეზე;

5. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, მომსახურების სექტორის საბაზრო წილის ზრდა იწვევენ მოსახლეობის მენტალიტეტის ცვლილებებს და არაფორმალური ინსტიტუტების ფორმირებას.

## გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

1. Дорнбуш Р., Фишер С. Макроэкономика. – М.: Издательство МГУ, 1997. – გვ. 708-718.

2. Шумпетер Й., Теория экономического развития. – М.: Прогресс, 1982. – გვ. 169-170

3. World Development Report. – New York: Oxford University Press, 2018. – W.4.

4. Blakely E. J. Planning local economic development: theory and practice. – Thousand Oaks, 2014. – W. 15.

5. Freeman C. Technology Policy and Economic Performance. – London: Pinter Publishers, 2007.

6. Lundvall B. National Systems of Innovation. – London: Pinter, 2012.

7. Malecki E. Technology and economic development: the dynamic of local, regional and national competitiveness. – Harlow: Longman Scientific & Technical, 2011. – W.7.

## SOME ISSUES ABOUT REGIONAL DEVELOPMENT

**Zurab Nasaria**
PhD Student of GTU

**RESUME**

In the article, the author explores the dialectical link between economic development and institutions, which allows the structure of an innovative system to be complemented by an investment subsystem. In addition, the directions for creating effective institutions of economic development are identified.

# დაგვიანებული გამოხმაურება პროფესორ ნიკოლოზ ბაკაშვილის სტატიაზე „გვჭირდება თუ არა „სარეკომენდაციო წერილი?“

**ზაირა ღუდუშაური**
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი

## რეზიუმე

სტატიაში (გამოქვეყნდა 2011 წელს, ჟურნალ „ბიზნეს-კურიერში“, N1-3) განხილულია ორგანიზაციებში თავისუფალი ვაკანსიების დასაკავებლად კონკურსში მონაწილე სამუშაოს მაძიებლებისგან, წინარე სამუშაოდან სარეკომენდაციო წერილის მოთხოვნა. სტატიის ავტორი თავის აზრს გამოთქვამს ამის შესახებ, და აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით, ჩვენ არა ვართ მზად სარეკომენდაციო წერილებისთვის სრული ნდობის გამოსაცხადებლად. მისი აზრით, აჯობებს თვით სამუშაოს მაძიებელი ადამიანი ავიყვანოთ გამოსაცდელი ვადით და ამ ვადაში შევამოწმოთ მისი შრომის უნარიც, სამუშაოს ცოდნაც, ორგანიზაციისადმი ერთგულებაც და თვით მისი ფსიქოლოგიური მახასიათებლებიც კი.

**საკვანძო სიტყვები:** სარეკომენდაციო წერილი; დაქირავებული; დამქირავებელი.

## ძირითადი ტექსტი

მოგესალმები ჩემო ყოფილო სტუდენტო, ჩემო ყოფილო დოქტორანტო და დღეს - ჩემო კოლეგავ!

დრო გავიდა. სტუდენტობიდან და დოქტორანტობიდან თქვენ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბდით და, იმის მიუხედავად, რომ დღეს, ჩვენ კოლეგები ვართ, - თით-

ქმის ერთ სფეროში ვმუშაობთ და ერთ საქმეს ვემსახურებით, ჩვენ მაინც ერთმანეთს დავშორდით. დავშორდით იმ დღეს, იმ საათს და იმ წუთს, როცა თქვენ დამქირავებლად იქეცით, მე კი დაქირავებული დავრჩი... მე მგონი, უკვე მიმიხვდით, რის თქმაც მინდა.

დიახ, სწორედ მაგის თქმა მინდა, რაც თქვენ იფიქრეთ, მხოლოდ სხვა ასპექტში და სხვა კონტექსტში. დაქირავებულები ჩვენ საბჭოთა პერიოდშიც ვიყავით, მაგრამ მაშინ ჩვენი დამქირავებელი სახელმწიფო, მისი ორგანიზაციების ნდობით აღჭურვილი დირექტორები იყვნენ. ისინი კიდეც გვქირაობდნენ და ჩვენს უფლებებსაც იცავდნენ. თუმცა, მე არ მახსენდება, რომ ჩვენ ვინმესგან დასაცავი რამე გვქონდა. თქვენი ასაკიდან გამომდინარე, თქვენ არ გეცოდინებათ, მაგრამ გადმოცემით ხომ იცით, მოსახლეობაში როგორ სოციალურ თანასწორობას ჰქონდა მაშინ ადგილი. თუ ეს არაფერია, და, გეგმიანი ეკონომიკის გადმონაშთად ითვლება, მაშინ რატომ მივისწრაფვით საბაზრო ეკონომიკის შვედური მოდელისკენ, რომელიც სწორედ „სოციალურ კაპიტალიზმად“ იწოდება? მსოფლიო რატომ „ასოციალურებს“ კაპიტალიზმს და რატომ იწონებს ამით თავს?

ფსიქოლოგ მასლოუს პირამიდას გაგახსენებ. იგი ადამიანის ბიოლოგიური მოთხოვნილებებით იწყება (პირველი საფეხური) და მაღალი, სულიერი მოთხოვნილებებით (მეექვსე საფეხური) მთავრდება. მაშინ, ჩვენ, საბჭოთა ხალხი, ამ პირამიდის მე-6 საფეხურზე თუ არ ვიყავით, მე-5 საფეხური მაინც სტაბილურად გვეკავა - ჩვენი ნიჭიც ფასდებოდა, ჩვენი უნარიც და გონიერებაც, და, არც კარიერული წინსვლა გვაკლდა.

ახლა კი რა? გარდაქმნის პირველივე დღიდან ჩამოვცურდით მასლოუს პირამიდის პირველ საფეხურზე - საქართველოს მოსახლეობის 70-80%-ს, აღარც საჭმელი აქვს, აღარც ჩასაცმელი და აღარც საცხოვრისი. ეს განსაკუთრებით ეხება ეთნიკურ ქართველებს. მოსახლეობის ეს ფენა ძირითადად წარმოებაში და ინტელექტუალურ სფეროში იყო დასაქმებული. ერთიც განადგურდა და მეორეც. შედეგად, მათი უდიდესი ნაწილი ემიგრაციაში წავიდა, დანარჩენი - შიმშილობს...

ჩვენი პოზიციების განსხვავებულობა სწორედ იმან გამოიწვია, რომ თქვენ იმ 10-15%-ში მოხვდით, რომელსაც მეტ-ნაკლებად ყველაფერი აქვს, მე კი იმათ რიცხვში, რომელთაც არაფერი აქვთ. საქართველოს მოსახლეობა სწორედ ასეა დაყოფილი. ხიდის იქით თქვენ ხართ, ხიდის აქეთ - ჩვენ. ასეთი დაშორების გამო, ჯერ-ჯერობით გულიც გვწყდება, კანტი-კუნტად ვურთიერთობთ კიდეც, მერე და მერე კი ესეც გაქრება, მტერს - სულ მშიერ და სულ მოწუწუნე ადამიანებთან ურთიერთობა! ერთმა ჩემმა ყოფილმა დოქტორანტმა კითხვაზე: - თუ საგურამოს რომელ უბანში მოგიძებნო მიწა საგარაკო სახლის ასაშენებლად-თქო, ასე მიპასუხა: - „ცოტა სულმოთქმულების უბანში, დავიღალე ღარიბებთან ურთიერთობითო..." მეწყინა, მაგრამ არ შევიმჩნიე. იქაც გაცივდა ურთიერთობები...

ბატონო ნიკო! საქართველოში არსებული 11-12%-იანი უმუშევრობა (ეს ოფიციალური მონაცემებით, ფაქტიურად, კი, იგი 3-4-ჯერ მეტია), რომელმაც ჩვენ ასე გაგვაღატაკ-გაგვაჩანაგა, თქვენ საკმარისად არ მიგაჩნიათ. თქვენ მას „ყბადაღებულ უმუშევრობას" უწოდებთ და უმუშევრობის კრიტიკული მასის ოპტიმალურ დონედ შვედეთის 19-21%-ს მიიჩნევთ. თქვენ წერთ: - „სიმართლე რომ ვთქვა, საქართველოში არც ისეთი უმუშევრობაა, როგორც ზოგიერთი ფიქრობს... აქ საქმე იმდენად არა უმუშევრობის მასშტაბებშია, არამედ, შესაბამისი კვალიფიკაციის სამუშაო ძალის აშკარა დეიფიციტში (ანუ „შიმშილში")".

ბატონო ნიკო! ერთიც არის და მეორეც. ჩვენ - დაქირავებულებს პირველი გვაწუხებს, თქვენ - დამქირავებლებს - მეორე. დიახაც, თქვენი სურვილია, რომ თქვენი დაქირავებული რჩეულზე-რჩეული და იმაზე რჩეულიც იყოს, მაგრამ ასეთი ხომ ერთეულებია? რა ქნან ყველა დანარჩენმა, როგორ ირჩინონ თავი, როგორ შეინახონ ოჯახი?

უმუშევრობის შვედური მოდელი საქართველოს სამაგალითოდ და სანიმუშოდ არ გამოადგება. არ გამოადგება იმიტომ, რომ იქ მათ დასაცავად და მატერიალურად უზრუნველსაყოფად უამრავი, მრავალმილიონიანი სოციალური პროგრამებია გამოყენებული. შედეგად, მათთან უმუშევრობა შიმშილთან, სიღარი-

ბესთან და სოციალურად დაუცველობის სტატუსთან არ ასოცირდება.

ბატონო ნიკო! ჩემო ყოფილო სანაქებო სტუდენტო და სანაქებო დოქტორანტო! ხომ არ დაინტერესდით როგორაა ამ მხრივ ჩვენთან საქმე, ან როგორია სოციალურად დაუცველის სტატუსის ჩვენეული ზღვარი? თუ სახლში ტელევიზორი გაქვს, ან დანჯღრეულ-დანგრეული მაცივარი (განურჩევლად იმისა, შენია, თუ ნათესავმა გაჩუქა), მაშინვე მოგიხსნიან ამ სტატუსს - თურმე „გამდიდრებულხარ"! ან იქნებ ის 30-50 ლარიანი ვაუჩერები გგონიათ უმუშევრობის კომპენსაცია, რომელსაც არჩევნების წინ გვირიგებს ხოლმე საქართველოს მთავრობა?

ასე რომ, ბატონო ნიკო, მე თქვენ იმ მოსაზრებას კი არ ვაკრიტიკებ, რომ უმუშევრობის რაღაცა დონე საჭიროა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მოტივირებისთვის, არამედ იმას, რომ ეს დონე საქართველოში არ შეიძლება იყოს არც იმდენი, რამდენიც ამჟამად არის და, მით უფრო, არც შვედეთის დარი - 19-21%.

ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლეობას ის ეკონომიკური სისტემა მოსწონს, რომელიც ცხოვრების კარგ პირობებს შეუქმნის მას. არ ვამბობ კარგად აცხოვროს-მეთქი, კარგი პირობების შექმნაზე ვსაუბრობ. კარგი პირობები ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს და არა მხოლოდ საზოგადოების ერთი ნაწილისთვის. ფაქტიურად, ჩვენს ქვეყანაში გადმონერგილმა საბაზრო ეკონომიკამ მხოლოდ ზოგიერთებს მისცა ასეთი პირობები. ისინი გამდიდრდნენ, დანარჩენებმა კი სამუშაოც დაკარგეს და ულუკმაპუროდ დარჩნენ. უბრალო მაგალითს მოვიყვან: - საბჭოთა დროს გამყიდველად მუშაობას დიდი სწავლა-განათლება არ სჭირდებოდა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისთანავე მაღაზიების მუშაკებს მიეცათ მაღაზიების პრივატიზების უპირატესობა. ამ გზით ისინი კაპიკებში სოლიდური უძრავი ქონების მფლობელები გახდნენ. ასეთ დროს, მე და ჩემი კოლეგები - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები - არა თუ ქონების, სამსახურის გარეშეც კი დავრჩით.

ბატონო ნიკო! თქვენი წერილით ირკვევა, რომ თქვენ მომხრე ხართ იმისა, რომ სამუშაოს მაძიებელს ხელთ ჰქონდეს

ბოლო სამუშაო ადგილიდან სარეკომენდაციო წერილი, და, ეს წესი უნდა იქცეს უპირობო მოთხოვნად. ეს მეთოდი ახალი არ არის. იგი აპრობირებულია და შემოწმებულია საზღვარგარეთ, მაგრამ ყველაფერი ის, რაც აპრობირებული და დანერგილია საზღვარგარეთ, ჩვენი მენტალობიდან და ჩვენი ყოფითი კულტურიდან გამომდინარე, არ გამოდგება საქართველოსთვის, და, აი რატომ: - საქართველოში მეურნეობის ძირითადი სფერო ბიზნესია. ბიზნესის 90-95% კი არასახელმწიფოებრივი ანუ კერძო ბიზნესია. კერძო ბიზნესის მფლობელებს, რომლებიც, ძირითად შემთხვევაში, მათ დირექტორებადაც გვევლინებიან, მუშაობენ რა მოკლევადიან ეფექტებზე, და, ცდილობენ რა მოკლე ხანში გამდიდრებას (რადგან არც ამ სისტემის მარადიულობა სწამთ და არც ამ მთავრობის მარადიულობა), მუდმივად კონფლიქტები აქვთ დასაქმებულებთან ხელფასის მოცულობის, მისი დროულად გაცემის, ბონუსებსა და სხვა საკითხებში. მათვე მიცემული აქვთ დაქირავებულთა შრომის პირობების დაცვის წესების დადგენის უფლება. საქართველოს შრომის კოდექსით დამსაქმებელი ვალდებულია ანაზღაურებაში ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისთვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0,07 პროცენტი (მუხლი 41, პუნქტი 4).

ბატონო ნიკო! თქვენ კერძო მეწარმე ბრძანდებით, გულღიად თქვით, რამდენი ბიზნესმენი გეგულებათ ისეთი, რომელიც ასეთ ჯარიმებს გადაუხდის დასაქმებულებს? მეტიც, არა თუ ჯარიმა, არამედ, ხელფასებსაც არ უხდიან და კერძო ბიზნესში დასაქმებულთა უდიდესი უმრავლესობა ჩივის იმას, რომ წელიწადში 3-5 თვის ხელფასს იღებენ მხოლოდ. ასეთ დროს და ასეთ შემთხვევებში, სამსახურმიტოვებულ მოქალაქეს, ხომ გასაგებია, როგორ სარეკომენდაციო წერილს დაუწერს ბოლო სამუშაო ადგილის დირექცია. საბჭოურ პერიოდში მე 40 წლის მუშაობის პერიოდში მხოლოდ ორი სამსახური გამოვიცვალე (ეკონომიკის და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), 1990 წლის შემდეგ კი, ოთხი. ეს მოხდა სწორედ იმიტომ, რომ არ მაძლევდნენ ხელშე-

კრულებით გათვალისწინებულ ხელფასს, ჯარიმის გადახდაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო. სარეკომენდაციო წერილი კი არა, ის რომ მოვითხოვე ცნობა მომეცით, აქ რომ ვმუშაობდი ამა და ამ თანამდებობაზე-მეთქი, ისიც დაყვედრებით წამოვიღე. ახლა გეკითხებით, მე რომ მათთვის სარეკომენდაციო წერილი მომეთხოვა, მომცემდნენ? ან თუ მომცემდნენ რას ჩამიწერდნენ?

ჰოდა, ასეთი მდგომარეობის გამო, ჩვენ არ ვართ მზად „სარეკომენდაციო წერილებზე" გადასასვლელად. მე არ გირჩევთ, რომ თქვენ ასეთ წერილებს ენდოთ. ამისათვის საქართველომ დიდი გზა უნდა გაიაროს, მომზადდეს და გადავიდეს დემოკრატიაზე, ჩამოყალიბდეს სამოქალაქო საზოგადოება, საზოგადოების თითოელმა წევრმა - მეწარმემაც და არამეწარმემაც, საბოლოოდ შეიგნოს და გაითავისოს მისი სოციალური პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და ა. შ. და ა. შ.

როგორ ფიქრობთ, ბატონო ნიკო, ეს მალე მოხდება? მე მგონია, რომ არა. საბჭოური ეკონომიკის დანგრევით ჩვენ საბაზრო ეკონომიკად წოდებულ უფსკრულის ფსკერზე აღმოვჩნდით, და, აი, 30 წელია, ისევ ამ უფსკრულის ძირში ვართ. იქიდან ამოცოცებას მარტო ტექნიკა და ხერხი, ან სხვა ქვეყნების გამოცდილება არ ყოფნის. ჩვენი ფსიქოლოგია უნდა გადაეწყოს იმათნაირად. ამას კი დრო და თაობათა ცვლა სჭირდება... ასე რომ, ნუ ირწმუნებთ, რომ „ჩვენი საზოგადოების ხსნა ბოლო სამუშაო ადგილიდან სარეკომენდაციო წერილშია". ეს იქნება, მხოლოდ არა ეხლა, არამედ, ორი-სამი თაობის შემდეგ. ეხლა კი, როგორც დამქირავებელი, ენდეთ მხოლოდ საკუთარ თვალს და ყურს - გამოსცადეთ სამუშაოს მაძიებელი, მიეცით გამოსაცდელი ვადა და სისტემატურად შეამოწმეთ მის მიერ შესრულებული სამუშაო. და, კიდევ: თქვენივე კომპანიაში წესად აქციეთ, რომ თქვენთან დასაქმებულებს საშუალოზე მნიშვნელოვნად მაღალი გასამრჯელო ჰქონდეთ და, ყველა ზომას მიმართეთ, რათა ხელფასები პუნქტუალურად რიგდებოდეს. ამას აკეთებდნენ ძმები ნობელები რუსეთში გახსნილ თავიანთ კომპანიებში ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში. ამით ისინი არ გაღარიბებულან, პირიქით, გამდიდრდნენ და დღესაც, იმ სიმდიდრეზეა დაფუძ-

ნებული ის პრემიები, რომელსაც მსოფლიო დონეზე გამართულ კონკურსში გამარჯვებული ნობელიანტები იღებენ.

ასე რომ, ძმებმა ნობელებმა თავიანთი თავდაუზოგავი შრომით, და, წესიერი ქცევით სიმდიდრეც დააგროვეს და სახელიც მოიპოვეს. ამასვე გისურვებს თქვენც, თქვენი ყოფილი მასწავლებელი - ზაირა ღუდუშაური.

## DELAYED RESPONSE TO THE ARTICLE BY PROFESSOR NIKOLOZ BAKASHVILI -"DO WE NEED A LETTER OF RECOMMENDATION?

**Zaira Ghudushauri,** Professor of
Georgian Technical University

### RESUME

The article discusses the need for a letter of recommendation from previous job seekers to apply for vacancies in organizations. The author of the article expresses his opinion on this, and notes that so far, we are not ready to express full confidence in the letters of recommendation. In his opinion, it is better to hire a job-seeker for a probationary period and check person's ability to work, knowledge of the job, loyalty to the organization and even person's psychological characteristics.

**Key words**: Letter of recommendation; Employee; Employer.

# მსოფლიო პანდემიის ზეგავლენის თავისებურებანი სატრანსპორტო სისტემაზე და ინფრასტრუქტურაზე

**ანა კურტანიძე**
სსუ პროფესორი

**მაია ჩინჩალაძე,**
**ლელა ბოჭოიძე,**
**ნინო დარსაველიძე**
სტუ ასოცირებული პროფესორები

## რეზიუმე

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, უდავოდ, წარმოადგენს, მრეწველობისა და იმ საწარმოების ერთობლიობას, რომლებიც, უშუალოდ, ახორციელებენ, ტრანსპორტირებას. იდენტურად განიხილება, ტერმინები - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო სისტემა. იგი გვევლინება, როგორც მრეწველობა და საწარმოები და რომლებიც ტრანსპორტირებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიან. 2020 წლის თებერვლიდან, მრავალი რამ შეიცვალა და სისტემატიურად იცვლება, კორონავირუსისა და მისი ზეგავლენის გამო, სატრანსპორტო ინდუსტრია. მეტიც, ევროპის საზღვრებს გარეთ, სიტუაცია კრიტიკული რჩება შუა აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში, რაც პრობლემას უქმნის, ინტერკონტინენტალურ ტრანსპორტს.

**საკვანძო სიტყვები:** სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, გლობალური კრიზისი, ლიკვიდობა, წარმოების ვარდნა, განახლება, მოთხოვნა, მიწოდება.

## შესავალი

საავტომობილო ინდუსტრია,უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია ჩინეთზე, რომელიც მსოფლიოში, ყველაზე დიდი, საავტომობილო ბაზარია. ავტომობილების წარმოების, უდიდესი ცენტრიც აქ მდებარეობს . ჩინეთზე მოდის, 25 მლნ ზე მეტი,

ახალი მანქანა, წელიწადში. 2020 წ. პირველი კვარტლის, შედეგების თანახმად, საკარანტინო ზომების გამო, გაყიდვების დიდი შემცირებაა ნავარაუდევი. იანვრის დასაწყისში-დაფიქსირდა, 80% -იანი ვარდნა. კოვიდ-19 ის პანდემიასთან დაკავშირებული შოკები წარმოადგენს მნიშვნელოვან, დამატებით, უარყოფით ფაქტორს, ამ ინდუსტრიისთვის. წამყვანი ბაზრების კრიზისმა განაპირობა მასშტაბური ინვესტიციების საჭიროება, სატრანსპორტო საშუალებებსა და მომსახურების სფეროში, განსაკუთრებით, საშუალო სიმძლავრის, სამგზავრო ავტომობილების სეგმენტში, რომელიც ყველაზე მოწყვლადია, კონკურენციის კუთხით.

## ძირითადი ტექსტი

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე გავლენას ახდენს ეპიდმდგომარეობა და ეს შეეხო განსაკუთრებით, საჰაერო ტრანსპორტს. საკარანტინო ზომებმა, მთელ მსოფლიოში, დიდი ფინანსური ზარალი მოუტანა ავიაკომპანიებს: Euler Hermes Industry Risk Ranking - სადაც დასაქმებულია 5,800 თანამშრომელი 50-ზე მეტ ქვეყანაში და დაზღვეულია გლობალური ბიზნეს ოპერაციები 962 მილიარდ ევროდ. 2018 წლის ბოლოს, კვლევის მიხედვით-კომერციული, სამგზავრო, საჰაერო გადაადგილება - სამგზავრო კილომეტრზე - გასული წლის დეკემბრიდან, 40% -ით შემცირდა. ამავე კვლევის თანახმად, ავტომობილების მწარმოებლები დაზარალდნენ, COVID-19 ის გამო. S&P Global Ratings ვარაუდობს, რომ მსოფლიოში, ავტომობილების გაყიდვები 3,6 პროცენტით შემცირდება, რაც ძირითადად, განპირობებულია ჩინეთში ავტომობილებზე მოთხოვნის 5 % ით შემცირების პროგნოზით. ავტომობილების უდიდეს სამეწარმეო ბაზარზე, პანდემიის გავრცელებამ გაამძაფრა ამჟამინდელი სტრუქტურული პრობლემები. Covid-19- ის გავრცელება ჩინეთის გარდა, ევროპასა და შეერთებულ შტატებში, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, იმიტომ, რომ ევროპა და შეერთებული შტატები, საავტომობილო ბაზრების სიდიდით, მეორე და მესამე ადგილს იკავებენ(წილი: 23% და 19%). ამ კუთხით, ევროპისთვის, 2020

წლის პირველ კვარტალში, საავტომობილო ინდუსტრიაში, წარმოების წლიური ვარდნა, გამოიხატა 20% -იანი შემცირებით, მეორეში - უპრეცედენტო, 65% - ით, ხოლო მესამე და მეოთხე კვარტალებიში კლება მეტნაკლებად მდორედ აღინიშნა.[1]

აღსანიშნავია, რომ უარყოფითი ტენდენცია ვლინდებოდა პანდემიამდეც, რაც ძალზე მტკივნეული იყო, გლობალური ავტოინდუსტრიისთვის - საკრედიტო ტენდენციები სუსტდებოდა დაბალი მომგებიანობის, ფულადი სახსრების ნაკადის შესუსტების გამო. რა გასაკვირია, რომ, ზევრმა მწარმოებელმა და მომწოდებელმა საკმაოდ სუსტი პოზიცია გამოავლინა ამ კრიზისში. მაგრამ, ზოგიერთმა კომპანიამ, მაინც შეძლო, კრიზისიდან უფრო სწრაფად თავის დაღწევა, პარტნიორობის ან სრული შერწყმის გზის არჩევით. COVID-19, კიდევ უფრო შეამცირებს მოთხოვნას, მძიმე სატვირთო ავტომობილებზე, ვინაიდან, COVID-19 პანდემიას, 2020 წლის გლობალური რეცესია მოჰყვება.[2]

პროგნოზის თანახმად, აშშ – ში, ეკონომიკის, მიწოდების და მოთხოვნის ღრმა შოკების გათვალისწინებით მსუბუქი ავტომობილების გაყიდვები, წლიურად, 25.0% – ით უნდა შემცირდეს.[3] აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი, ნაკლებად მწვავეა, 2008-2009 წწ.-თან შედარებით, რაც გამოიწვია, დროულად გატარებულმა მარეგულირებელმა ღონისძიებებმა და ინვესტიციების დაბანდებებმა, ტარიფების ცვლილებამ და ასევე, - ხარჯების შემცირების ეფექტიანმა პოლიტიკამ.[4]

ლიკვიდურობის გასაუმჯობესებლად გადადგმულმა ნაბიჯებმა, უნდა უზრუნველყოს, არასტაბილურობის მიმართ მდგრადობა და წარმოების არა ვარდნა, არამედ - განახლება და გაფართოება. ასევე, რთული მდგომარეობაში ჩააყენა პანდე-

**1 ვიტორია ფერარი.მილანი. (39) 02-72111-207, vittoria.ferraris@spglobal.com**

**2 მართა ბევილასქუა მილანიmarta.bevilacqua@spglobal.com**

**3 აშშ – ს ავტომობილების შეფასების მოქმედების შეჯამება და ძირითადი მოვლენები COVID-19– სთან დაკავშირებული პროგნოზის შესწორებების შემდეგ, 2020 წლის 15 ივნისი**

**4 Nishit K Madlani, ნიუ იორკი, (1) 212-438-4070, nishit.madlani@spglobal.com**

მიამ ავიაციის დარგი. საერთაშორისო მასშტაბებით, საჰაერო მიმოსვლა, 60% -70% ით შემცირდება, 2020 წლის ბოლოსთვის, წინა წლებთან შედარებით.[1] გლობალური, საჰაერო სამგზავრო ტრანსპორტირება და მგზავრთა გადაყვანა, 2020 წ, 2019 წ, შედარებით, 70% -ით შემცირდება და სრულად აღდგენა, მხოლოდ 2024 წლისთვისაა ნავარაუდევი. პანდემია ზრდის ზეწოლას ყველა ავიაკომპანიის ფინანსებზე. ხარჯების შემცირება, ლიკვიდურობის შენარჩუნება - მნიშვნელოვანი პრიორიტეტები იქნება საჰაერო გადაზიდვებზე, შემცირებული მოთხოვნის, ნაწილობრივ გაწონასწორებისთვის. საყურადღებოა, რომ, აშშ – ს ავიაკომპანიებს, ფედერალური დახმარება, უზრუნველყოფს, ლიკვიდურობის შენარჩუნებას.[2]

## დასკვნა

კორონავირუსი, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე - შეუჩერებელია. ვირუსი, რომელიც წარმოიქმნა ჩინეთში, არა მხოლოდ, ფატალური ეფექტის მომტანია, ადამიანების ჯანმრთელობისათვის, არამედ, ის ასევე საფრთხეს უქმნის მთელ სატრანსპორტო სამყაროს, რადგან მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხორციელდება, შესაბამისი აკრძალვები და საზღვრების ჩაკეტვა.

პანდემიის პირობებში, ლოგისტიკური ჯაჭვის მოშლა, ყველაზე მთავარი რისკია და ყველა მწარმოებელი, ყურადღებით აკვირდება, შექმნილ, ძალზედ ცვალებად და არაპროგნოზირებად სიტუაციას. მოთხოვნა - კვლავ რჩება, ყველაზე მნიშვნელოვან რისკად, რადგან როდესაც კრიზისი გადაივლის დაიწყება აქტიური მიწოდების ეტაპი, თავიდან უნდა იქნას აცილებული ბაზრის გაჯერება და ჭარბი მარაგების პრობლემა. მანამდე კი, საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაცია IATA ვარაუდობს, რომ გლობალური ავიაკომპანიის შემოსავალი $ 29 მლრდით შემცირდება, აზიის და წყნარი ოკეანის რეგიონში,

---

**1 რეიჩელ ჯ გერიში, კალიფორნია, ლონდონი, (44) 20-7176-6680, rachel.gerrish@spglobal.com**

**2 https://www.spglobal.com/ratings/en/research/articles/200204-coronavirus-impact-key-takeaways-from-our-articles-11337257**

სამგზავრო მიმოსვლის, შემცირების გამო. ხოლო აზიის მიმართულებით, სატრანზიტო ფრენების შემცირება, გამოიწვევს, სატრანზიტო განაკვეთების ზრდასაც. დღეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მსოფლიოს მასშტაბით გაანალიზება, თუ როგორი ზეგავლენა ჰპოვა კორონავირუსმა ლოჯისტიკის ინდუსტრიაზე, ვინაიდან კორონავირუსმა უდიდესი დამანგრეველი ზეგავლენა - იქონია, ყველა სახის ტრანსპორტზე და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1.https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/moneratyfiscal/2020/tvis_mimoxilva/ivlisi2020.pdf
2.https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/moneratyfiscal/2020/tvis_mimoxilva/marti_010520.pdf
3.https://www.nbg.gov.ge/index.php?m=350&year=2020

**REFERENCES:**

1.https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/moneratyfiscal/2020/tvis_mimoxilva/ivlisi2020.pdf
2.https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/moneratyfiscal/2020/tvis_mimoxilva/marti_010520.pdf
3.https://www.nbg.gov.ge/index.php?m=350&year=2020

# PECULIARITIES OF THE GLOBAL PANDEMIC IMPACT ON THE TRANSPORT SYSTEM AND INFRASTRUCTURE

**Ana Kurtanidze** , Professor of GSU
**Maia Chinchaladze,** GTU Associate Professor
**Lela Bochoidze,** GTU Associate Professor
**Nino Darsavelidze,** GTU Associate Professor

## RESUME

Transport infrastructure is undoubtedly represented by industry and a combination of enterprises that provide direct transportation. Identically within the terms of the transport infrastructure and its system, it acts as an industry and enterprise and creates favorable conditions for transportation.

Moreover, since February 2020, the coronavirus has impacted the transportation industry by changing it several times and systematically. In addition, outside of Europe, mid-mainland transport stays basic in some Center Eastern nations, which is an issue.

Obviously, since February 2020, the numerous things have changed and are deliberately changing, due to the Covid-19 and its effect on the transportation business.

**Key words:** Transport infrastructure, global crisis, liquidity, production decline, upgrades, demand, supply.

# COVID-19-ის პანდემიის გავლენა ადამიანური რესურსების მართვაზე

**დავით ნიჟარაძე**
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
აფილირებული ასოცირებული პროფესორი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

**რეზიუმე**

ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელებით გამოწვეულმა გლობალურმა პანდემიამ, ეკონომიკური რეცესიის კვალდაკვალ, ყველაზე თვალსაჩინო გავლენა იქონია კომერციულ ორგანიზაციებზე და მათში დასაქმებული ადამიანებისთვის დარამატულად შეცვალა სამუშაო გარემო. შესაბამისად, მთელ მსოფლიოში მოღვაწე კომპანიების ბიზნეს პროცესების უწყვეტობისთვის, მთავრ გამოწვევად გადაიქცა ადამიანური რესურსების შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვა და მათი მართვის მექანიზმების ადაპტირება კოვიდ ინფექციით გამოწვეულ კრიზისულ ვითარებასთან. ბუნებრივია, კოვიდ პანდემის კრიზისი შრომის ბაზარზეც უარყოფითად აისახა.

კორონა ვირუსით ადამიანების მასობრივი დაინფიცირების გამო, ქვეყნების უმრავლესობამ მნიშვნელოვანი შეზღუდვები დაუწესა ბიზნესს, ხოლო ფირმებმა აღნიშნული, გაუთვალისწინებელი ცვლილებების საპასუხოდ, შეიმუშავეს პერსონალის უსაფრთხოდ მუშაობის ალტერნატიული გზები და მთავრობის რეკომედაციების მიხედვით, სამუშაო ადგილებზე გაატარეს მთელი რიგი პრევენციული ღონისძიებები.

**საკვანძო სიტყვები:** კორონა ვირუსი (COVID-19), პანდემია, შრომის ბაზარი, დამსაქმებელი, ადამიანური რესურსი, უსაფრთხო სამუშაო გარემო, უმუშევრობა.

## ძირითადი ტექსტი

მსოფლიოში, ახალი კორონა ვირუსით (COVID-19) დაინფიცირებული და გარდაცვლილი ადამიანების რაოდენობის დრამატულმა ზრდამ (იხ. დიაგრამა 1), თანამედროვე კომპანიების აბსოლუტური უმრავლესობა შრომითი რესურსების მართვის თვალსაზრისით ახალი და ამვე დროს, რთული გამოწვევის წინაშე დააყენა [4,101].

2020 წლის 9 ნოემბრის ოფიციალური მონაცემებით, გლობალური მასშტაბით დაფიქსირებულია 51,268,020 კორონა ვირუსით დაინფიცირების, 1,269,499 გარდაცვალების, ხოლო 36,105,410 ადამიანის გამოჯანმრთელების შემთხვევა [11]. ფართო გავრცელების დონის მიხედვით, აშშ, ინდოეთი და ბრაზილია ლიდერობენ. რაც შეეხება საქართველოს, ამავე პერიოდში აღრიცხულია 60,680 პირის დაინფიცირების და 499 გარდაცვალების ფაქტი, თუმცა აქაც მაღალია გამოჯანმრთელებულთა საერთო რაოდენობა (იხ. ცხრილი 1).

**დიაგრამა 1**

**COVID-19-ით დაინფიცირების (დადასტურებული შემთხვევების) საერთო რაოდენობა რეგიონულ ჭრილში (2020/11/8, 4:07 pm CET)**




**წყარო:** [11]

**ცხრილი 1**

**COVID-19-ით დაინფიცირების შემთხვევების, გარდაცვლილთა, გამოჯანმრთელებულთა და აქტიურ შემთხვევათა საერთო რაოდეონობა, ქვეყნების მიხედვით (9 ნოემბერი, 2020, 08:15 GMT)**

| N | ქვეყანა | შემთხვევების საერთო რაოდენობა | გარდაცვლილთა საერთო რაოდენობა | გამოჯანმრთელებულთა საერთო რაოდენობა | აქტიური შემთხვევების სერთო რაოდენობა | ქვეყნის მოსახლეობა | დაინფიცირებულთა პროცენტული მაჩვენებელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აშშ | 10,288,480 | 243,768 | 6,483,420 | 3,561,292 | 331,695,704 | 3.10 |
| 2 | ინდოეთი | 8,553,864 | 126,653 | 7,917,373 | 509,838 | 1,384,826,785 | 0.62 |
| 3 | ბრაზილია | 5,664,115 | 162,397 | 5,064,344 | 437,374 | 213,098,160 | 2.66 |
| 4 | რუსეთი | 1,796,132 | 30,793 | 1,335,141 | 430,198 | 145,956,940 | 1.23 |
| 5 | საფრანგეთი | 1,787,324 | 40,439 | 128,614 | 1,618,271 | 65,325,294 | 2.74 |
| 6 | ესპანეთი | 1,388,411 | 38,833 | - | - | 46,761,284 | 2.97 |
| 7 | არგენტინა | 1,242,182 | 33,560 | 1,062,911 | 145,711 | 45,343,295 | 2.74 |
| 8 | გაერთიანებული სამეფო | 1,192,013 | 49,044 | - | - | 68,013,429 | 1.75 |
| 9 | კოლუმბია | 1,143,887 | 32,791 | 1,038,082 | 73,014 | 51,075,471 | 2.24 |
| 10 | მექსიკა | 967,825 | 95,027 | 715,977 | 156,821 | 129,413,850 | 0.75 |
| 78 | საქართველო | 60,680 | 499 | 45,042 | 15,139 | 3,986,409 | 1.52 |

**წყარო:**[14]

რა თქმა უნდა, COVID-19-ის გავრცელების ასეთი მასშტაბი გარკვეულ ცვლილებებს იწვევს შრომის ბაზარზე, რადგან ამ უკანასკნელის ძირითადი ფუნქცია დაკავშირებულია კომპანიების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფასთან [10, 25].

განურჩევლად ქვეყნისა თუ ბიზნეს სექტორისა, დასაქმებულთა დიდ ნაწილზე უარყოფითად აისახა მიმდინარე პანდემიით გამოწვეული კრიზისი. ამ კუთხით, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია გამოყოფს რამდენიმე ძირითად სექტორს, რომელიც ყველაზე ძლიერ დაზარალდა მიმდინარე კრიზისის პერიოდში, ესენია საკვები პროდუქტების მწარმოებელი საწარმოები, საბითუმო და საცალო რეალიზაციის ობიექტები, ასევე, განთავსების საშუალებები (სასტუმროები), კვების ობიექტები და მრეწველობა.

შრომის სტატისტიკის ბიუროს მონაცემები გვიჩვენებს, კორონავირუსის პანდემიის უდიდეს გავლენას აშშ-ს შრომის ბაზარზე. კერძოდ, 2020 წლის აპრილისთვის, უმუშევრობის მაჩვენე-

ბელმა 14.7%-ი შეადგინა და მარტის 4.4%-იან მაჩვენებელთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. უმუშევრობის მაჩვენებელი ზრდას განაგრძობს სხვა განვითარებულ ქვეყნებშიც, თუმცა ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით სხვა ქვეყნებში შედარებით მსუბუქი მდგომარეობაა. მაგალითად, იაპონიაში მიმდინარე წლის მარტის მონაცემებით უმუშევრობის მაჩვენებელი 2.5%-ს შეადგენდა [3].

გაზრდილი მოთხოვნა პროდუქტებზე, უმუშევრობის დონის მკვეთრი და გარდაუვალი ზრდის ტენდენცია, სიღარიბის მაჩვენებლის გაზრდა, ეროვნულ ვალუტაზე სხვადასხვა ფაქტორების ზეწოლა, ტურიზმისა და საერთაშორისო ფულადი გზავნილების მკვეთრი შემცირება - ეს ის ხილული, ეკონომიკური ეფექტებია, რომელთა გამოცდა მსოფლიო ქვეყნების და მათ შორის საქართველოს მოსახლეობამ საკუთარ თავზე უკვე დაიწყო [1]. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციის მიხედვით, მიმდინარე წლის განმავლობაში ხელფასის მიმღებთა რაოდენობის შედარება, 2019 წლის შესაბამის თვესთან, ხელფასების სხვადასხვა დიაპაზონის მიხედვით, შოკის პირობებში ყველაზე ნაკლები კლება დაფიქსირდა 1201-დან 2400 ლარამდე ხელფასის მქონე დასაქმებულთა კატეგორიაში, რადგან აპრილში ასეთი ადამიანების რიცხვი მხოლოდ 2%-ით შემცირდა. მათი რაოდენობა მაისსა და ივნისში კვლავ დაუბრუნდა ზრდის ტენდენციებს, 1%-ით შემცირდა ივლისში და 3%-ით გაიზარდა აგვისტოს თვეში [12].

COVID-19-ის პანდემიის ნეგატიური ზეწოლა შრომის ბაზარზე, რა თქმა უნდა, ასახვას ჰპოვებს ორგანიზაციების პერსონალის მართვის პოლიტიკაზე და ეს პროცესი კიდევ უფრო რთული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდება.

რაც შეეხება ცალკეული ორგანიზაციების ადამიანური რესურსების სტრუქტურულ ერთეულებს, მათ პანდემიის დაწყებამდეც ისედაც რთული სამუშაო ჰქონდათ, რადგან 2019 წელს HR ლიდერების 50%-ზე მეტი უკვე ზრუნავდა თანამშრომელთათვის ციფრული უნარების გამომუშვებასა და დისტანციური სამუშაო გარემოს შექმნაზე. მაგრამ, ასეთი “მუშაობის მომავალი”

მაინც შორეულ პერსპექტივად მოიაზრებოდა, პანდემიის პირობებში კი მსგავსი მიდგომა უფრო სწრაფად გახდა აქტუალური და მისმა დაჩქარებულმა იმპელემენტაციამ, დასაქმებულებს უფრო მეტი სარგებელი მოუტანა. კერძოდ, დაქირავებულებში შემცირდა სტრესის დონე და დადგა უკეთესი შედეგები ისეთი კორპორაციებისთვის, რომლებიც კოვიდ კრიზისამდე თუ მხოლოდ მომგებიანობის ზრდაზე იყვნენ ორიენტირებულნი, ახლა მათი 63%-ზე მეტი პანდემიაში გადარჩენისთვის იბრძვის [9].

COVID-19-ის აფეთქების ფონზე, პერსონალის მართვის თვალსაზრისით, არსებული გამოწვევებზე რეაგირების პარალელურად, მთავრი პრიორიტეტი დასაქმებულთა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მათთვის აუცილებელი სერვისების მიწოდება და სამუშაოთა ვირტუალიზაცია გახდა. აღნიშნულ კონტექსტში, მრავალი ორგანიზაციის HR მენეჯერმა გამოიყენა ე.წ. ‘’სამ კომპონენტიანი სტრატეგია’’:

1. **პასუხი კრიზისზე** - არსებული პრობლემების მოგვარება და მართვის უწყვეტობის უზრუნველყოფა;

2. **აღდგენა** - ადამიანური რესურსების ინტენსიური სწავლება და გაძლიერება;

3. **წარმატების მიღწევა** - ადამიანური რესურსების სრული ჩართულობით, ორგანიზაციის მომზადება ‘’ახალი მდგომარეობის’’ ფორმირებისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ COVID-19-ით გამოწვეული ‘’დიდი ლოქდაუნი’’ ბევრი კომერციული ორგანიზაციისთვის ფაქტობრივად გადაიქცა საწარმოს ორგანიზების, ოპერაციების და პერსონალის ქცევის ცვლილების ერთგვარ კატალიზატორად, რამაც უფრო მეტად გაუსვა ხაზი იმის გაცნობიერებას, თუ რას ნიშნავს კომპანიისთვის სამუშაო ძალა და სამუშაო ადგილი [8].

განსაკუთრებით დღეს, პანდემიის პრობებში, ადამიანური რესურსების მენეჯერებს, კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ მათი როლი კიდევ უფრო მეტად მოექცა ყურადღების ფოკუსში. ამ ფონზე, ზოგიერთი მსხვილი კომპანიის ლიდერები, მზად არიან პერსონალის მართვის კუთხით გააძლიერონ თავიანთი ორგანიზაციების გამოწვევები და იმოქმედონ უკვე დამკვიდრებული

ღირებულებების შესაბამისად [6]. გარდა ამისა, COVID-19-ით წარმოქმნილი შოკის უარყოფითი შედეგების გასანეიტრალებლად ფირმება უნდა გაატარონ შემდეგი დამატებითი ღონისძიებები:

1. გაზარდონ პერსონალის ტრენინგების რაოდენობა და ინვესტიციები, დისტანციური მუშაობის მიმართულებით, რათა ისინი უკეთესად იყვნენ მომზადებულები შემდგომი პანდემიისთვის;

2. გაიაზრონ, რომ კომპანიის მომავალი მშრომელთა კეთილდღეობაში მდგომარეობს და უზრუნველყონ მათთვის უსაფრთხო სამუშაო გარემო;

3. კორონავირუსი შეიძლება გახდეს მათი ბიზნეს საქმიანობის ახალი მიმართულებების განსაზღვრის შესაძლებლობა, ამიტომ მენეჯერებმა უნდა შეიმუშაონ არამატო ჭკვიანი ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტის განვითარების გეგმები, არამედ ახალი პროდუქტების შესახებ ინოვაციური ხედვები.

მოცემულ მიდგომებზე დაყრდნობით, კომპანია **Walmart**-მა უკვე დაიწყო დაქირავებულთა დატრენინგება ე.წ. ''შავი პარასკევის'' ყოველწლიური, გრანდიოზული ფასდაკლების აქციისთვის, რათა ღონისძიების ფარგლებში, მომხმარებლების რაოდენობის მკვეთრი მატებით გამოწვეულ საფრთხეებზე, სათანადო რეაგირება მოეხდინა. **Starbucks**-მა კი გააფართოვა ფსიქიკური ჯანმრთელობის თერაპიული სესიები, როგორც თანამშრომელთათვის, ასევე მათი ოჯახის წევრებისთვის [9].

კიდევ ერთი კრიტიკული საკითხი, რომელიც კომპანიებმა პანდემიის პირობებში უნდა გაითვალისწინონ, ეს გახლავთ სხვადასხვა პოლიტიკების თუ სპეციალური ზომების მიღება მთავრობების მიერ. როგორც წესი, ასეთი მარეგულირებელი ხასიათის ღინისძიებები გულისხმობს საზღვრების დაკეტვას, სავალდებულო კარანტინს, გადაადგილების შეზღუდვას, მასშტაბური თავშეყრების აკრძალვას, ქალაქებისა თუ ქვეყნების ჩაკეტვას, რაც დიდ ზემოქმედებას ახდენს ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე და ბიზნეს აქტივობებზე[2, 7]. მსგავსი მიდგომები სხვადასხვა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში მოიცავს, როგორც ზოგად რეკომენდაციებს ბიზნე-

სისთვის, ასევე, კონკრეტული სფეროების მიხედვით გაწერილ სავალდებულო მითითებებს, რომელთა საფუძველზეც ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ ინფექციური დაავადებებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების სპეციალური გეგმები, მათში გათვალისწინონ და განხილონ სხვადასხვა სამუშაო ადგილებთან და დავალებებთან დაკავშირებული რისკის დონეები, რომელთა შესრულებაც უწევთ თანამშრომლებს. ასევე, მათი მხრიდან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თანამშრომლების ინდივიდუალური რისკ-ფაქტორები (მაგ: ასაკი, ქრონიკული დაავადებები და ა.შ.). ასეთი პირების არსებობის შემთხვევაში, კომპანიის მენეჯმენტმა უნდა მიმართოს კონტროლის დამატებით ღონისძიებებს, რომელიც საჭიროა ამ რისკების შესამცირებლად [13].

ვინაიდან, პანდემიის პირობებში ვითარება სწრაფად იცვლება, მნიშვნელოვანია, რომ დამსაქმებლებს მუდმივად გააჩნდეთ განახლებული ინფორმაცია, რომელსაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, ეროვნული თუ ადგილობრივი ჯანდაცვის უწყებები აქვეყნებენ. დამატებით, კომპანიები მუდმივად უნდა ინტერესდებოდნენ მათი სამართლებრივი ვალდებულებებით, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული კანონებითა და რეგულაციებით. კერძოდ, COVID-19-ზე რეაგირებისთვის დამსაქმებლებმა:

❖ მონიტორინგი უნდა გაუწიონ ეროვნული და ადგილობრივი უწყებების მიერ გავრცელებულ ნებისმიერ ინფორმაციას და მიაწოდოს ის დასაქმებულებს;

❖ შეაფასონ ბიზნეს საქმიანობის შეფერხებით გამოწვეული შესაძლო რისკები და შედეგები;

❖ განიხილონ ან შეიმუშაონ ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნული და ადგილობრივი უწყებების მიერ შემოთავაზებულ რეკომენდაციებთან. ამგვარად უზრუნველყოფილი იქნება ბიზნესის მედეგობა კრიზის მიმართ, რაც ხელს შეუწყობს დასაქმებულებსა და მათ ოჯახებს;

❖ უნდა მოახდინონ COVID-19-თან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირება და მათი შემცირება ან თავიდან არიდება;

❖ ხელი უნდა შეუწყონ სამუშაო ადგილზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს ფორმირებას;

❖ შეფასონ ბიზნესის თანამშრომლებთან მიმართებით გადასახდელი კომპენსაციის ვალდებულება, განსაკუთრებით კი ისეთ სექტორებში, სადაც მაღალია COVID-19-ით დაინფიცირების რისკები [2, 7-8].

საბოლოოდ შეიძლება აღინიშნოს, რომ ორგანიზაციებმა კარგად უნდა შეისწავლონ სამუშაო ადგილებზე პანდემიით გამოწვეული, ჩვეული რეჟიმის ტრანსფორმაცია და ადამიანური რესურსების მართვის ყველა ასპექტზე მისი ზეგავლენის ხარისხი, განსაკუთრებული აქცენტი კი გააკეთონ კადრების როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე, რათა არ შეფერხდეს კომპანიების სრულფასოვანი ფუნქციონირება. გარდა ამისა, გლობალური პანდემიით ინსპირირებული ბიზნესის ტრანსფორმაცია აიძულებს კომპანიებს მართონ ეს უზარმაზარი ცვლილებები, ამისათვის კი საჭიროა ახალი, ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენება, რომელიც არსებული კრიზისის ფონზე უზრუნველყოფს მომავლის განჭვრეტას, პერსონალის შესაბამის დაგეგმვას და საქმიანობის ოპტიმიზაციას. ამით შრომითი რესურსები მზად იქნებიან განვითარების სხვადასხვა სცენარისთვის [5, 195].

## დასკვნა

წინამდებარე სტატიაში, სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე, გაანალიზებულია COVID-19-ის პანდემიის მასშტაბები გლობალურ ასპექტში და შეფასებულია მისი გავლენა, როგორც შრომის ბაზარზე, ასევე პერსონალის მართვის პროცესზე. ამასთან, ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ადამიანური რესურსების მენეჯმენტის წინაშე მდგარ ახალ გამოწვევებზე, ისეთების როგორიცაა კრიზისზე საპასუხო სტრატეგიის ფორმირება, დასაქმებულთათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა და მასთან დაკავშირებული რისკების შეფასება, HR პოლიტიკის სახელმწიფო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ რეკომე-

ნდაციებზე მორგება და კადრების ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგრადობის უზრუნველყოფა, რათა ინფექციის მასობრივი გავრცელების ფონზე, კომპანიის სამუშაო ძალა ადვილად გაუმკლავდეს, ორგანიზაციული კლიმატის ცვლილებების შედაგად წარმოქმნილ სირთულეებს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Covid 19 ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოსთვის, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრი (EPRC), (2020), https://eprc.ge

2. COVID-19-ის პირობებში სამუშაო ადგილის მართვის სახელმძღვანელო დამსაქმებლებისთვის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დამსაქმებელთა საქმიანობის ბიურო (ILO-ACT/EMP), (2020)

3. გერაძე რ. (2020) Covid-19-ის გავლენა უმუშევრობის სექტორულ მაჩვენებელზე, https://forbes.ge

4. ნიჟარაძე დ. (2018) ადამიანური რესურსების მართვის მულტიკულტურული კონტექსტი, ეკონომიკა (12)

5. ნიჟარაძე დ. (2019) პერსონალის მოტივაციის გამოწვევები მულტიკულტურულ ორგანიზაციებში, ეკონომიკა (10-12)

6. Bingham, S. (2020) How HR Leaders Can Adapt to Uncertain Times, Harvard Business Review, https://hbr.org

7. Chokheli, Eka (2014) The peculiarities of the employee behavior management in multinational companies (The case of Georgia). In: Proceedings of IAC-EMM 2014: International Academic Conference on Economics, Management and Marketing in Prague. MAC Prague consulting Ltd.

8. COVID-19: CHRO Lens Work, Workforce and Workplace Key Considerations,Deloitte, (2020), https://www2.deloitte.com

9. Meister. J. (2020)The Impact Of The Corona virus On HR And The New Normal Of Work, Forbes, https://www.forbes.com

10. Nizharadze D, Chokheli E, (2018), Labor market as an important factor to select efficient human resource (The case of Georgia), Proceedings of the VIII International Scientific and Practical Confer-

ence Social and Economic Aspects of Education in Modern Society, Warsaw, Poland

11. https://covid19.who.int/

12. https://pmcresearch.org/

13. https://www.moh.gov.ge/

14. https://www.worldometers.info/coronavirus/

**REFERENCES:**

1. Covid 19 Economic Consequences for the World and Georgia, Economic Policy Research Center (EPRC), (2020), https://eprc.ge

2. Workplace Management Guide for Employers Under COVID-19, International Labor Organization Bureau of Employers (ILO-ACT/EMP), (2020)

3. Geradze R., (2020) The Impact of Covid-19 on Sectoral Unemployment Rate, https://forbes.ge

4. Nizharadze, D. (2018) A Multicultural Context of Human Resource Management. Economics (12)

5. Nizharadze, D. (2019) The Challenges of Staff Motivation in Multicultural Organizations, Economics (10-12)

6. Bingham, S. (2020) How HR Leaders Can Adapt to Uncertain Times, Harvard Business Review, https://hbr.org

7. Chokheli, Eka (2014) The peculiarities of the employee behavior management in multinational companies (The case of Georgia). In: Proceedings of IAC-EMM 2014: International Academic Conference on Economics, Management and Marketing in Prague. MAC Prague consulting Ltd.

8. COVID-19: CHRO Lens Work, Workforce and Workplace Key Considerations,Deloitte, (2020), https://www2.deloitte.com

9. Meister. J., (2020) The Impact Of The Corona virus On HR And The New Normal Of Work, Forbes, https://www.forbes.com

10. Nizharadze D, Chokheli E, (2018), Labor market as an important factor to select efficient human resource (The case of Georgia), Proceedings of the VIII International Scientific and Practical Confer-

ence Social and Economic Aspects of Education in Modern Society, Warsaw, Poland

11. https://covid19.who.int/
12. https://pmcresearch.org/
13. https://www.moh.gov.ge/
14. https://www.worldometers.info/coronavirus/

## THE IMPACT OF THE COVID-19 PANDEMIC ON HUMAN RESOURCE MANAGEMENT

**David Nizharadze**
International Black Sea University,
Affiliated Associate Professor, PhD

### RESUME

The global pandemic caused by the spread of the new coronavirus (COVID-19), through the wake of the economic recession, it has had the most visible impact on commercial organizations and has dramatically changed the work environment for the people employed in these companies. Consequently, ensuring the health security of human resources and adapting their management mechanisms to the crisis situation, that caused by the corona virus, has become a major challenge for the continuity of business processes of companies operating worldwide. Naturally, the Covid Pandemic crisis also had a negative impact on the labor market..

Due to the mass infection of people with the Corona virus, most countries have imposed significant restrictions for business and though the response to these unforeseen changes, the firm has developed alternative ways for staff to work safely and has taken a number of preventive measures in the workplace as recommended by the government.

**Key words:** Coronavirus (COVID-19), Pandemic, Labor Market, Employer, Human Resources, Safe Work Environment, Unemployment.

# მარკეტინგი და გაყიდვების სტრატეგია

**თორნიკე სადუნიშვილი**
სტუ დოქტორანტი

## შესავალი

გაყიდვების ყველა გუნდს სჭირდება გაყიდვების სტრატეგიები, რომელიც მოიტანს წარმატებას გაყიდვების ჯგუფისა და ორგანიზაციისთვის. გაყიდვების სტრატეგიები და ინიციატივები ასევე აერთიანებს გამყიდველებს საერთო მიზნებზე და აძლევს მათ შესაძლებლობას, შეასრულონ თავიანთი მიზნები, რომ იყვნენ ბედნიერები და წარმატებულებიც.

სტრატეგიის გარეშე, მარკეტინგისა და გაყიდვების ყველა აქტივობა და ტაქტიკა შეიძლება არაფერი იყოს. ბოლოს და ბოლოს, თუ ისინი ყველაფერთან ერთად არ მუშაობენ მომხმარებლების მოზიდვისთვის რა აზრი აქვს? კომპანიები აცნობიერებენ, რომ გაყიდვებისა და მარკეტინგის სტრატეგია ყველაზე მნიშვნელოვანია გაყიდვებისთვის . იგი ასახავს, თუ როგორ მოახდენს გაყიდვებისა და მარკეტინგის ორგანიზება მათი ძირითადი მიზნების მისაღწევის შესაძლებლობას, რაც ხელს შეუწყობს თქვენი ორგანიზაციის წარმატების და მომავლის ჩამოყალიბებას.

**საკვანძო სიტყვები**: გაყიდვების სტრატეგია, მარკეტინგული სტრატეგია , მარკეტინგული გეგმა, მომხმარებელი, მარკეტინგის მიზნები

## ძირითადი ტექსტი

გაყიდვების სტრატეგია არის მიდგომა გაყიდვებისადმი, რომელიც საშუალებას აძლევს ორგანიზაციის გაყიდვების ჯგუფს პოზიციონირება მოახდინონ კომპანიასა და მის პროდუქტებზე, მომხმარებლისთვის მიზანმიმართული, დიფერენცირებული გზით. სტრატეგიების უმეტესობა მოიცავს მენეჯმენტის მიერ დასახული საუკეთესო პრაქტიკისა და პროცესების დეტალურ გეგმას. გაყიდვების სხვადასხვა სტრატეგიები მუშაობს სხვადასხვა გაყიდვების გუნდსა და ინდუსტრიაში.გაყიდვების სტრა-

ტეგიების არჩევისა და განხორციელების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი თქვენი მომხმარებელია.

თქვენი გაყიდვებისა და მარკეტინგის სტრატეგია არის თქვენი გეგმა სამიზნე მომხმარებლამდე, რომ მოიპოვოთ ნდობა, ეს არის მარკეტინგის ქარტია, რომელიც ხელმძღვანელობს მარკეტინგსა და გაყიდვებს მათ ყოველდღიურ საქმიანობაში და ეხმარება მათ გაარკვიონ საერთო მიზნები და როგორ მიაღწიონ მათ.არსებობს გაყიდვების სტრატეგიის ორი ძირითადი ტიპი: შემომავალი და გამავალი.

**გამავალი გაყიდვების დროს** - კომპანიები თავიანთი გაყიდვების სტრატეგიას ემყარება გამყიდველის ქმედებებზე. ისინი ეყრდნობიან ხელით შეყვანილ მონაცემებს, რომ გააკონტროლონ გაყიდვები და ამის მიხედვით დაატრენინგონ თავიანთი გამყიდველები, რომლებიც სამომავლოდ დამოუკიდებლად აწარმოებენ გაყიდვებს და მარკეტინგს, რაც მყიდველებს შეუქმნის განსხვავებულ გამოცდილებას.

**შემომავალი გაყიდვების დროს** - კომპანიიების გაყიდვების პროცესი მყიდველის ქმედებებს ემყარება. ისინი ავტომატურად იღებენ გამყიდველისა და მყიდველის მონაცემებს, რათა სამომავლოდ დაგეგმონ გაყიდვების სტრატეგია. გაყიდვების ყველა გუნდს უნდა ჰქონდეს გაყიდვების სტრატეგიის გეგმა, რომელშიც მოცემული იქნება მისი მიზნები, საუკეთესო პრაქტიკა და პროცესები, რომლებიც მიზნად ისახავს გუნდის გამოსწორებას და თანმიმდევრულ ქმედებებს.

უნდა განვასხვაოთ მარკეტინგული გეგმა და გაყიდვების გეგმა ერთმანეთისგან. მარკეტინგული გეგმა წარმოადგენს მომხმარებელთა ბაზის მიღწევის გეგმას. პირველი ნაბიჯი მარკეტინგის გეგმის შემუშავებაში არის იმის გათვალისწინება, თუ ვინ არიან თქვენი სამიზნე მომხმარებლები. ჰკითხეთ საკუთარ თავს, ვინ არიან თქვენი ძირითადი მომხმარებლები, რას ეძებენ და თუ შეძლებთ მის მიწოდებას რაც მათ უნდათ. გარდაუვალია, რომ მარკეტინგის ზოგიერთმა სტრატეგიამ წარსულში თქვენთვის იმუშავა; ახლა შეგიძლიათ განავითაროთ ეს დროში გამოცდილი სტრატეგიები თქვენი მოგების მაქსიმალურად გაზრდის მიზნით.

გაყიდვების გეგმა, ისევე როგორც მისი სახელიდან ჩანს, არის დოკუმენტი, რომელიც ასახავს თქვენი ბიზნესის მიზნებს პროდუქციის ან მომსახურების გაყიდვასთან დაკავშირებით. როგორც წესი, გაყიდვების გეგმა ორგანიზებული იქნება ცენტრალური მიზნების გარშემო. როგორც საბაზო ხაზი, მიზნები, რომლებსაც მოიცავს გაყიდვების გეგმა, უნდა იყოს კონკრეტული, გაზომვადი და შესაბამისი თქვენი მომხმარებლის საჭიროებების შესაბამისად. გაყიდვების გეგმა ხშირად თქვენი კომპანიის უფრო დიდი მარკეტინგის გეგმის ნაწილი იქნება, ასე რომ თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ განსაზღვროთ სამიზნე ბაზარი, გაითვალისწინოთ მომხმარებლების დამოკიდებულება და ქცევა და გაითვალისწინოთ თქვენი სარეკლამო სტრატეგიის დეტალები.

მარკეტინგის გეგმების უმეტესობა მოიცავს თემებს, რომელიც საუკეთესოა თქვენი ბიზნესისთვის.

**სამიზნე ბაზარი**

დეტალურად აღწერეთ თქვენი აუდიტორია. ნახეთ ბაზრის ზომა, დემოგრაფია, უნიკალური თვისებები და ტენდენციები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენი ბიზნესის მოთხოვნებს.

**კონკურენტული უპირატესობა**

აღწერეთ რა აძლევს თქვენს პროდუქტს ან მომსახურებას უპირატესობას კონკურენტებთან მიმართებაში. ეს შეიძლება იყოს უკეთესი პროდუქტი, დაბალი ფასი ან მომხმარებლის შესანიშნავი გამოცდილება. ზოგჯერ ეკოლოგიურად სუფთა სერთიფიკატი ან თქვენს ეტიკეტზე გამოტანილი “აშშ-ში დამზადებულია” შეიძლება მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდეს მომხმარებლებისთვის.

**გაყიდვების გეგმა**

აღწერეთ, სიტყვასიტყვით როგორ გაყიდით თქვენს მომსახურებას ან პროდუქტს. ჩამოთვალეთ გაყიდვების მეთოდები, რომლებსაც გამოიყენებთ, როგორიცაა საცალო ვაჭრობა, სა-

ბითუმო ვაჭრობა ან საკუთარი ონლაინ მაღაზია. ახსენით ყოველი ნაბიჯი, როდესაც თქვენი მომხმარებელი გადადგამს მას შემდეგ, რაც გადაწყვეტს ყიდვას.

**მარკეტინგისა და გაყიდვების მიზნები**

აღწერეთ თქვენი მარკეტინგისა და გაყიდვების მიზნები შემდეგი წლისთვის. მარკეტინგისა და გაყიდვების საერთო მიზნებია: ელექტრონული ფოსტის აბონენტების გაზრდა, ბაზრის წილის ზრდა ან გაყიდვების გარკვეული პროცენტით გაზრდა.

**მარკეტინგის სამოქმედო გეგმა**

აღწერეთ, როგორ მიაღწევთ მარკეტინგისა და გაყიდვების მიზნებს. ჩამოთვალეთ მარკეტინგის არხები, რომლებსაც გამოიყენებთ, როგორიცაა ონლაინ რეკლამა, რადიო რეკლამები ან ბილბორდები. აუხსენით თქვენი ფასების სტრატეგია და როგორ გამოიყენებთ აქციებს. ისაუბრეთ მომხმარებელთა მხარდაჭერაზე, რაც ხდება გაყიდვის შემდეგ.

**ბიუჯეტი**

შეიტანეთ თქვენი მარკეტინგის გეგმაში ხარჯების სრული ანალიზი. შეეცადეთ იყოთ მაქსიმალურად ზუსტი. თქვენ გინდათ გააკონტროლოთ თქვენი ხარჯები მას შემდეგ, რაც თქვენი გეგმა ამოქმედდება.

## დასკვნა

ყველაფერი ერთად გვაკავშირებს, არ აქვს მნიშვნელობა თქვენი მარკეტინგისა და გაყიდვების გეგმების ფორმატს და შინაარსს, თქვენი ბიზნესი ვერ უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ მარკეტინგის და გაყიდვების სტრატეგიები მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობისთვის. ეს ახლა უფრო მეტია, ვიდრე ოდესმე, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელიც ურთიერთდაკავშირებულია და სადაც კონკურენცია იზრდება. მარკეტინგული გაყიდვების გეგმები დაეხმარება თქვენს ბიზნესს წარმატების მიღწევაში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1.გარი არმსტრონგი, ფილიპ კოტლერი, მარკეტინგის საფუძვლები, 2006, მეშვიდე გამოცემა, გვ. 399.

2.გელა მამულაძე, მარკეტინგის საფუძვლები, 2011, გვ. 35.

3.გარი არმსტრონგი, ფილიპ კოტლერი, მარკეტინგის საფუძვლები, მეშვიდე გამოცემა, 2006, გვ 399.

**ინტერნეტ რესურსები**

https://smallbusiness.chron.com/sales-plan-vs-marketing-plan-57267.html

https://www.inc.com/theupsstore/seven-essential-components-to-a-marketing-plan.html

https://www.aha.io/blog/marketing-strategy-vs-sales-strategy

https://www.linkedin.com/business/sales/blog/sales-and-marketing/the-3-b2b-sales-and-marketing-structural-gaps-hampering-business

**REFERENCES:**

1. Gary Armstrong, Philip Kotler, Fundamentals of Marketing, 2006, Seventh Edition, p. 399.

2. Gela Mamuladze, Fundamentals of Marketing, 2011, p. 35.

3. Gary Armstrong, Philip Kotler, Fundamentals of Marketing, Seventh Edition, 2006, p. 399.

**INTERNET RESOURCES:**

https://smallbusiness.chron.com/sales-plan-vs-marketing-plan-57267.html

https://www.inc.com/theupsstore/seven-essential-components-to-a-marketing-plan.html

https://www.aha.io/blog/marketing-strategy-vs-sales-strategy

https://www.linkedin.com/business/sales/blog/sales-and-marketing/the-3-b2b-sales-and-marketing-structural-gaps-hampering-business

# MARKETING AND SALES STRATEGY

**Tornike Sadunishvili**
GTU PhD Student

## RESUME

Every sales team needs sales strategies that will bring success to the sales team and organization. Sales strategies and initiatives also bring sellers together for common goals and enable them to achieve their goals to be happy and successful as well.

Without a strategy, all the marketing and sales activities and tactics can be anything. After all, if they do not work with everything to attract customers what is the point? Companies realize that a sales and marketing strategy is most important for sales. It describes how sales and marketing will enable them to achieve their core goals, which will help shape the organization's success and future.

**Key words:** Sales Strategy, Marketing Strategy, Marketing Plan, Customer, Marketing Goals.



გარდაიცვალა თვალსაჩონო მეცნიერი, უმაღლესი განათლების ღვაწლმოსილი პედაგოგი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (ემერიტუსი) **გურამ ყუფუნია.**

გურამ ყუფუნია დაიბადა 1936 წლის 31 მაისს, მარტვილის რაიონის ს. ტალერში.

1954 წელს დაამთავრა დიდი ჭყონის საშუალო სკოლა. 1954-1959 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომლიც წარჩინებით დაამთავრა. 1961 1964 წლებში იყო საქარველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტი. 1974 წელს გაიარა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის

უმაღლესი ეკონომიკური კურსები.

1974 წელს მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 1977 წელს - უფროსი მეცნიერ თანამშრომლის სამეცნიერო წოდება.

1959-1961 წ.წ. მუშაობდა თბილისის საფინანსო-ეკონომიკური ტექნიკუმში, პოლიტიკური ეკონომიის მასწავლებელად. 1964 - 2006 წწ. იყო ეკონომიკის, დაგეგმვისა და სოციალური პრობლემების ს კ ი უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, განყოფილების გამგე და დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში. 2011-2015 წწ. - მოწვეული იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორად. 2016 წლიდან მიენიჭა ამავე უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორის წოდება.

იგი შეთავსებით პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სხვადა-

სხვა უმაღლეს სასწავლებელში. 1966-1977 წ.წ. - თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში იყო პოლიტიკური ეკონომიის ლექტორი, 2000-2010 წ.წ. - თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი (თეუსი) - პროფესორი, 2002-2008 წ.წ. - თბილისის ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის პროფესორი და რექტორი.

1976-1977 წ.წ. ასევე შეთავსებით მუშაობდა ჟურნალ "ეკონომისტის" განყოფილების გამგედ; 1995-2006 წ.წ. - ქართული ენციკლოპედიის ეკონომიკისა და სამართლის განყოფილების გამგედ; მთავარი სამეცნიერო რედაქციის წევრად.

სხვასდასხვა წლებში მიწვეული იყო სახელმწიფო საგამოცდო კომისის თავმჯდომარედ რიგ უმაღლეს სასწავლებელში. იყო საკანდიდატო, სამაგისტრო და სადოქტორო ხარისხების 20-ზე მეტი მაძიებლის სამეცნიერო ხალმძღვანელი.

იყო 200-ზე მეტი მეცნიერული, მ. შ. 120-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი.

გურამ ყუფუნია 1996 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ბატონი გურამი იყო უაღრესად ერუდირებული, საქმისადმო უდიდესი პასუხიმგებლობით აჭურვილი, ახალგაზრდობისადმი თავდადებული, უაღრესად გულისხმიერი, მეგობრული, ამავე დროს, პრინციპული ადამიანი, მხურვალე პატრიოტი.

მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრების, ახლობლების, ახალგაზრდობის გულში.

**რ. აბესაძე, ა. აბრალავა, თ. ბაბუნაშვილი, ე. ბარათაშვილი, რ. ბასარია, მ. გველესიანი, რ. გოგოხია. დ. დავითულიანი, ვ. დათაშვილი, რ. კაკულია, დ. კვარაცხელია, ი. კვესელავა, პ. კოღუაშვილი, პ. ლემონჯავა, გ. მალაშხია, ე. მექვაბიშვილი, ს. სანაძე, ა. სიჭინავა, რ. შენგელია, გ.შუბლაძე, კ. ღურწკაია, ნ. ჭითანავა, კ. ხმალაძე,დ. ჩომახიძე, რ. ჯავახიშვილი.**

# სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

**სტატიის გაფორმების წესი**

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

**რეზიუმე** ქართულ, რუსულ და/ან **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

**საკვანძო სიტყვები** ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი, ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი Acadnusx; ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman; შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

## PUBLICATION REQUIREMENTS
## FOR SCIENTIFIC ARTICLES:

Please consider:

The articles to be published in the journal should include the **new results** of scientific research in the theoretical and other practical fields of economics, such as: Economic reform; Modern problems of economics; History of economic doctrines; Legal Provision of Market Economy; Finances, Banks, Exchange Markets; Regional Economy; Sectoral Economy; Current issues of Business, Marketing, Management; World economy; Reviews on monographs and textbooks published recently.

All received scientific articles will be peer-reviewed by the Editorial Board and will be published in case of positive reviews and assessment. The accepted articles will be posted on the website, in the electronic journal.

The articles are published in Georgian, Russian, English, German and French languages, in the original language.

**THE REQUIREMENTS OF FORMATTING SCIENTIFIC ARTICLES:**

The minimum volume of the article is 5 pages A4 format;

**Resumes** must be in Georgian and **English** (essential) languages (minimum **100-250** words);

**Key words** in Georgian and English languages;

**Title** of the article in Georgian and English languages;

Name, surname, academic degree of the author (authors) in Georgian and English,

E-mail and telephone number;

Introduction to the article, Basic text and Conclusion;

List of References in Georgian and English languages;

For Georgian text, please use the Georgian font **AcadNusx.**

For English and Russian texts please use **Times New Roman;**

Font size 12, the interval 1,5cm , Line Spacing- 2 cm.

# შინაარსი N1-2

## ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

**მარიამ ლომაია -** N520 დადგენილება - გამოწვევები და შესაძლო შედეგები საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში ----------- 6

## ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

**ვლადიმერ ბასარია -** საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ფუნდამენტური პრობლემების პოლიტეკონომიური ანალიზი --------------------------------------------- 14

**დავითი ღვინიაშვილი -** სასაქონლო ასორტიმენტის უწყვეტი მოდერნიზაცია კონკურენტული უპირატესობის უმთავრესი პირობა --------------------------------------- 31

## ფინანსები, ბანკები, ბირჟები

**ვალერიან ჭედია -** ტრადიციული და დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიების შედარებითი ანალიზი---------------------------------- 37

## საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა

**გაგი მელიქიძე -** ბლოკჩეინის სამართლებრივი რეგულირება ----- 50

## დარგობრივი ეკონომიკა

**თენგიზ ლაჭყეპიანი, თინათინ გოგიშვილი, თინათინ დარსაველიძე -** ევკალიპტის კულტურა საქართველოში და მისი სამეურნეო მნიშვნელობა-------------------- 57

## ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

**Revaz Shengelia, Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia, Natia Shengelia -** Some Aspects of Developmentof Innovative Business (ინოვაციური ბიზნესის განვითარების ზოგიერთი ასპექტი)------- 64

**თამარ მაჭარაშვილი -** ნეირომარკეტინგი
ახალ მარკეტინგულ ერაში ------------------------------------------------------ 74
**თორნიკე სადუნიშვილი -** ინტეგრირებული მარკეტინგული
კომუნიკაციების ადგილი ინფორმაციულ საზოგადოებაში -------- 81
**ნინო ომანაძე -** შრომის ანაზღაურებისა და პერსონალის
ქცევის მართვის სტიმულირების ფუნქციონალური სისტემის
სრულყოფის ზოგიერთი საკითხი ---------------------------------------------- 87
**ნინო ქავთარაძე, სალომე ქავთარაძე -** ბიზნესის სოციალური
პასუხისმგებლობის განვითარების ძირითადი ტენდენციები
და მომავლის გამოწვევები საქართველოში ----------------------------102

## მსოფლიო ეკონომიკა

**ნინო კეკელიძე -** საქართველოსა და ევროკავშირის
ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის ზეგავლენა
საქართველოს მდგრადი ტურიზმის განვითარებაზე---------------- 113
**ალექსანდრე შახნაზაროვი -** ჩინეთის ეკონომიკური
ურთიერთობები ლათინური ამერიკის ქვეყნებთან ------------------121
**ნინო კეკელიძე -** მდგრადი და მაღალხარისხიანი
ტურიზმის ხელშეწყობა საქართველოსა
და ევროკავშირის ქვეყნებს შორის --------------------------------------128
**ბექა ფარსადანიშვილი, გიორგი ბეროშვილი -**
სინო-ამერიკული სავაჭრო ომი როგორც „თუკიდიდეს
ეკონომიკური მახის" ახალი ტიპი ----------------------------------------136

**სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი**-----144

# შინაარსი N3-5

## ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

**ენვერ ლაგვილავა -** ბლოკჩეინ ტექნოლოგია
და მისი გამოყენების ძირითადი ასპექტები ------------------------------ 6
**მაია ბენია, კახაბერ კაციტაძე -** ინოვაციური ეკონომიკის
მიმართულებები ციფრულ ეპოქაში --------------------------------------33
**რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური - შენგელია, ნათია შენგელია -**
კორონომიკური კრიზისი: ეროვნული წარმოების
განვითარების შემაფერხებელი თუ სტიმულატორი? -----------------46
**შურა უკლება -** ქალი და მისი როლი თანამედროვე ეტაპზე
(სოციალურ - ეკონომიკური ასპექტი) -----------------------------------54

## ფინანსები, ბანკები, ბირჟები

**ხათუნა შალამბერიძე** - COVID - 19
და მსოფლიო ფინანსური ბაზრები-----------------------------------------64
**ანი ხაჩიძე -** დაკრედიტების პროცესში რეგულაციები
და მათი გვერდის ავლის გზების კონტროლი ---------------------------75
**მარიამ ფიცხელაური, ზურაბ ლიპარტია -** ფინანსური
ანგარიშგებისა და მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის
კონტროლის მონიტორინგი საქართველოში----------------------------83

## რეგიონული ეკონომიკა

**ნარგიზა ქარქაშაძე, ნანა ბენიძე -** მიწის რესურსების მარკეტინგი
და მისი ეფექტური გამოყენება სამომხმარებლო ბაზარზე -
იმერეთის რეგიონის მაგალითზე (Marketing of Land
Resources and Their Effective Usage in the Consumer Market) ---------93

## დარგობრივი ეკონომიკა

**დეზდემონა მაღლაკელიძე, ნათელა ვაშაკიძე, დიანა უგლავა -**
მმართველობითი აღრიცხვის სისტემის
დანერგვის აუცილებლობა საწარმოებისათვის ---------------------- 102

## ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

**თეონა გრიშიკაშვილი -** ქროს-მარკეტინგი, როგორც ტურისტული სფეროს ინოვაციური მარკეტინგის მენეჯმენტის ელემენტი----- 113
**ლალი ხარბედია, ბადრი დავითაია -** გემის მენეჯმენტი და საკრუინგო საქმიანობის განვითარება საქართველოში ------------ 122
**მარია ღლონტი -** ციფრული და ტექნოლოგიური ბიზნეს პროექტების მართვის ტენდენციები და გამოწვევები ქართულ კომპანიებში (The Trends and Challenges of Digital Business Project Management in Georgia ) -------------------- 133

## მსოფლიო ეკონომიკა

**დავით მამუკელაშვილი -** სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის განვითარების გამოცდილება ევროპის ქვეყნებში (ესპანეთის მაგალითზე) -------------------------- 140
**ლია ზაზაშვილი -** აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მსოფლიო საუნივერსიტეტო გამოცდილება----------- 153

**სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი**----- 162

# შინაარსი N6-9

**რევაზ შენგელია -** ჟურნალი „ეკონომიკა“ 102 წლისაა!
(102 years Anniversary of the Journal “Economics “!) --------------------- 6

## ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

**რუსუდან პაპასკირი -** დაგროვებითი საპენსიო სისტემის
პრობლემები საქართველოში------------------------------------------------- 8

## ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

**უშანგი სამადაშვილი -** კორონა პანდემია, როგორც
გლობალიზაციის დეფექტი და ეფექტი-----------------------------------18
**გიორგი ჯვარიძე -** უთანაბრობა შემოსავლებში როგორც
ხარისხიან განათლებაზე და სამედიცინო მომსახურებაზე
ხელმიუწვდომლობის საფუძველი ----------------------------------------34
**თამარ დუდაური, ნინო სამქკუაშვილი -** კორონავირუსის
პანდემიის გავლენის თავისებურებები ქვეყნის ეკონომიკებზე----43
**სალომე დანელია -** ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის
ინდექსის მნიშვნელობა საქართველოში ---------------------------------54
**მაია ჩინჩალაძე, ნინო დარსაველიძე, ლელა ბოჭოიძე -**
ეკონომიკური კრიზისი, როგორც განვითარების ინსტრუმენტი---69

## რეგიონული ეკონომიკა

**გიორგი ჯვარიძე -** სამეწარმეო განათლების ამაღლება
მოსახლეობაში ეკონომიკური უთანასწორობის
შემცირების ერთ - ერთი გზაა -----------------------------------------------74
**ივლია ონიანი, ნონა ახვლედიანი -** მთლიანი რეგიონული
პროდუქტის (მრპ) გაანგარიშების სრულყოფის
ძირითადი მიმართულებები------------------------------------------------82

## დარგობრივი ეკონომიკა

**დავით ლორია -** საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები ---------------------------94
**თამარ ღამბაშიძე, ნინო ხუჭუა -** ავიაკომპანიის მომსახურების რანჟირება მგზვრთა იდენტიფიცირებული სეგმენტების მიხედვით ----------------------- 109

## ახალი ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში

**ალექსანდრე სხირტლაძე -** ახალი ინოვაციური პრეპარატი სოფლის მეურნეობაში -------------------------------------- 117
**რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია, ნათია შენგელია -** გლობალური სასურსათო პრობლემის გადაჭრის ერთ - ერთი უმთავრესი საშუალების შესახებ (შპს „სამეცნიერო - საწარმოო გაერთიანება ევრიკას“ მაგალითზე) -- 130

## ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

**გურამ სამხარაძე -** მენეჯერული გადაწყვეტილებების შეფასება დანახარჯების პოზიციიდან---------------------------------- 137
**ნინო დარსაველიძე, ლელა ბოჭოიძე , მაია ჩინჩალაძე, ანა კურტანიძე -** კორონავირუსის პანდემია - DIGITAL (ციფრული) მარკეტინგის წამყვანი -------------------------- 145
**თამარი დევიძე -** სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება: მითი და რეალობა-------------------------------------- 152
**ეკატერინე ვეფხვიაშვილი -** სახელმწიფო შესყიდვებში ბაზრის შესწავლის პრობლემები ----------------------------------------- 160
**სოფიკო ღვინიანიძე -** ფარმაცევტულ ბიზნესში მმართველობითი სისტემის ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი მიმართულებები-------------------------------- 168
**ქეთევან ომანაძე -** ენტროპიული მენეჯმენტის საკითხები ჯანდაცვაში --------------------------------------------------- 175

**სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი**----- 182

# ჟურნალი“ეკონომიკა“
# გამოდის 1918 წლიდან.

გამოცემა გამოდიოდა შემდეგი სახელწოდებებით:
საქართველოს ეკონომისტი (1918  N1- N6),
ეკონომისტი (1925-1926),
საქართველოს ეკონომისტი (1926-1931),
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა (1931-1941),
საქართველოს ეკონომისტი (1958-1967),
საქართველოს სახალხო მეურნეობა (1967 N4 დან-1973),
ეკონომისტი (1974-1990),
ეკონომიკა (1991 წლიდან -).

**სხვა სათაურით**

საქართველოს ეკონომისტი.
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა.
საქართველოს სახალხო მეურნეობა.
ეკონომისტი.
ეკონომიკა.
Экономист Грузии.

**ISSN:** 0206-2828.
განახლებული ISSN 2587-4713

**UDC: 338(922)(05)**

შპს ჟურნალი ,,ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
**economics.bpengi.com**
**E-mail: economica_2008@yahoo.com**
**E-mail: economica_1918@yahoo.com**

**ООО журнал «ЭКОНОМИКА»**
**Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63**
**Тел. 599 56-90-78**
**economics.bpengi.com**
**E-mail: economica_2008@yahoo.com**
**E-mail: economica_1918@yahoo.com**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები.
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადაეცა ასაწყობად 15.09.2020 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.10.2020 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9,0